

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge 190040000.30.056.016038, 24 /12/13) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. I-VI თავები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„თავი I

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი

1. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
შემოსავლები	135 773,0	165 534,3	128 877,0
გადასახადები	124 750,3	133 750,9	121 000,0
გრანტები	4 061,3	21 146,8	2 500,0
სხვა შემოსავლები	6 961,4	10 636,7	5 377,0
ხარჯები	112 468,6	117 347,7	134 807,2
შრომის ანაზღაურება	16 351,1	16 878,2	36 656,3
საქონელი და მომსახურება	18 919,9	15 692,4	21 814,9
პროცენტი	250,6	251,5	277,6
სუბსიდიები	28 069,5	26 883,1	2 411,1
გრანტები (გაცემული)	31 192,8	33 995,2	40 503,8
სოციალური უზრუნველყოფა	5 433,4	5 370,5	5 812,1
სხვა ხარჯები	12 251,3	18 276,8	27 331,4
საოპერაციო სალდო	23 304,4	48 186,6	-5 930,2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	23 945,3	18 804,2	24 419,8
ზრდა (შემცნა)	33 336,3	21 778,0	29 654,3
კლება (გაყიდვა)	9 391,0	2 973,8	5 234,5
მთლიანი სალდო	- 640,9	29 382,3	-30 350,0
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 736,1	26 791,7	-31 743,4
ზრდა	0,0	26 848,4	0,0



ვალუტა, დეპოზიტები		26 848,4	
სესხები	0,0	0,0	0,0
კლება	736,1	56,7	31 743,4
ვალუტა, დეპოზიტები	736,1	56,7	31 743,4
სესხები			
ვალდებულებების ცვლილება	- 95,2	-2 590,6	-1 393,4
ზრდა	0,0	0,0	0,0
სესხები			
კლება	95,2	2 590,6	1 393,4
სესხები			1 372,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0

2. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

(ათასი
ლარი)

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
შემოსულობები	145 164,0	168 508,1	134 111,5
შემოსავლები	135 773,0	165 534,3	128 877,0
არაფინანსური აქტივების კლება	9 391,0	2 973,8	5 234,5
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	145 900,1	141 716,3	165 854,9
ხარჯები	112 468,6	117 347,7	134 807,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	33 336,3	21 778,0	29 654,3
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების კლება	95,2	2 590,6	1 393,4
ნაშთის ცვლილება	- 736,1	26 791,7	-31 743,4

თავი II

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები 128877.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
------------	--------------------	--------------------	--------------------



შემოსავლები	135 773,0	165 534,3	128 877,0
გადასახადები	124 750,3	133 750,9	121 000,0
გრანტები	4 061,3	21 146,8	2 500,0
სხვა შემოსავლები	6 961,4	10 636,7	5 377,0

მუხლი 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადები 121000.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
11	გადასახადები	124 750,3	133 750,9	121 000,0
111	გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე	124 750,3	133 750,9	121 000,0
1111	ფიზიკური პირებიდან	124 750,3	133 750,9	121 000,0
11111	საშემოსავლო გადასახადი	124 750,3	133 750,9	121 000,0

მუხლი 4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გრანტები 2500.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
13	გრანტები	4 061,3	21 146,8	2 500,0
132	უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები	320,3	0,0	0,0
1321	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	320,3	0,0	0,0
13211	ნიდერლანდის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სივრცითი მოწყობის სქემის შემუშავება	320,3		
133	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	3 741,0	21 146,8	2 500,0
1331	მიმდინარე დანიშნულები გრანტები	3 741,0	21 146,8	2 500,0

მუხლი 5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 5377.0 ათასი ლარის ოდენობით:



კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	6 961,4	10 636,7	5 377,0
141	შემოსავლები საკუთრებიდან	5 049,8	8 524,5	4 500,0
1411	პროცენტები	3 396,6	5 689,3	3 000,0
14115	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	3 396,6	5 689,3	3 000,0
1412	დივიდენდები	1 307,4	1 310,5	1 000,0
14121	სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები	1 307,4	1 310,5	1 000,0
1415	რენტა	345,8	1 524,7	500,0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	51,5	85,4	200,0
14155	სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლები	294,3	1 439,3	300,0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	409,6	568,2	330,0
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	228,1	51,1	30,0
14222	სალიცენზიო მოსაკრებლები	3,2	14,0	
14223	სანებართვო მოსაკრებლები	224,6	36,3	30,0
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,3	0,9	
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	181,5	517,1	300,0
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	181,5	517,1	300,0
1423209	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	181,5	517,1	300,0
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	244,2	111,2	100,0
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1 257,7	1 432,7	447,0
1459	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1 257,7	1 432,7	447,0

თავი III

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები

და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები 134807.2 ათასი ლარის ოდენობით:



დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის პროექტი
ხარჯები	112 468,6	117 347,7	134 807,2
შრომის ანაზღაურება	16 351,1	16 878,2	36 656,3
საქონელი და მომსახურება	18 919,9	15 692,4	21 814,9
პროცენტი	250,6	251,5	277,6
სუბსიდიები	28 069,5	26 883,1	2 411,1
გრანტები (გაცემული)	31 192,8	33 995,2	40 503,8
სოციალური უზრუნველყოფა	5 433,4	5 370,5	5 812,1
სხვა ხარჯები	12 251,3	18 276,8	27 331,4

მუხლი 7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 24419.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების

ზრდა 29654.4 ათასი ლარის ოდენობით:

კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის პროექტი
101	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	196,4	119,8	92,5
102	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	137,4	0,0	0,0
103	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	17 881,2	12 633,6	15 943,7
104	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	10 135,9	4 266,4	7 316,5
106	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	3 091,8	2 770,6	4 242,1
107	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	127,5	16,0	202,1
108	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1 558,7	1 555,4	775,4
109	უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	207,4	416,3	160,0
110	საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	0,0	0,0	922,1



სულ	33 336,3	21 778,1	29 654,4
-----	----------	----------	----------

ბ. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 5234,5 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის პროექტი
31	არაფინანსური აქტივები	9 391,0	2 973,8	5 234,5
311	ძირითადი აქტივები	2 029,0	1 066,2	1 163,3
312	მატერიალური მარაგები			975,0
314	არამწარმოებლური აქტივები	7 362,0	1 907,6	3 096,2

მუხლი 8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 164461.6 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის პროექტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	53 317,1	55 842,7	60 851,0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	18 606,0	19 406,1	17 779,6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	11 924,7	7 663,3	9 136,8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	6 665,9	11 741,7	8 621,8
70113	საგარეო ურთიერთობები	15,4	1,1	21,0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	1 740,2	1 614,0	1 707,5
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	250,6	251,5	277,6
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის	31 192,8	33 995,2	40 503,8
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	1 527,5	575,9	582,5
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	4 607,8	1 738,9	2 524,3
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	4 607,8	1 738,9	2 524,3
704	ეკონომიკური საქმიანობა	27 561,4	28 054,1	40 525,2
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	3 466,7	5 216,1	6 160,2



70421	სოფლის მეურნეობის სექტორის მართვასთან, ვეტერინარული, მცენარეთა დაავადებების საწინააღმდეგო და სხვა მომსახურება	2 238,4	2 152,0	3 367,1
70422	სატყეო მეურნეობა	1 228,3	3 064,1	2 793,1
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	0,0	0,0	0,0
70443	მშენებლობა			
7045	ტრანსპორტი	19 758,1	15 464,4	26 013,6
70451	საავტომობილო ტრანსპორტი	19 758,1	15 424,5	20 556,8
70452	საზღვაო ტრანსპორტი	0,0	39,9	5 456,8
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	3 638,3	6 176,1	6 930,2
70473	ტურიზმი	2 659,3	2 581,6	4 020,9
70474	მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები	979,0	3 594,5	2 909,3
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში	698,3	1 197,5	1 421,2
705	გარემოს დაცვა	2 492,9	2 073,0	3 117,3
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	1 495,0	930,9	2 030,0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები გარემოს დაცვის სფეროში	997,9	1 142,1	1 087,3
706	საბინაო კომუნალური მეურნეობა	4 939,6	2 563,7	4 382,1
7061	ბინათმშენებლობა	4 939,6	2 563,7	4 382,1
707	ჯანმრთელობის დაცვა	7 150,4	7 200,6	7 831,6
7072	ამბულატორიული მომსახურება	778,1	976,7	1 899,7
7073	საავადმყოფოების მომსახურება	3 896,5	3 667,3	2 758,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	571,9	629,0	809,3
7076	სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1 903,9	1 927,6	2 364,6
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	27 851,7	23 850,6	25 747,0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	9 346,0	6 521,8	8 870,9
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	9 330,9	10 352,7	12 628,0
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	5 998,9	4 929,5	230,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი მომსახურება	62,0	102,0	122,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	3 113,9	1 944,6	3 896,1
709	განათლება	17 350,2	17 333,2	18 464,0
7092	ზოგადი განათლება	764,1	804,5	913,6
7094	უმაღლესი განათლება	4 379,5	3 305,5	2 341,1
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	12 206,6	13 223,2	15 209,3
710	სოციალური დაცვა	533,9	469,0	1 019,1



7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	75,0	112,5	180,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	28,5	29,0	69,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	0,0	38,0	174,1
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	430,4	289,5	596,0
სულ		145 805,0	139 125,8	164 461,6

თავი IV

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-30350.4) ათასი ლარის ოდენობით:

მუხლი 10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 31743.4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

(ათასი ლარი)

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	0,0	26 848,4	0,0
ზრდა	0,0	26 848,4	0,0
ვალუტა, დეპოზიტები	0,0	26 848,4	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 31743.4 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	736,1	56,7	31 743,4
კლება	736,1	56,7	31 743,4
ვალუტა, დეპოზიტები	736,1	56,7	31 743,4
სესხები	0,0	0,0	0,0

მუხლი 11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 1372.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:



განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებათა კლება 1372.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	95,2	2 590,6	1 372,0
კლება	95,2	2 590,6	1 372,0
სესხები			1 372,

თავი V

ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 12. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები პროგრამები (ქვეპროგრამები) შემდეგი რედაქციით:

1.

წარმომადგენლობითი საქმიანობის მხარდაჭერა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძლიერი წარმომადგენლობითი ორგანოს გამართული ფუნქციონირება, ვინაიდან იგი არის რეგიონის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი, საკანონმდებლო და მაკონტროლებელი ფუნქციების მქონე ხელისუფლების შტო.

პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების მეშვეობით რეგიონში ხორციელდება ქვეყნის მიერ აღიარებული დემოკრატიული ღირებულებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერა, სამოქალაქო პლურალიზმის ხელშეწყობა და საარჩევნო სისტემის განვითარება.

1.1

საკანონმდებლო საქმიანობა

კომპეტენციის ფარგლებში საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელება, კონტროლი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობაზე.

საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

1.2

საარჩევნო გარემოს განვითარება

საარჩევნო პროცესისა და საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

სამოქალაქო განვითარებასა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პროექტების წახალისება.

ამომრჩევლების ნების გადრმავება და დაინტერესება არჩევნების მიმართ.

ამომრჩეველთა აქტიურობის გაზრდა და დაინტერესება არჩევნებში მონაწილეობის მიზნით.

ამომრჩევლებისათვის სრულყოფილი და ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდება.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

რეგიონის ინსტიტუციური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აღმასრულებელი ორგანოს გამართული ფუნქციონირება

2.1

მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების პირობების შექმნა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის განხორციელება; მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი და ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა;

მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის განხორციელება.

მთავრობის თავმჯდომარის ურთიერთობის ხელშეწყობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებთან.

3 რეგიონის ფინანსური მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

ეფექტიანი და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების მოქნილ მართვას, სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სისტემის გაზრდას, აგრეთვე სახელმწიფო სახსრების ეკონომიურ და ეფექტიანად ხარჯვაზე მონიტორინგს. ელექტრონული ხაზინის სისტემის დანერგვა.

რეგიონში ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების გამჭვირვალედ და ეფექტიანად მართვა, მისი სრულყოფილად აღრიცხვა, მოვლა-პატრონობა და პრივატიზაცია. რეგიონის სივრცითი, კურორტებისა და სარეკრიაციო ადგილების დაგეგმარება. დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა. ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა. საფრთხის შემცველი ობიექტების მონიტორინგი და მართვა.

3.1 ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საფინანსო სისტემის მართვა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების უზრუნველყოფა.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდის მიზნით ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად შემუშავება და წარმართვა. ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო საქმიანობის პოლიტიკის განხორციელება; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების დოკუმენტების შემუშავების პროცესის წარმართვა.

3.2 რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა

აჭარის რეგიონისა და მისი საინვესტიციო პოტენციალის შესახებ საპრომოუშენო მასალების მომზადება; საერთაშორისო და ქვეყნის შიგნით საინვესტიციო/ბიზნეს ფორუმებზე, შეხვედრებზე, გამოფენებზე, ტურებზე, კონფერენციებზე რეგიონის მონაწილეობის უზრუნველყოფა და მისი საინვესტიციო პოტენციალის წარდგენა; ინვესტიციების მოზიდვის და მიმდინარე პრივატიზების პროცესის პირობებში რეგიონის სხვადასხვა სექტორის შესწავლა და შეფასება. შესაბამისად, სპეციალური მეთოდოლოგიით კვლევების ჩატარება.



აჭარის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო და აჭარის საკუთრებაში არსებული აქტივების საბაზრო ღირებულებისა და საიჯარო ღირებულების დადგენა; მიწის ნაკვეთების აგეგმვის საველე და კამერალური სამუშაოების შესყიდვა; შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შესყიდვა;

უძრავი ქონებების რამდენიმე ნაწილად დაყოფის მიზნით აზომვითი ნახაზის მომზადება; ქონების თვითნებურად დაკავების ფაქტების აღმოფხვრა-შემცირება და ქონების განიავებისაგან თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფო ან აჭარის საკუთრებაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობა; ქონების ეფექტურად მართვისა და განკარგვის მიზნით ელექტრონული ვებპროგრამის შექმნა.

3.2.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტურად მართვა და განკარგვა

აჭარის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო და აჭარის საკუთრებაში არსებული აქტივების საბაზრო ღირებულებისა და საიჯარო ღირებულების დადგენა; მიწის ნაკვეთების აგეგმვის საველე და კამერალური სამუშაოების შესყიდვა; შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შესყიდვა; უძრავი ქონებების რამდენიმე ნაწილად დაყოფის მიზნით აზომვითი ნახაზის მომზადება; ქონების თვითნებურად დაკავების ფაქტების აღმოფხვრა-შემცირება და ქონების განიავებისაგან თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფო ან აჭარის საკუთრებაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობა; ქონების ეფექტურად მართვისა და განკარგვის მიზნით ელექტრონული ვებპროგრამის შექმნა.

3.2.2 რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საინვესტიციო პოტენციალის ცნობადობის გაზრდა.

რეგიონისა და მისი საინვესტიციო პოტენციალის შესახებ საპრომოუშენო მასალების მომზადება. საერთაშორისო საინვესტიციო/ბიზნეს ფორუმებზე, შეხვედრებზე, გამოფენებზე, ტურებზე, კონფერენციებზე რეგიონის მონაწილეობის უზრუნველყოფა და მისი საინვესტიციო პოტენციალის წარდგენა.

3.2.3 კვლევები რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისათვის

რეგიონის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის შესწავლა.

აჭარის რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის და მიმდინარე პრივატიზების პროცესის პირობებში აჭარის რეგიონის უძრავი ქონების ბაზრის კონიუქტურის შესწავლა და შეფასება. რეგიონის ეკონომიკის დარგობრივი ანალიზი დარგების საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასების მიზნით.

3.3 ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიების შემდგომი გამოყენების დადგენა, საკურორტო-სარეკრეაციო ადგილებისა და ტერიტორიების ურბანული განვითარება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიების სივრცითი მოწყობის, საკურორტო-სარეკრეაციო ადგილების დაგეგმვისა და ტერიტორიების ურბანული განვითარების დოკუმენტის შედგენა.

3.3.1 ქალაქმშენებლობითი და დაგეგმარებითი პროექტების შედგენა

ტერიტორიების ურბანული განვითარება

ქალაქ ბათუმის გმირთა ხეივანის მიმდებარე ტერიტორიების ურბანული განვითარება.

3.3.2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების სივრცითი მოწყობის დოკუმენტის შედგენა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების



ტერიტორიების შემდგომი გამოყენების დადგენა.

ჯანსაღი და უსაფრთხო სამოღვაწეო და საცხოვრებელი გარემოს შექმნა, ზოგადფუნქციური და კონკრეტული უფლებრივი ზონირება; ტერიტორიული ერთეულების საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების დოკუმენტაციის შექმნა;

3.4 სახაზინო მომსახურება

ელექტრონული ხაზინის სისტემის დანერგვა და ძირითადი ექსპლუატაცია; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულება, მისი შემოსულობების და გადასახდებლების ზუსტი და ოპერატიული აღრიცხვა. ბიუჯეტის ოპერატიული, ყოველთვიური, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება.

3.5 დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა

ინკუბირებული კომპანიების საქმიანობის ხელშეწყობა—მონიტორინგი და ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო სერვისების და რესურსების მიწოდება. ასევე სატრენინგო კურსების ჩატარება სხვადასხვა თემაზე.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბიზნეს ინკუბატორი უზრუნველყოფს მის წევრ კომპანიებს შესაბამისი საოფისე ფართით, რომელიც აღჭურვილია საოფისე ინვენტარით, კომუნალური გადასახადებით, საკონსულტაციო მომსახურებით, უფინანსებს რეგიონალურ გამოფენებში მონაწილეობას. კომპანიების ბუღალტერიის თანადაფინანსებას და მონიტორინგის ჩატარებას მათი საქმიანობის შესახებ. ასევე ატარებს სატრენინგო კურსის მონიტორინგს, რომლებიც იმართება სხვადასხვა თემაზე.

3.6 მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა

აჭარის რეგიონში მცირე და საშუალო ტურისტული ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და ტურისტული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შერჩეული ბანკის მიერ სესხების გაცემა.

3.7 ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა

სტრუქტურული გაძლიერება, სერვისების დახვეწა, ბიზნესმენებისა და ინვესტორების საქმიანობისათვის ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს აჭარის რეგიონის ბიზნეს გარემოს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრების ინტერესების დაცვა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებაში; აჭარის რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების შესწავლა და სვოტანალიზი; სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება რეგიონის ეკონომიკის სექტორების მიხედვით; ექსპორტის ხელშეწყობა; მეწარმეებისათვის სხვადასხვა სახის სერვისების შეთავაზება; ინვესტორების მოზიდვა; ბიზნეს დელეგაციების მიღება.

3.8 საფრთხის შემცველი ობიექტების მონიტორინგი და მართვა

საფრთხის შემცველი ობიექტების ტექნიკური დიაგნოსტიკების ჩატარება; სამშენებლო მასალებსა და პროდუქციაზე გამოცდების ჩატარება.

ოპერატიული დიაგნოსტიკების მონაცემებით საექსპლუატაციო-ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზი; ობიექტის შემოწმება ურღვევი მეთოდით - (ვიზუალურ გაზომვითი მეთოდი, ძირითადი მეტალისა და შენადული ნაკერების დეფექტოსკოპია, სისქემზომი კონტროლი); მასალის მექანიკური თვისებებისა და შემადგენლობის გამორკვევა; სიმტკიცესა და სიმკვრივეზე შემოწმებითი გათვლების შესრულება და გამოცდა დატვირთვით; გამოვლენილი დეფექტების ანალიზი, მათი მიზეზების დადგენა, განსაზღვრული პარამეტრების დაზუსტება.

მზა ბეტონის სიმტკიცის განსაზღვრა კუმშვაზე, ბეტონის საკედლე ქვების, ბეტონის ფილების (ტორტუატებისათვის), სიმტკიცის განსაზღვრა კუმშვაზე, არამადნეული მასალების, მოსაპირკეთებელი და საგაზაო მასალების ხარისხის შემოწმება; ბეტონის ხარისხის შემოწმება ურღვევი მეთოდით; ბეტონში არმატურის დიამეტრისა და ბადურის განლაგების განსაზღვრა.

4 გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა



ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემოს შენარჩუნება და გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა.

წყლის მავნე ზემოქმედების აცილება, წყლის ობიექტების დაცვა და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით;

ტყეების მოვლა, დაცვა და აღდგენა კლიმატური, წყალმარეგულირებელი, დაცვითი, კულტურული, გამაჯანსაღებელი და სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებების შენარჩუნება და გაუმჯობესება.

თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, მათ შორის, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტის, ტყეში არსებული კულტურისა და ბუნების ძეგლების, მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და დაცვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საშიში (სტიქიური) გეოლოგიური პროცესების შესწავლა, საშიში გეოლოგიური მოვლენების პროგნოზირება და საინფორმაციო-საცნობარო მონაცემთა ბაზის შექმნა.

4.1 გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროს მართვა

გარემოსდაცვით სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება

4.2 გარემოს დაცვითი პროგრამა

ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროს კონტროლი და ზედამხედველობა; გარემოს ინტერგრირებული მართვის ხელშეწყობა; აჭარის ზღვის სანაპირო ზოლის დაცვა.

4.2.1 აჭარის სანაპირო ზოლის ჩამდინარე წყლებისა და ატმოსფერული ჰაერის აქტიურ დამაბინძურებელ კერებში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი

სანაპირო ზოლის დაბინძურების წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერისა და წყლებზე ფაქტობრივი ზემოქმედების მონიტორინგი

ზღვის სანაპირო ზოლის ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერისა და წყლის დამაბინძურებელი ობიექტების მონიტორინგი, ჩამდინარე წყლისა და ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა, მავნე ნივთიერებათა ჩაშვების მინიმუმაცია. მონიტორინგის განხორციელების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე დროული რეაგირების მიზნით, შეგროვებული მასალების შესაბამის ორგანოებზე გადაცემა.

4.2.2 აჭარის სანაპირო ზოლის სარფი-ჩოლოქის მონაკვეთზე ზღვის წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი

აჭარის სანაპირო ზოლის სარფი-ჩოლოქის მონაკვეთზე საბანაო წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი

ზღვის სანაპირო ზოლის მონიტორინგი, ზღვის წყლისა ხარისხობრივი მაჩვენებლების ბაქტერიოლოგიური განსაზღვრა, მავნე ნივთიერებათა ჩაშვების მინიმუმაცია, მონიტორინგის განხორციელების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე დროული რეაგირების მიზნით, შეგროვებული მასალების შესაბამის ორგანოებზე გადაცემა.

4.2.3 აჭარის სანაპირო ზოლის დროებითი ნაპირსამაგრი ღონისძიება

შავი ზღვის სანაპირო ზოლზე განვითარებული აბრაზიული პროცესების შეჩერება, ზღვის სანაპირო ზოლის შენარჩუნება და დაცვა წარეცხვისაგან.

დროებითი ნაპირსამაგრი სამუშაოები ითვალისწინებს: მდინარე ჭოროხისა და მდინარე



კონტრიშის კალაპოტიდან 200 000 კბ.მ. ნატანის ამოღებას და აჭარის ზღვის სანაპიროს 3 წერტილში (ადლია, დაბა ჩაქვის სანაპირო ზოლი და ქ. ქობულეთი) ჩაყრას.

4.2.4 აჭარის სანაპირო ზოლის ადლიის ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სანაპირო ზოლის ადლიის ტერიტორიაზე აბრაზიული პროცესების შეჩერება

ნაპირსამაგრი სამუშაოები ითვალისწინებს ადლიის სანაპირო ზოლზე 719 მეტრი სიგრძის ფლეთილი ქვებით ბერმის მშენებლობას.

4.3 სატყეო სექტორის განვითარება

ტყის და ველური ბუნების დაცვა; ტყის აღდგენა/განახლება; გარემოს დაცვა.

რეგიონში მდგრადი ტყითსარგებლობის დანერგვა. ხე-ტყის მოპოვების პროცედურის გამარტივება, სოციალური ჭრებისათვის ტყეკაფების გამოყოფა და ტყის ფიზიკური დაცვის ღონისძიებების გატარება. ასევე ტყეების სანიტარიულ-ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

4.3.1 სატყეო სექტორის მართვა და მომსახურება

რეგიონში მდგრადი ტყითსარგებლობის დანერგვა. ხე-ტყის მოპოვების პროცედურის გამარტივება, სოციალური ჭრებისათვის ტყეკაფების გამოყოფა და ტყის ფიზიკური დაცვის ღონისძიებების გამკაცრება. ასევე ტყეების სანიტარიულ-ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს მეურნეობაში მყოფი ტყეების მართვის სტრატეგიის შემუშავება; ტყის მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის მიზნით სანიტარულ-ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლა-შეფასება, ტყეების გაჯანსაღების პროექტების განხორციელება; მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის სამსახურის შექმნა; სუბალპური, მეჩხერი და დეგრადირებული ტყის უბნების აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება; სოციალური ჭრების ტყეკაფების გამოყოფა, მოსახლეობის I და II ხარისხის ხე-ტყის უზრუნველსაყოფად; მონიტორინგი ტყეების ფიზიკურ დაცვასა და პროექტების შესრულების მიმდინარეობაზე.

4.3.2 ტყის მოვლა-აღდგენა

დეგრადირებული სუბალპური ტყის მასივების აღდგენა; ტყის მდგრადობის შენარჩუნება; მავნებლით დაავადებული ტყის ფართობების შემცირება.

დეგრადირებული სუბალპური ტყის მასივების აღდგენა ითვალისწინებს 100 ჰა ფართობის შემოღობვას და ბუნებრივი განახლების ხელშეწყობას; ენერგეტიკული ტყის გაშენება იგეგმება 12 ჰა ფართობზე და ითვალისწინებს ფართობის შეღობვას და სწრაფმოზარდი ჯიშის ნერეგების დარგვას; მავნებელი მბეჭდავი ქერქიჭამიის საწინააღმდეგო ღონისძიების ფარგლებში მოხდება 1500-2000 ჰა ფართობზე 6000 ცალი ფერომონის განთავსება, ხოლო ფოთლოვან სახეობებში გავრცელებული მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიება ითვალისწინებს მავნებელ-დაავადებების იდენტიფიცირებას, შეფასებას და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას.

5 საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური განვითარებისათვის საავტომობილო ტრანსპორტის სწრაფი, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა სამელიორაციო სისტემების შექმნის გზით.

5.1 საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირება.

5.2 საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა



ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, საგზაო კომუნიკაციების და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა, მოდერნიზაცია და განვითარება.

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო კომუნიკაციების რეაბილიტაცია-განვითარება და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, სამელიორაციო სისტემების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის და შიდაქსელური არხების რეაბილიტაცია. ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ადმინისტრაციულ და საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების შეკეთება-რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია და განვითარება.

6 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურიზმის და კურორტების განვითარების ხელშეწყობა. რესპუბლიკის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაცია.

6.1 ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და მომსახურების მიწოდება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ტურიზმისა და კურორტების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

6.2 რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ტურიზმისა და კურორტების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ბაზარზე;

პირდაპირი სარეკლამო კამპანიების წარმოება მიზნობრივ ბაზრებზე;

საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენებში მონაწილეობა;

სარეკლამო-საინფორმაციო პროდუქციის მომზადება და გავრცელება;

სარეკლამო-საინფორმაციო ტურების ორგანიზება;

ონლაინ-მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება;

საერთაშორისო ფესტივალებისა და კონფერენციების ორგანიზება;

ახალი ტურისტული მარშრუტების მარკირება და შედგენა;

აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

6.2.1 რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია ქვეყნის შიდა ბაზარზე;

სარეკლამო კამპანიების წარმოება, სარეკლამო-საინფორმაციო პროდუქციის მომზადება და გავრცელება და ბაზრობა-გამოფენებში მონაწილეობა ქვეყნის შიგნით;

საერთაშორისო ფესტივალებისა და კონფერენციების ორგანიზება;

სარეკლამო-საინფორმაციო ტურების ორგანიზება;

დეპარტამენტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

6.2.2 მარკეტინგული ღონისძიებების ჩატარება საერთაშორისო ბაზარზე

რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე

მიზნობრივ ბაზარზე პირდაპირი სარეკლამო კამპანიების წარმოება;

საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენებში მონაწილეობა და სარეკლამო-საინფორმაციო პროდუქციის გავრცელება;

სარეკლამო-საინფორმაციო ტურების ორგანიზება;

6.3 ბათუმის ბულვარი

მოსახლეობისა და დამსვენებელთა გაჯანსაღების, დასვენების ეფექტური პირობების



უზრუნველყოფისათვის საკურორტო ინფრასტრუქტურის შემდგომი გაფართოება, დასვენებისა და ტურიზმის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პირობების შექმნა.

ინფრასტრუქტურის მოწყობა;

ბულვარის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების, დეკორატიული მცენერებისა და ყვავილების გამწვანება-განაშენიანება, მათი დეკორატიული ფორმირება;

ბულვარის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და ცალკეული ფართობების პროექტირება; მათი ლანდშაფტური დიზაინის დამუშავება;

ამორტიზირებული და გადაბერებული ხე-მცენარეების შეცვლა ახლით;

7 ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

განათლების სისტემის მართვა;

განათლების სისტემის ინსტიტუციური და პროგრამული რეფორმირების ხელშეწყობა;

სოციალურ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;

ეკონომიკის ახალ მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების ფორმირების ხელშეწყობა;

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ორგანიზება;

განათლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ხელშეწყობა.

7.1 განათლების მართვა, კულტურისა და სპორტის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება.

7.2 განათლების ხელშეწყობა და ხარისხის გაუმჯობესება

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში კონტროლი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების, სტანდარტების და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებას მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

საინფორმაციო ბანკის შექმნა სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-საგანმანათლებლო, საადმზრდელო, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო-საადმზრდელო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების შესახებ;

7.3 საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს სამუშაო და სასწავლო პირობების გაუმჯობესებას, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას განათლების მიღებისათვის და სასწავლო-ადმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას.

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა, რაც დღემდე ეტაპობრივად ხორციელდება.

7.3.1 საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს სამუშაო და სასწავლო პირობების გაუმჯობესებას, მოსწავლეებისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას განათლების მიღებისათვის და სასწავლო-ადმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას.

6 საჯარო სკოლის მშენებლობა და 1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, 3 საჯარო სკოლის სამონტაჟო სამუშაოები.

7.3.2 საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა

აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა.



ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სსიპ დაბა შუახევის საჯარო სკოლის საპანსიონო კორპუსის მშენებლობა (2014-2015 წელი) და სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა საპანსიონო კორპუსის რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა (2014 წელი)

7.3.3 საჯარო სკოლების ინვენტარით აღჭურვა

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ხელშეწყობა და საჯარო სკოლების ინვენტარით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის ფარგლებში 2010 და 2014 წელს რეაბილიტირებული/აშენებული საჯარო სკოლები აღიჭურვებიან უახლესი და თანამედროვე ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით მოსწავლეთა ასაკობრივი და ფიზიკური თავისებურებების გათვალისწინებით; სასკოლო დაფებით, საკლასო კარადებითა და მასწავლებლის კუთხით; თანამედროვე და მასწავლებლების საჭიროებებზე მორგებული სამასწავლებლო ოთახით. სკოლებში ახალი სასკოლო ინვენტარი იქნება ეკოლოგიურად სუფთა და დააკმაყოფილებს სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. მოსწავლეთა ასაკობრივი და ფიზიკური თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული ინვენტარით სკოლების აღჭურვა გააუმჯობესებს მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, შეამცირებს მათი სქოლიოზისა თუ სხვა დაავადებების რისკს.

7.3.4 სპორტის განვითარების ხელშეწყობა სკოლებში

საჯარო სკოლების სპორტული დარბაზების კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს სამუშაო და სასწავლო პროცესების გაუმჯობესებას და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას, ჯანსაღი და სპორტული ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და სხვადასხვა სპორტული სახეობების პოპულარიზაციას მოსწავლეთა შორის.

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ.“ ქვეპუნქტის თანახმად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად უნდა ჰქონდეს სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი. აღსანიშნავია, რომ შერჩეული სკოლების რეაბილიტაცია/მშენებლობა განხორციელდა 2005 წლის შემდგომ პერიოდში, თუმცა სპორტულ დარბაზებს აღნიშნული რეაბილიტაცია არ შეხებია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 6 სასპორტო დარბაზის რეაბილიტაცია

7.4 განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლის ხარისხის ამაღლება და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა

- პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებისათვის კონკურსის წესით შეირჩევა და დასაქმდება 35 მასწავლებელი.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული 20 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა შეივსება წიგნადი ფონდით და გაიზრდება მხატვრული და სხვ. ლიტერატურის ხელმისაწვდომობა.

- სწავლის დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები მაღალმთიანი აჭარიდან, ობოლი, მრვალაშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან;

- კონკურსის წესით დაფინანსდება საშუალოდ 10 ბენეფიციარი, ჩატარდება საშუალოდ 9 ღონისძიება ;

- 18-დან 32 წლამდე ასაკის საქართველოს 15 მოქალაქე სტაჟირებას გაივლის ევროპის რომელიმე ქვეყანაში და აჭარის რეგიონში მიღებული იქნება არაუმეტეს 2 უცხოელი სტაჟიორი.

7.4.1 ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო) სწავლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია ახალგაზრდა და კვალიფიციური კადრების



შერჩევა და იმ სკოლებში დასაქმება, სადაც ამის განსაკუთრებული საჭიროებაა. რესურსცენტრების მიერ მოწოდებული ინფორმაციით სკოლებში არსებული ვაკანსიების შესახებ დგინდება, რომ ზოგიერთი მუნიციპალიტეტის (ქედა, შუახევი, ხულო) სკოლებში ამა თუ იმ საგნის მასწავლებელი საერთოდ არ არსებობს. განსაკუთრებით პრობლემურია ინგლისური ენის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები. შესაბამისად, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის“ ქვეპროგრამის ფარგლებში 2013-2014 სასწავლო წლის ვადით შერჩეულ მასწავლებლებთან გაფორმდება ხელშეკრულება 2014-2015 სასწავლო წლისათვის. დარჩენილ ვაკანსიებზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო კონკურსის წესით შეარჩევს მასწავლებლებს, რომლებიც იმუშავენ მუნიციპალიტეტების იმ საჯარო სკოლებში, სადაც ამის განსაკუთრებული საჭიროებაა.

7.4.2 საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების განვითარება

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ხელშეწყობა და საჯარო სკოლების წიგნადი ფონდით უზრუნველყოფა.

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/5 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში საჯარო სკოლების ბიბლიოთეკები შეივსება ქართველი და მსოფლიო კლასიკოსების, საბავშვო, საყმაწვილო, შემეცნებითი ხასიათის, ლექსიკონებითა და სხვა სახის ლიტერატურით. მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული წიგნებით სკოლების აღჭურვა გააუმჯობესებს მოსწავლეთა ცოდნის დონეს. ქვეპროგრამის ფარგლებში 2014 წელს აქცენტი გაკეთდება ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებზე, რადგანაც მოსწავლეებს მუნიციპალიტეტებში ნაკლებად მიუწვდებათ ხელი საბიბლიოთეკო ფონდზე.

7.4.3 სტუდენტთა დახმარება

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა სტუდენტებისათვის მაღალმთიანი აჭარიდან, ობოლი, მრვალაშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან.

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტის დაფინანსება გაიცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით დადგენილი სტუდენტთა დაფინანსების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.

7.4.4 უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამით ისარგებლებენ სტუდენტები, ლექტორ-მასწავლებლები და უნივერსიტეტები აჭარაში. საგანმანათლებლო და სამეცნირო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებების ორგანიზება.

7.4.5 უცხოეთში სტაჟირება

უცხოეთში სტაჟირების ქვეპროგრამის მიზანია კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად ახალგაზრდების მომზადება. უცხოეთში სტაჟირების ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად საქართველოს დაუბრუნდებიან კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული სპეციალისტები, რომლებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ რეგიონის ადმინისტრაციულ, კულტურულ-საგანმანათლებლო და მომსახურების სფეროს მუშაობის დონის ამაღლების საქმეში.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მცხოვრებ 18-დან 32 წლამდე ასაკის საქართველოს 15 მოქალაქეს,



რომელსაც აქვს პროფესიული ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი და ფლობს იმ ქვეყნის სახელმწიფო ენას, სადაც სტაჟირებას გაივლის.

სტაჟირების პერიოდი, რომლის ხანგრძლივობა 3-დან 7 თვემდეა, მოიცავს ერთთვიან უცხო ენის ინტენსიურ კურსს, პროფესიულ პრაქტიკას პროგრამის მონაწილე ევროპის რომელიმე რეგიონის კერძო ან საჯარო სტრუქტურაში და მიმღები რეგიონის მიერ შემუშავებულ კულტურულ პროგრამას. სტაჟორი ფინანსდება მასპინძელი რეგიონის ბიუჯეტიდან და აკომოდაციისა და კვების ხარჯების დაფარვის მიზნით, მიიღებს ყოველთვიურ სტიპენდიას 700-დან 800 ევრომდე.

7.5 განათლების ხარისხის გაუმჯობესება

განათლების ხარისხის ამაღლება. მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის გაზრდა.

პროგრამა ხელს შეუწყობს სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებას, მოსწავლეების ჩართულობას სხვადასხვა სასკოლო აქტივობებში და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას.

7.5.1 სასკოლო კლუბების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასკოლო კლუბების განვითარების ხელშეწყობა.

სასკოლო კლუბების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასკოლო კლუბების განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს არანაკლებ 8 სასკოლო კლუბების ინიციატივას. დაფინანსების მაქსიმალური თანხა შეადგენს 3 000 (სამი ათასი) ლარს.

7.5.2 კონკურსები და ოლიმპიადები

მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლება.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში ჩაერთვება არანაკლებ 15000 მოსწავლე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლებიდან. მოტივირებული მოსწავლეები მაქსიმალურად ცდილობენ გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, ისინი ღებულობენ უკეთეს შეფასებებს, იქცევიან უკეთ. ასეთი მოსწავლეები გამოირჩევიან მეტი თავდაჯერებულობით, თვითრწმენით და მიზანდასახულობით.

ამ მიზნით ჩატარდება საგნობრივი ოლიმპიადა, ლიტერატურისა (პოეზია/პროზა) და ხატვის კონკურსი. პირველი საფეხურის მოსწავლეთათვის კონკურსი ქართულ ენასა და ლიტერატურაში, შემეცნებითი ექსკურსიები.

7.6 გაძლიერებული (ინგლისური ენა, ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლება

სკოლაში უცხო ენების (განსაკუთრებით ინგლისური ენის) გაძლიერებული, ინტენსიური შესწავლა თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდებით; ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობის გამო სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის სირთულეების დასაძლევად და მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინგლისური ენისა და ფიზიკა - მათემატიკის გაძლიერებული სწავლების მიზნით ქ. ბათუმის საჯარო სკოლის მოსწავლეები უცხო ენის სწავლების გაძლიერებულ კურსებს გაივლიან ქ. ბათუმის №4 საჯარო სკოლაში და ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებულ კურსს ქ. ბათუმის №6 სკოლაში.

საგნის/საგნების გაძლიერებულად (სპეციალიზირებულად) სწავლება მსოფლიოში მიღებული და გავრცელებული პრაქტიკაა. სპეციალიზირებული სკოლის სტატუსი ხელს უწყობს სკოლაში სწავლა-სწავლების სტანდარტის ამაღლებას, როგორც სპეციალიზირებულ საგან/საგნებში, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სხვა სავალდებულო/არჩევით საგნებში. საგნის/საგნების სპეციალიზირებულად სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას,



სპეციალიზირებული სკოლის სტატუსი ხელს უწყობს სკოლებს შორის კონკურენციასა და არჩევანის გაზრდას.

7.7 უწყვეტი განათლება

უცხო ენებისა და კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა. მასწავლებელთა გადამზადება.

მოსახლეობისთვის უცხო ენების სწავლება;

მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა;

განათლების პოპულარიზაცია და საზოგადოების სოციალური მხარდაჭერა.

7.8 საჯარო სკოლების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც ახორციელებენ საპანსიონო მომსახურებას

საჯარო სკოლები, რომლებიც ახორციელებენ საპანსიონო მომსახურებას, ბავშვების საცხოვრებელი მატერიალური ბაზის კეთილმოწყობის აუცილებლობა და სასწავლო გარემოს სტანდარტებთან მისადაგება; ხარისხიანი ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა;

ყველა მოსწავლეს, მიუხედავად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება კომფორტულ და ესთეტიურ პირობებში, რაც მოსწავლეს მისცემს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების რეალიზაციის საშუალებას. ამ მიზნით ხორციელდება საპანსიონო სუბსიდირება, სადაც გათვალისწინებულია ბავშვების საცხოვრებლის მატერიალური ბაზის კეთილმოწყობა, ბავშვები უზრუნველყოფილი არიან კვებით და სხვა საცხოვრებელი ყველა საჭირო მომსახურებით.

7.9 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

სკოლისგარეშე სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა;

სახელოვნებო განათლების ხარისხის ამაღლება და კულტურისა და ხელოვნების სფეროს კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფა;

სახელოვნებო სკოლების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და ინსტიტუციური განვითარება გეგმის შემუშავება;

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და ამოქმედების ხელშეწყობა;

სახელოვნებო საგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეების მხარდაჭერა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის გზით.

პროგრამა ემსახურება სახელოვნებო განათლების, როგორც კულტურის პრიორიტეტული სფეროს ხარისხის ამაღლების ხელშეწყობას და კულტურისა და ხელოვნების სფეროს უზრუნველყოფას კვალიფიციური კადრებით, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება, ქორეოგრაფიით, კლასიკური მუსიკით და ხელოვნების სხვა დარგებით, შემეცნებითი აქტივობებით.

7.10 სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა

ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში, მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება;

ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება;

სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა;

სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება;

საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძლობა;

საწვრთნელი საქმიანობის ხარისხის ამაღლება.

7.11 უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისა და ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობის ხელშეწყობა.

8 კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია



კულტურის სისტემის მართვა;
კულტურის ობიექტების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ხელშეწყობა;
კულტურის სფეროში არასახელმწიფო სექტორის როლის ზრდის უზრუნველყოფა და ინსტიტუციური მართვის გაუმჯობესება;
კულტურის დაწესებულებების ოპტიმალური ინსტიტუციური მოწყობა.

8.1 საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა

აჭარაში საშემსრულებლო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა მოიცავს საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში ბრიტანეთის და აჭარის თეატრების, მუსიკალური ცენტრის და სხვა წარმომადგენლების თანამშრომლობას, რომელიც განხორციელდება საგანმანათლებლო და შემოქმედებითი მიმართულებებით.

აჭარაში საშემსრულებლო ხელოვნების დაწესებულებების ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას აუდიტორიის მოზიდვის პრობლემები და მაცურებლის სიმცირე განაპირობებს, რაც პირდაპირ აისახება თეატრების და სხვა, საშემსრულებლო ხელოვნების დაწესებულებების წარმატებულ ფუნქციონირებაზე. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ პროგრამის ფარგლებში ბრიტანელი ექსპერტების მონაწილეობით განხორციელდება ქართული, კერძოდ, აჭარის აუდიტორიის კვლევა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდება რეკომენდაციები, რაც საშუალებას მისცემს საშემსრულებლო ხელოვნების წარმომადგენლებს გაეცნონ აუდიტორიის საჭიროებებს, ინტერესებს და არსებული მოთხოვნების შესაბამისად შეიმუშავონ აუდიტორიის მოზიდვისა და მარკეტინგის სტრატეგიები.

შემოქმედებითი მიმართულებით პროგრამის ფარგლებში შეიქმნება ქართულ-ბრიტანული ერთობლივი სპექტაკლები. ამ მიზნით ბრიტანული მხარე შეარჩევს და დაგვავაჟშირებს ახალი თაობის ბრიტანელ რეჟისორებს, რომლებიც აჭარის თეატრებში და მუსიკალურ ცენტრში თანამედროვე ბრიტანელი დრამატურგების პიესების საფუძველზე განახორციელებენ ერთობლივ სპექტაკლს.

8.2 აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

რეგიონში კინოხელოვნების განვითარება, კინოწარმოებისა და კინოგანათლების ხელშეწყობა

8.3 ფოლკლორის ხელშეწყობა

აჭარაში არსებული ფოლკლორული ანსამბლების სასცენო კოსტიუმებითა აქსესუარებით უზრუნველყოფა

8.4 კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურის სფეროს გააქტიურება და პოპულარიზაცია

კულტურული ცხოვრების განვითარება და მოსახლეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა კულტურული აქტივობებით მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარების და ცნობიერების ამაღლებისათვის, რაც თავის მხრივ განაპირობებს ძლიერი და განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ამ კუთხით რეგიონში არაერთი ხელოვნებისა და კულტურის პროექტი ხორციელდება, იმართება სხვადასხვა ფესტივალები, კონცერტები, გამოფენები და სხვა აქტივობები, რაც ხელს უწყობს ხელოვნების შემოქმედებით ზრდას, რეგიონში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას და კულტურის და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის გაზრდას.

8.5 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია

სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების გზით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში არსებული კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება, ასევე არსებული მუზეუმების რეაბილიტაცია, პოპულარიზაცია და სამუზეუმო ქსელის გაფართოება.



8.6 მუზეუმებისა და გალერეების განვითარება

სამეცნიერო-კვლევითი, საექსპოზიციო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად და მუზეუმებში ფართო საზოგადოების მოზიდვის ხელშეწყობა.

- სამუზეუმო ექსპონატების შეგროვება, მეცნიერული შესწავლა, დაცვა;
- სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების ჩატარება;
- გასვლითი გამოფენების მოწყობა;
- არქეოლოგიური ექსპედიციების წარმოება;
- ექსპოზიციების რეგულარული განახლება;
- მრავალფეროვანი სინთეზური პროექტების (გამოფენები, კამერული კონცერტები, თეატრალიზებული წარმოდგენები, დოკუმენტური ფილმების ჩვენება) განხორციელება.
- რეაბილიტაცია უტარდება აჭარის ხარიტონ ახლედიალის სახელობის მუზეუმს.

8.7 სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა

სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობის მიზნით აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს სასცენო, სამუსიკო და თეატრალური ხელოვნების სფეროში პოლიტიკის განხორციელებას, განვითარების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას. ასევე სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების განვითარებას; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების გასტროლებს, უცხოური დასების აჭარაში მიღებას და სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

ახალი და მაღალმხატვრული ღირებულების თეატრალური და საოპერო სპექტაკლების დადგმა; თეატრის რეპერტუარის განახლება; კლასიკური მუსიკის, საგუნდო და საოპერო კონცერტების გამართვა; ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების საუკეთესო ნიმუშების დადგმა.

8.8 პროფესიულ-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერა

კულტურის სფეროში არასამთავრობო სექტორის განვითარების ხელშეწყობა. ქართული მწერლობის, სალიტერატურო საქმიანობის, სახვითი გამოყენებითი, თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, შემოქმედებითი პროცესების გააქტიურება.

სახელმწიფო ხელს უწყობს საქართველოში კულტურული სფეროს მოდერნიზაციას პროფესიულ-შემოქმედებითი გაერთიანებების საქმიანობას, რომელთა მიზანია ხელოვნებისა და კულტურის ცალკეული დარგის განვითარება.

8.9 საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა

გაზეთების ბეჭდვა-გავრცელების ხელშეწყობა.

გაზეთების ბეჭდვა-გავრცელების ხელშეწყობა. საგაზეთო გვერდების რაოდენობის პერიოდული ზრდა

9 სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს ხელშეწყობა

სპორტის სისტემის მართვა; სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ხელშეწყობა; სპორტის სფეროში არასახელმწიფო სექტორის როლის ზრდის უზრუნველყოფა და ინსტიტუციური მართვის გაუმჯობესება; ახალგაზრდობის ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, ფორმირება და სრულყოფა.

9.1 სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს მართვა



სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ხელშეწყობა;
სპორტის სფეროში არასახელმწიფო სექტორის როლის ზრდის უზრუნველყოფა და ინსტიტუციური მართვის გაუმჯობესება;

9.2 სპორტის ხელშეწყობა

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება და ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული გამოსვლა.

9.2.1 სპორტული ღონისძიებები

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია იმ მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაფინანსება, რომლებიც ჩატარდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, ასევე აჭარის სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა რანგის გასვლით ღონისძიებებში.

9.2.2 აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები

სპორტის ცალკეულ სახეობებში მიღწეული წარმატებებისათვის სპორტსმენთა და მწვრთნელთა მატერიალური წახალისება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენთა და მწვრთნელთა ცხოვრების ეკონომიური და სოციალური პირობების გაუმჯობესება, სპორტის სახეობების მიხედვით ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა შორის კონკურენციის გაზრდა.

ინდივიდუალურ სახეობებში, 2014 წლის განმავლობაში მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატებსა და პირველობებში, საერთაშორისო ტურნირებში, მსოფლიო თასის გათამაშებებში, საქართველოს ჩემპიონატებსა და პირველობებში მიღწეული შედეგების მიხედვით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი სახეობები გადანაწილდებიან 3 ჯგუფად. I და II ჯგუფში ოლიმპიური სპორტის, III ჯგუფში - არაოლიმპიური სპორტის სახეობები.

9.2.3 სათამაშო სახეობათა განვითარების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გუნდური თამაშების: ხელბურთის, ფრენბურთის, წყალბურთის, ფეხბურთისა და რაგბის შემდგომი პოპულარიზაცია და განვითარება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდული, ჭაბუკთა და კადეტთა ნაკრები გუნდების მომზადება ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად გამოსვლისათვის.

აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა ოსტატობის ამაღლება.

ქვეპროგრამის თანახმად ხელბურთის, ფრენბურთის, წყალბურთის, ფეხბურთისა და რაგბის ნაკრები გუნდები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა სამატჩო შეხვედრებში და სასწავლო საწვრთნო შეკრებებში.

ქვეპროგრამას განახორციელებს აჭარის ოლიმპიური კომიტეტი შესაბამისი სახეობების ფედერაციებთან კოორდინირებული მუშაობით, თითოეული სახეობების მიხედვით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი იქნებიან თითოეული სახეობის მიხედვით კოორდინატორები ჩასატარებელი ღონისძიებების ზედამხედველობისა და საორგანიზაციო საკითხების მოგვარების მიზნით.

9.2.4 აჭარის სპორტის სახეობათა ნაკრები გუნდების მზადება „ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი თბილისი – 2015“

ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია 2015 წელს თბილისში გასამართ ახალგაზრდული ოლიმპიურ ფესტივალისათვის „თბილისი - 2015“ აჭარის ნაკრები გუნდებისთვის შესაბამისი კანდიდატების შერჩევა და სპორტის შვიდ სახეობებში (ველოსპორტი, ჩოგბურთი, კალათბურთი, მძლეოსნობა, ძიუდო, ფრენბურთი, ხელბურთი) გუნდის წევრების მომზადება, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების და საკონტროლო შეხვედრების ჩატარება ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, რომელსაც განახორციელებს აჭარის ოლიმპიური კომიტეტი შესაბამისი ფედერაციებთან კოორდინირებული მუშაობით.

პროგრამის დროულად დაწყება ხელს შეუწყობს 2015 წლის ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის მომზადებას, ნიჭიერი ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენას, რაც საბოლოოდ 2015 წლის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე ქართველი სპორტსმენების წარმატებული გამოსვლის საწინდარი იქნება.



9.2.5 აჭარის ნაკრები გუნდების წევრების პირველობების გამარჯვებულებისა და პრიზიორების პირადი და მთავარი მწვრთნელების სპორტული ფორმებით აღჭურვა

სპორტის სხვადასხვა სახეობების ნაკრები გუნდების წევრების (დიდები, ახალგაზრდები), მთავარი და პირადი მწვრთნელების სპორტული ფორმით უზრუნველყოფა.

თანამედროვე სპორტული ფორმა გადაეცემა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის, საერთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირების გამარჯვებულებს, პრიზიორებს, ასევე აჭარის ნაკრების წევრებს (დიდები, ახალგაზრდები), რომლებიც იცავენ აჭარის რეგიონის ღირსებას სხვადასხვა ტურნირებსა და ჩემპიონატებში, მათ პირად მწვრთნელებს, აჭარის ასაკობრივი ნაკრებისა და გუნდების მთავარ მწვრთნელებს.

9.2.6 მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება

საპენსიო ასაკის, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონების, პრიზიორების, სპორტის დამსახურებულ მუშაკების, მოღვაწეებისა და მწვრთნელთა ფინანსური დახმარება.

საპენსიო ასაკის, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონების, პრიზიორების, სპორტის დამსახურებულ მუშაკების, მოღვაწეების და მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა. საპენსიო და არასაპენსიო ასაკის სპორტის მუშაკთა, სპორტის დამსახურებულ მუშაკთა, მოღვაწეთა და მწვრთნელთა იუბილეებისა და სხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით მატერიალური მხარდაჭერის გაწევა, ასევე საპენსიო და არასაპენსიო ასაკის სპორტის მუშაკთა, სპორტის დამსახურებულ მუშაკთა, მოღვაწეთა და მწვრთნელთა გარდაცვალების შემთხვევაში მათი ოჯახებისათვის მატერიალური მხარდაჭერის გაწევა.

9.3 ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობა

კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, რეგიონის ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით.

10 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების, მათ შორის სოციალურად დაუცველი კატეგორიებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სამედიცინო პროგრამების გარეთ დარჩენილი რისკების მართვა და დაფინანსება.

სოფლის მოსახლეობისათვის ექიმადელი სამედიცინო დახმარების მიწოდება. თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული მედიკოსების თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, კვალიფიკაციის ამაღლება. სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა. სქოლიოზითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაცია.

10.1 ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, დასაქმების, დევნილთა და განსახლების სფეროში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება.

10.2 სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა

მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების, მათ შორის სოციალურად დაუცველი კატეგორიებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სამედიცინო პროგრამების გარეთ დარჩენილი რისკების მართვა და დაფინანსება.

მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება;
გულის ქირურგია;
სახსრების ენდოპროთეზირება;
ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა;
სოფლის მოსახლეობის ექიმადელი სამედიცინო დახმარება;
თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადება;
ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია;
სქოლიოზითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაცია;
სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა.



10.2.1 მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკების მართვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ოჯახის მცირე შემოსავლების გამო არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები დაფაროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ იფარება სახელმწიფოს მიერ და მას ამის აუცილებლობა დაუდგა. ხშირ შემთხვევაში სამედიცინო დახმარების მიღება მათთვის ფინანსურად ხელმიუწვდომელი რჩება, რის შედეგად იზრდება გართულებულ შემთხვევათა რაოდენობა, შრომისუუნარობისა და სიკვდილიანობის რისკი.

ქვეპროგრამით მოსარგებლეთა კატეგორია:

პაციენტები სტიქიური უბედურებებით, კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები; ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეები;

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები; უსახლკაროთა თავშესაფარის კონტინგენტი; უსახლკაროები; მარტოხელა დედები და პაციენტები, რომლებიც ამ დროისთვის არ არიან რეგისტრირებულნი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, არა აქვთ მინიჭებული სარეიტინგო ქულა, მაგრამ მათი მატერიალური მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას დააფინანსოს აუცილებელი მკურნალობა, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან წარმოდგენილი შუამდგომლობით.

10.2.2 გულის ქირურგია

18-წლის ასაკიდან მოსახლეობის (რომლებიც არ სარგებლობენ სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სხვადასხვა სამედიცინო პროგრამებით) კარდიოქირურგიული მკურნალობა, გულის დაავადებების მძიმე ფორმებით გამოწვეული ლეტალობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის შემცირება.

გულის თანდაყოლილი და შექმნილი მანკებით, გულის იშემიური დაავადებით, გულის სიმსივნით დაავადებულ პაციენტთათვის დროულად მიწოდებული კარდიოქირურგიული დახმარება მნიშვნელოვნად ამცირებს სიკვდილობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის რისკს, რაც დღის წესრიგში აყენებს მოზრდილი მოსახლეობისათვის კარდიოქირურგიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის აუცილებლობას.

10.2.3 სახსრების ენდოპროთეზირება

მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური კატეგორიისათვის რესურსტევადი, მაღალტექნოლოგიურ სახსრების ენდოპროთეზირების ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად მოიმატა ტრავმის შემდგომი მდგომარეობებითა და სახსრების ართროზით დაავადებულ მოქალაქეთა მომართვიანობამ. ავადმყოფები საჭიროებენ რესურსტევად მაღალტექნოლოგიურ ოპერაციულ ჩარევას ენდოპროთეზირების სახით. მძიმე სოციალური პირობების გამო, მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები, რომ უზრუნველყოს აღნიშნული პათოლოგიის ქირურგიული სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რის გამოც იზრდება დაავადებათა გართულებების რაოდენობა, დროებითი და მყარი შრომისუუნარობის შემთხვევები. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით.

10.2.4 ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა

სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.



მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპიუტერულ ტომოგრაფიული, მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიული, კორონაროგრაფია/ვენტრიკულოგრაფიული, ანგიოგრაფიული და სხვა კვლევები. მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური გამოკვლევები ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მიუწვდომელი რჩება, მაშინ როდესაც მთელი რიგი დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

10.2.5 სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება

სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამის ამოქმედებით აჭარის სოფლის მოსახლეობა ადგილზე უზრუნველყოფილი იქნება ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით, თემის სამედიცინო პუნქტებს მიეწოდება პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების ყოველთვიური მარაგი და სადიაგნოსტიკო საშუალებები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სოფლის დასახლებულ ადგილებში, განსაკუთრებით მთიან მუნიციპალიტეტებში, გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია, რამაც გამოიწვია მათთვის ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზების აუცილებლობა.

10.2.6 თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადება

თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული ექთნების პროფესიული დონის ამაღლება, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, პრაქტიკული და თეორიული უნარ-ჩვევების დახვეწა, შენარჩუნება და განვითარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობისათვის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების მიწოდების მიზნით ფუნქციონირებს თემის სამედიცინო პუნქტები. აუცილებლობა მოითხოვს თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული მედლების თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემდგომ გაუმჯობესებას, მათ კვალიფიკაციის ამაღლებას. აღნიშნული ქვეპროგრამის შესაბამისად, 2014 წელს გადამზადდება თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული 228 ექთანი. (თემატიკა: 1. ბავშვთა ასაკის უხშირესი დაავადებათა მართვა საექთნო დონეზე, ბავშვთა კვებისა და განვითარების საკითხები; 2. მოზრდილი მოსახლეობის ქრონიკულ დაავადებათა მონიტორინგი და რეფერალის ჩვენებები)

10.2.7 ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია

ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებების მქონე ბავშვებისათვის ფსიქოსომატური რეაბილიტაციის კურსების მიწოდება.

2013 წლისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღრიცხვაზე იმყოფებოდა 248 ბავშვთა ცერებრალური დამბლისა და სხვა პარალიზური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვი. ქვეპროგრამა განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. სამიზნე ჯგუფისთვის გაწეული მომსახურება (1 კურსი - 15 დღე) ანაზღაურდება სარეაბილიტაციო ღონისძიებების ტარიფით 350 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით გაწეული მომსახურება ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ მომსახურების ღირებულების 100%-ით. პაციენტებს რეაბილიტაციის კურსით გათვალისწინებული ღონისძიებები ჩაუტარდებათ პაციენტის ინდივიდუალური აბილიტაციის გეგმის შესაბამისად, რომლის ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული სრული კურსის ტარიფს (350 ლარი).

პაციენტის საჭიროების გათვალისწინებით შესაძლებელია რეაბილიტაციის კურსით გათვალისწინებული ღონისძიებების რაოდენობის ცვლილება. წელიწადში 1 პაციენტს დაუფინანსდება არაუმეტეს 4 კურსისა. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი მოითხოვს რეაბილიტაციის დაფინანსებას დაწესებულებაში, სადაც მომსახურება მიეწოდება განსხვავებული პირობებით და მისი ღირებულება აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ტარიფს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს მის დაფინანსებას ქვეპროგრამით გათვალისწინებული ტარიფის შესაბამისად, ხოლო დარჩენილ ნაწილს დაფარავს ბენეფიციარი.

10.2.8 სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია



სქოლიოზით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის მოზარდებისათვის რეაბილიტაციის კურსების მიწოდება

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 2012 წელს ახორციელებდა სამიზნე ჯგუფში (საბავშვო ბაღების აღსაზრდელები და საჯარო სკოლების 1-8 კლასების მოსწავლეები) მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენის ქვეპროგრამას. 34 574 გამოკვლეულიდან 3000-მდე ბავშვს გამოუვლინდა სქოლიოზი. ამ ბავშვების დაახლოებით 85%-ს ესაჭიროება სარეაბილიტაციო მკურნალობა.

10.2.9 სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა

სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ექიმებისა და მედდების პროფესიული გადამზადება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მობილურობის გაზრდის მიზნით მათთვის მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა.

10.3 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ჯანმრთელობის აცილებადი რისკების მართვა, ეპიდეითილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია.

პრიორიტეტული საკითხების ირგვლივ სამიზნე ჯგუფებისა და მოსახლეობის ინფორმირება, მოსწავლე - ახალგაზრდობისა და მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ჩართულობა;

გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის და კონტროლი, ეპიდსაწინააღმდეგო და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

პრიორიტეტული საკითხის ირგვლივ სამიზნე ჯგუფებისა და მოსახლეობის ინფორმაციულობის ზრდა, ჩართულობა.

შერჩეულ სამიზნე ჯგუფში სამედიცინო სკრინინგული გამოკვლევების განხორციელება დაავადების ადრეული გამოვლენის მიზნით;

C ვირუსული ჰეპატიტის დიაგნოსტიკა მოზრდილ მოსახლეობაში ინფიცირების სტატუსის დადგენის მიზნით.

ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა ორსულებში (ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების 0-200 000 მდე სარეიტინგო ქულის მქონე ორსულები), ორსულებში გართულებათა თავიდან აცილებისა და ჯანსაღი თაობის ფორმირების მიზნით.

კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში.

იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, მისი ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და განხორციელების ზედამხედველობა.

სახელმწიფო სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა შეკრება და გადაცემა.

11 მოსახლეობის სოციალური დაცვა

პენსიონერების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მოსახლეობის სოციალურად დაუცველი კატეგორიებისათვის სოციალური დახმარებების გაცემა, მათი უზრუნველყოფა სხვადასხვა დამხმარე საშუალებებით. სოფლებში საექიმო კადრების დამაგრების მიზნით მათი მატერიალური სტიმულირება და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებების გატარება. სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახების საბინაო პირობებით უზრუნველყოფა.

პენსიონერების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მოსახლეობის სოციალურად დაუცველი კატეგორიებისათვის სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელება.

მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა; მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით და სარეაბილიტაციო ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა.

11.1 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარება



100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების პროგრამა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედებს 2002 წლიდან, რაც ითვალისწინებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების გაწევას. ქვეპროგრამა აქტუალურია იმითაც, რომ აღნიშნულ მოქალაქეთა უმრავლესობა განიცდის ეკონომიურ სიდუხჭირეს და მისი განხორციელება ხელს შეუწყობს მათ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

11.2 ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ახალშობილი ტყუპების ოჯახების მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა იმ ოჯახებზე, სადაც დაიბადება ტყუპი - 2 ბავშვი 2000 ლარის, 3 ბავშვი - 3000 ლარის, 4 ბავშვი - 4000 ლარის ოდენობით და ა.შ. დახმარების თანხა ჩაირიცხება შშობლის (დედის ან მამის) საბანკო ანგარიშზე.

11.3 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სავარძელ-ეტლით უზრუნველყოფა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. გადაწყვეტილებას მოქალაქის დაფინანსების შესახებ დებულობს შესაბამისი კომისია, რომელიც იქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის ფარგლებში სავარძელ-ეტლის გაცემისას უპირატესობა ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოქალაქეებს.

11.4 სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ III-IV ხარისხის სმენაჩლუნგობის მქონე მოქალაქეები (18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ნებისმიერი ხარისხის). ქვეპროგრამის ფარგლებში ციფრული სმენის აპარატებით უზრუნველყოფა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით.

11.5 მიუსაფარ დედათა და ბავშთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მიუსაფარ დედებისა და ბავშვების დროებითი 24-საათიანი თავშესაფრით უზრუნველყოფა, ბენეფიციარების სადღეღამისო მომსახურება სამჯერადი კვებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტო სადილი, ბავშვის კვების პროდუქტებით მომარაგება, მათი უზრუნველყოფა ტანისამოსითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით, ბენეფიციართა ფსიქოლოგიური დახმარება, პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, დასაქმებაში დახმარება, სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება.

11.6 სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება

საექიმო კადრების სოფლებში დამაგრება და მათი სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის ბაზისური, უწყვეტი სამედიცინო მომსახურებისათვის სოფლის ექიმების მატერიალური სტიმულირება მათთვის ხელფასის დანამატის დანიშნით.

ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის ექიმები.

11.7 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უზრუნველყოფა მათ საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო, პედაგოგიური და სარეაბილიტაციო მომსახურების კურსებით.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების საჭიროებების კვლევის, რეაბილიტაციის და სამედიცინო მომსახურების ორგანიზებისათვის მიზანშეწონილია სადღეღამისო ცენტრის შექმნა, სადაც 25 დღიანი კურსის განმავლობაში განხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სამედიცინო მეთვალყურეობა, მათ საჭიროებებზე მორგებული სწავლება, მათი



ფსიქოლოგიური დახმარება, სადღეღამისო მომსახურება კვებით, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება.

11.8 სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა

სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა.

11.9 2008 წლის რუსული აგრესიისა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულთა ოჯახების დახმარება

2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული საომარი მოქმედებისა და 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა

12 დასაქმების ხელშეწყობა

დასაქმება მოქალაქეების კეთილდღეობისა და განვითარების მთავარი წინაპირობაა. იმ პირობებში როცა რეგიონში არის უმუშევრობის სერიოზული პრობლემა, ძალიან მნიშვნელოვანია დასაქმების ხელშეწყობი აქტივობების განხორციელება სამუშაოს მაძიებელთა დასახმარებლად და მათი შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

დასაქმების ხელშეწყობის ეფექტური პოლიტიკის შემუშავების მიზნით აუცილებელია შრომის ბაზრის სისტემატიური კვლევა, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს მიაწვდის სრულ ინფორმაციას შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების შესახებ და გასცემს უამრავ მნიშვნელოვან კითხვას პასუხს თუ რა ახდენს გავლენას სამუშაო ძალაზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსზე და რა შეიძლება გაკეთდეს ამ დისბალანსის შესამცირებლად.

12.1 დასაქმების ხელშეწყობა

ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების გამორკვევა და მათზე არსებული მიწოდების პრობლემების ფაქტორების გამოაშკარავება. ადგილობრივ შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსის შემცირებისთვის სტრატეგიის შემუშავება.

2009 წელს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აჭარის რეგიონში ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა რომელზე დაყრდნობითაც სააგენტო 2013 წლიდან ახორციელებს პროფესიული გადამზადების პროგრამას, თუმცა მას შემდეგ შრომის ბაზარზე არსებული სიტუაცია საკმაოდ შეიცვალა და პროგრამების წარმატებულად განხორციელების მიზნით ძალიან მნიშვნელოვანია გვექონდეს განახლებული და სრული ინფორმაცია შრომის ბაზარზე მიმდინარე მდგომარეობის შესახებ.

13 სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

სოფლის მეურნეობის პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობის მიღება და პოლიტიკის განხორციელება;
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა;
დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;
ქიმიო-ბაქტერიოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისა და მომხმარებლებისათვის მომსახურების გაწევა.

13.1 აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა

სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შემუშავებაში და მის პრაქტიკულ განხორციელებაში ადმინისტრაციული აპარატის მოქნილი, მაღალეფექტური და კოორდინირებული მართვის სისტემის უზრუნველყოფა.

13.2 ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა

თანამედროვე ტექნიკური საშუალებების მიწოდების გზით ფერმერთა ხელით შრომის შემსუბუქება, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მაღალაგროტექნიკური ღონისძიებებით დამუშავება, მაღალმემოსავლიანი მრავალწლიანი კულტურებით ბაღების გაშენება, მარტივი ტიპის სასათბურე



კონსტრუქციებით ფერმერთა უზრუნველყოფა, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, ფუტკრის ოჯახების გამრავლება და თაფლისა და თაფლის პროდუქტების წარმოების ამაღლება, ფერმერული მეურნეობის გაერთიანებების ჩამოყალიბება.

ამორტიზირებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ახალი და თანამედროვე ტექნიკით ჩანაცვლება. მეზოსტნეობაში ფერმერების უზრუნველყოფა სასათბურე კონსტრუქციებით. მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა. მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემდგომი განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების განხორციელება.

ფერმერთა ნაკვეთებზე ნიადაგის ნაყოფიერების ღონის ამაღლების მიზნით ქიმიური მელიორაციის ღონისძიების გამოყენება. ქვეპროგრამების მიზანია ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის დამკვიდრება, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლების ზრდა კერძო და ფერმერული მეურნეობების განვითარების საფუძველზე.

13.2.1 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა

თანადაფინანსების პრინციპით თვითმართველი ქ.ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ფერმერთა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების, განსაკუთრებით ხვნა-თესვითი ღონისძიებები ჯერ კიდევ ძველი და ამორტიზირებული ტექნიკითა და ცოცხალი გამწევი ძალით სრულდება, რის გამოც დაბალია შრომის ნაყოფიერება და გაზრდილია წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება.

სასოფლო-სამეურნეო ფართობების უმეტესი ნაწილი ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურებითაა დაკავებული, რომელთა მოვლა-დამუშავება საჭიროებს სხვადასხვა აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელებას. ამჟამად, მუნიციპალიტეტებში არსებული ტექნიკის ძირითადი ნაწილი ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილია, რისთვისაც მიზანშეწონილია გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები სოფლის მეურნეობის წარმოების პირობების გაუმჯობესებისა და ფერმერული მეურნეობების მცირე სამექანიზაციო საშუალებებით მომარაგების ხელშეწყობის მიმართულებით.

შესაბამისად, მიზანშეწონილია ტექნიკით ფერმერთა უზრუნველყოფა განხორციელდეს და ეტაპობრივად მოხდეს ფერმერთა დაკმაყოფილება მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით. რაც საერთო ჯამში ხელს შეუწყობს რეგიონში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლებას, ფერმერთა ხელით შრომის შემსუბუქებას, წარმოების მოცულობის გაზრდასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

13.2.2 სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა

რეგიონის ფერმერულ მეურნეობებში საადრეო ბოსტნეული კულტურების (პომიდორი, კიტრი, წიწაკა და სხვა) წარმოების ხელშეწყობა, იმპორტირებული პროდუქციის ნაწილობრივი ჩანაცვლება ადგილობრივი ბოსტნეულის პროდუქციით.

ბოლო წლებში რეგიონის სამომხმარებლო ბაზარზე ფართოდ არის წარმოდგენილი აჭარის აგროსასურსათო სექტორში წარმოებული პროდუქცია, გაზრდილია საექსპორტო ბაზრების არეალი, მცირე და საშუალო სიმძლავრის გადამამუშავებელი საწარმოების რიცხვი, დარგში განხორციელებული უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოცულობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსახლეობისა და ტურისტების დაკმაყოფილება იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარჯზე ხდება.

კერძოდ, 2013 წელს იმპორტირებული იქნა 50 000 ტონაზე მეტი ბოსტნეული. აჭარის რეგიონი მცირემიწიანობით ხასიათდება, მაგრამ აგრარულ დარგში თანამედროვე – ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვით შესაძლებელია წარმოების მოცულობის ზრდა, რაც გააუმჯობესებს ადგილობრივი ფერმერების ეკონომიკურ შემოსავლებს და იმპორტირებულ პროდუქციას ჩანაცვლებს ადგილზე წარმოებული პროდუქციით.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ.ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში ბოსტნეულის წარმოებაზე ორიენტირებულ ფერმერებზე თანადაფინანსების გზით 50 კვ.მ ფართობის სასათბურე კონსტრუქციის მიწოდება, რომელიც შედგება



ლითონის კარკასისა და პოლიეთილენის ფირისაგან. დღეისათვის, სამინისტროსა და თვითმმართველი ერთეულებიდან შემოსულია ფერმერთა განცხადებები 300-ზე მეტ ერთეულ სასათბურე კონსტრუქციების მოთხოვნაზე.

13.2.3 მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული დეგრადირებული ბაღების განახლება, შიდა მოხმარებისა და ბაზარზე ორიენტირებული პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა, თვისობრივად და მორალურად ამორტიზირებული ბაღების ალტერნატიული კულტურებით ჩანაცვლება და შესაბამისად ფერმერთა ეკონომიკური შემოსავლების ზრდის უზრუნველყოფა.

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნებითა და ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით აჭარის რეგიონის მეხილეობის ზონებში და მიკროზონებში შესაძლებელია სამრეწველო ბაღების გაშენება ისეთი ხეხილოვნებით, როგორცაა კაკლის, სუბტროპიკული ხურმის, მოცვის, აქტინიდიისა და სხვა კულტურები. აღნიშნული კულტურები ხასიათდებიან მაღალმოსავლიანობით, სხვადასხვა ტიპის ნიადაგებზე ადვილად შეგუებულობით, ეროზიისადმი მედეგობით, შიდა და გარე ბაზრებზე კონკურენტუნარიანობით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია წინამდებარე ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად მოსახლეობაზე თანადაფინანსების პრინციპით მიწოდებული იქნას კაკლის, სუბტროპიკული ხურმის, ამერიკული ლურჯი მოცვისა და აქტინიდიის ნერგები.

13.2.4 მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა

ფუტკრის ოჯახების გამრავლება, სხვადასხვა მავნებელ დაავადებათა მიმართ მაღალი მდგრადობა, წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მატება.

ამჟამად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 19 850 -ზე მეტი ფუტკრის ოჯახი ირიცხება, მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტში – 8 000, ხელვაჩაურში– 4 500, ქედაში –2 500, შუახევში–2 350 და ხულოში– 2 500. თავლის საშუალო წლიური წარმოება 350-400 ტონაა. რეგიონში არსებული თავლოვანი მცენარეების სიუხვე (აკაცია, წაბლი, ცაცხვი, ხეხილოვანი და ალპური მდელოს მრავალფეროვანი ყვავილოვანი ბალახები) საშუალებას იძლევა სისტემატიურად გამოიკვებოს 60-70 ათასი ფუტკრის ოჯახი და თავლის საშუალო წლიური წარმოება 2 000 ტონამდე გაიზარდოს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება რეგიონის ფერმერთა თანამედროვე პოლისტიროლი ტიპის სკებით უზრუნველყოფა, რომელიც ფუტკრის ჩვეულებრივი ხის სკებისაგან განსხვავებით სარგებლობს ბევრი უპირატესობით. კერძოდ, დამზადებულია მსუბუქი და ეკოლოგიურად სუფთა მასალისაგან, უძლებს გარემო პირობების მკვეთრ ცვლილებებს, იცავს მწერებს ხმაურისაგან. პოლისტიროლის მასალისაგან დამზადებული სკები განსხვავებით ხის სკებისა იცავს ფუტკრებს დაავადების გამომწვევი ბაქტერიების დაბუდებისაგან. აგრეთვე ფერმერებს მიეწოდება თავლის საწური-ციბრუტები, ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს რეგიონში თავლის წარმოების მაჩვენებლის ზრდას და გააუმჯობესებს მეფუტკრეობის დარგით დაინტერესებულ ფერმერთა ფინანსურ შემოსავლებს.

13.2.5 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემდგომი განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების განხორციელება

ქვეპროგრამის მიზანია რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საწარმოო ინფრასტრუქტურის გამართვა-ხელშეწყობა, ახალი ტექნოლოგიებით, ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა და კოოპერირების სიკეთით მოსახლეობის ფართო მასების დაინტერესების სტიმულირება.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კოოპერაციული მეურნეობების ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის საწარმოო და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის ხელშეწყობა კერძოდ: 1) პერსპექტიულ მრავალწლიან კულტურათა სამრეწველო-სანიმუშო ბაღების გაშენების მიზნით ქვეპროგრამაში მონაწილე კოოპერატივს მიეწოდება შესაბამისი სამრეწველო პროფილის მრავალწლიანი კულტურის ნერგები, ორგანული და მინერალური სასუქები. შპალერის მოწყობისათვის მავთული და ნაკვეთის ღობისათვის ეკალმავთული, მოცვის ბაღისათვის წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობილობები, დაპლანტაჟდება გასაშენებელი ფართობები 2) მეციტრუსეობის ზონის კოოპერატივებს მიეწოდება მანდარინის ნაყოფის დამკალიბრებელი მობილური დანადგარი 3) მეთხილეობის განვითარებით დაინტერესებულ კოოპერატივს მიეწოდება თხილის მობილური გამრჩევი დანადგარი.



13.2.6 ფერმერთა ნაკვეთებზე ნიადაგის ნაყოფიერების დონის ამაღლების მიზნით ქიმიური მელიორაციის დონისძიებების გამოყენება

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტენიანი სუბტროპიკული ზონისა და სხვა ქვეზონებში არსებული მაღალ მჟავიანი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტენიანი სუბტროპიკული ზონისა და ნაწილობრივ კონტინენტალური ზონის ნიადაგები ტიპური წითელმიწაა, რომლებიც თავისი ქიმიური ბუნებით მომეტებულ მჟავიანია (PH 3– 5 –ის ფარგლებშია) რაც დასტურდება 2013 წელს ჩატარებული ნიადაგების კვლევების შედეგად. ხშირი და ინტენსიური ნალექების შედეგად წითელმიწა ნიადაგები განიცდიან მჟავიანობის მომატებას, რომელიც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს ციტრუსებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე, კნინდება მცენარეთა საერთო მდგომარეობა, სუსტდება მცენარეთა მავნებელ-დაავადებებისადმი გამძლეობა და ყოველივე ეს აისახება წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე და ხარისხზე, შესაბამისად მცირდება მოსავლიანობა და ფერმერთა ფინანსური შემოსავლები.

ნიადაგის მჟავე არეს რეაქციის განეიტრალებისათვის სხვადასხვა მეთოდები არსებობს, კერძოდ მოკირიანება, დოლომიტის ან დეფეკაციური ტალახის შეტანა და ბუნებრივი ცეოლიტების გამოიყენება, აღნიშნულთაგან თავისი ღირებულებებიდან გამომდინარე ყველაზე ეფექტური დეფეკაციური ტალახის შეტანაა ფერმერთათვის ხელმისაწვდომი. ერთ ჰა-ზე საჭიროა 10 ტონა დეფეკაციური ტალახი, რომლის შეტანის შედეგად 10–12 წლის განმავლობაში ნიადაგი დაცულია მომეტებული მჟავიანობისაგან.

13.2.7 აგროსერვისის განვითარება რეგიონში

სუბტროპიკული და კონტინენტალური სერტიფიცირებული სარგავი მასალის წარმოების განვითარების ხელშეწყობა. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა, თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეებისა და ინოვაციების პრაქტიკული დემონსტრირებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა კვალიფიკაციისა და ცნობიერების ამაღლება, სწავლება-კონსულტირება, ტრენინგები სასოფლო-სამეურნეო დარგების მიხედვით.

არსებული სუბტროპიკული და კონტინენტალური ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების ჯიშთგანახლებისათვის, ასევე პერსპექტიული და ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის წარმოებისათვის საჭირო საკოლექციო, სადედე და სანერგე მეურნეობებისა და სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა პერსპექტიული სარგავი და სათესლე მასალის წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის დანერგვისა და მაღალპროდუქტიული წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სანაშენე ბაზისა და გენოფონდის შექმნა და განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისად არსებული კადრების კვალიფიკაციის დონის ამაღლება და დატრენინგება.

13.2.8 ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება

ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება, ლაბორატორიის აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების მიზნით სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის სფეროში სერვისების ეფექტიანობის გაზრდა.

სასმელი, ზედაპირული, ჩამდინარე, ზღვის, აუზებისა და წყალსატევების წყლის, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების ნიმუშების ორგანოლექტიკური, ქიმიური, მიკრობიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური, ვირუსოლოგიური, სეროლოგიური) პარაზიტოლოგიური და რადიოლოგიური (რადიაქტიური ნივთიერებები) კვლევები; მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმების გამოკვლევა; ნიადაგის ნაყოფიერების მაჩვენებლების დადგენა, აგროქიმიკატებისა და პესტიციდების შემცველი ელემენტების გამოკვლევები; ადამიანებისა და ცხოველებისათვის საერთო საშიში (ზოო-ანთროპოზონოზური) დაავადებების, ინფექციის წყაროს გამომწვევი მიზეზების კვლევა.

14 საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საარქივო ფონდის განვითარება, აღწერა, ცენტრალიზებული წესით აღრიცხვა, დაცვა და გამოყენება. დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა.



14.1 საარქივო სამმართველოს მართვა და მომსახურების მიწოდება

საარქივო მასალების სტანდარტების შესაბამისი დაცვა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საარქივო ფონდის განვითარება, აღწერა, ცენტრალიზებული წესით აღრიცხვა, დაცვა და გამოყენება. დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა, არქივში დაცული დოკუმენტების საფუძველზე იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე მომსახურება. ისტორიულად ღირებული საარქივო დოკუმენტების გამოფენის მოწყობა. ურთიერთთანამშრომლობა საზღვარგარეთის არქივებთან და საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების შემოტანა. ისტორიის ამსახველი მასალების გამოვლენა ჟურნალისა და ბუკლეტების გამოსაცემად. სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა

14.2 საარქივო დოკუმენტების დიგიტალიზაცია და ელექტრონული არქივის შექმნა

საარქივო დოკუმენტების დაცულობის და ხელმისაწვდომობის გაზრდა

საარქივო დოკუმენტების დასკანერება, რედაქტირება და ელექტრონული ვერსიის მონაცემთა ბაზაში შენახვა.

15 საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების პრევენცია

15.1 ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების რეგულირება და პრევენცია

ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის საფრთხეების პრევენციისა და მათი შედეგების დაძლევის ტექნოლოგიებისა და მეთოდების დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებამდე ამაღლდება.

თითოეულ მუნიციპალიტეტსა და სოფელში არსებული რისკების შესახებ სათანადო ინფორმაციის შეგროვება, შეიქმნება შესაბამისი რუკები, შეგროვდება დეტალური ინფორმაცია სოფლებში არსებული რესურსების შესახებ, შეიქმნება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმები და საგანგებო სიტუაციების წინააღმდეგ მებრძოლი საინიციატივო ჯგუფები თითოეულ სოფელში, გაუმჯობესდება სამაშველო აღჭურვილობა, ტექნიკა და მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა.

თავი VI

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება

მუხლი 13. საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 165854.9 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
1	2	3	4	5
I	სულ რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები	145 900,1	141 716,3	165 854,9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	816	841	3 656
	ხარჯები	112 468,6	117 347,7	134 807,2
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	16 351,1	16 878,2	36 656,3
	არაფინანსური აქტივები	33 336,3	21 778,0	29 654,3
	ვალდებულებები	95,2	2 590,6	1 393,4



01	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	4 148,5	4 282,4	4 960,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	96	110	120
	ხარჯები	3 951,2	4 162,4	4 846,1
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	2 640,6	2 933,2	3 397,1
	არაფინანსური აქტივები	196,4	119,8	92,5
	ვალდებულებები	0,9	0,3	21,4
0101	საკანონმდებლო საქმიანობა	4 148,5	4 282,4	4 960,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	96	110	120
	ხარჯები	3 951,2	4 162,4	4 846,1
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	2 640,6	2 933,2	3 397,1
	არაფინანსური აქტივები	196,4	119,8	92,5
	ვალდებულებები	0,9	0,3	21,4
02	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო კომისია	1 527,5	575,9	582,5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	19	19	19
	ხარჯები	1 390,1	575,9	582,5
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	947,4	539,3	539,5
	არაფინანსური აქტივები	137,4	0,0	0,0
0201	საარჩევნო გარემოს განვითარება	640,6	575,9	582,5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	19	19	19
	ხარჯები	537,7	575,9	582,5
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	509,9	539,3	539,5
	არაფინანსური აქტივები	102,8	0,0	0,0
0202	არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა	886,9	0,0	0,0
	ხარჯები	852,3	0,0	0,0
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	437,5	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივები	34,6	0,0	0,0
03	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	41 584,1	33 133,8	42 099,5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	373	371	527
	ხარჯები	23 693,8	20 497,5	26 155,8
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	6 557,1	6 838,9	8 143,3
	არაფინანსური აქტივები	17 881,2	12 633,6	15 943,7
	ვალდებულებები	9,1	2,7	0,0
0301	მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა	7 780,3	3 381,2	4 198,2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	124	121	115
	ხარჯები	4 511,0	3 355,9	4 009,2
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	2 580,2	2 678,6	2 600,4
	არაფინანსური აქტივები	3 266,0	25,3	189,0
	ვალდებულებები	3,2	0,0	0,0
0302	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო	3 721,2	5 177,3	11 367,2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	43	48	215
	ხარჯები	3 618,9	4 077,5	11 170,4
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	718,2	835,5	2 448,3
	არაფინანსური აქტივები	102,2	1 099,5	196,8
	ვალდებულებები	0,0	0,3	0,0
030201	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროს მართვა	997,9	1 142,1	1 087,3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	43	48	48
	ხარჯები	909,4	1 042,1	1 082,5
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	718,2	835,5	849,6
	არაფინანსური აქტივები	88,5	100,0	4,8
030202	გარემოსდაცვითი პროგრამა	1 495,0	970,8	7 486,8



	ხარჯები	1 495,0	970,8	7 486,8
03020202	აჭარის სანაპირო ზოლის ჩამდინარე წყლებისა და ატმოსფერული ჰაერის აქტიურ დამაბინძურებელ კერებში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი	2,1	15,0	15,0
	ხარჯები	2,1	15,0	15,0
03020203	აჭარის სანაპირო ზოლის სარფი-ჩოლოქის მონაკვეთზე ზღვის წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი	9,7	15,0	15,0
	ხარჯები	9,7	15,0	15,0
03020204	აჭარის სანაპირო ზოლის დროებითი ნაპირსამაგრი ღონისძიება	1 483,2	900,9	2 000,0
	ხარჯები	1 483,2	900,9	2 000,0
03020205	აჭარის სანაპირო ზოლის ადლიის ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობა	0,0	39,9	5 456,8
	ხარჯები	0,0	39,9	5 456,8
030203	სატყეო სექტორის განვითარება	1 228,3	3 064,4	2 793,1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	167
	ხარჯები	1 214,6	2 064,6	2 601,1
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	0,0	0,0	1 598,7
	არაფინანსური აქტივები	13,7	999,5	192,0
	ვალდებულებები	0,0	0,3	0,0
03020301	სატყეო სექტორის მართვა და მომსახურება	1 228,3	3 064,4	2 204,2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	167
	ხარჯები	1 214,6	2 064,6	2 012,2
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	0,0	0,0	1 598,7
	არაფინანსური აქტივები	13,7	999,5	192,0
	ვალდებულებები	0,0	0,3	0,0
03020302	ტყის მოვლა-აღდგენა	0,0	0,0	588,9
	ხარჯები	0,0	0,0	588,9
0303	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	2 659,3	2 583,6	4 020,9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	24	24	38
	ხარჯები	2 591,4	2 398,9	3 885,9
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	404,8	425,7	634,5
	არაფინანსური აქტივები	67,9	182,7	135,0
	ვალდებულებები	0,0	2,0	0,0
030301	ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და მომსახურების მიწოდება	870,5	815,9	1 020,9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	24	24	38
	ხარჯები	802,6	799,4	1 005,9
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	404,8	425,7	634,5
	არაფინანსური აქტივები	67,9	14,4	15,0
	ვალდებულებები	0,0	2,0	0,0
03030101	ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მართვა	642,2	599,3	737,4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	24	24	30
	ხარჯები	574,4	582,9	722,4
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	404,8	425,7	527,1
	არაფინანსური აქტივები	67,9	14,4	15,0
	ვალდებულებები	0,0	2,0	0,0
03030102	ტურიზმის სფეროში მომსახურების მიწოდება	228,2	216,5	283,5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	8
	ხარჯები	228,2	216,5	283,5



	მ.შ. შრომის ანაზღაურება	0,0	0,0	107,4
030302	ტურიზმის საინფორმაციო-სარეკლამო სისტემის შექმნა	1 788,8	0,0	0,0
	ხარჯები	1 788,8	0,0	0,0
030303	რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაცია	0,0	1 767,8	3 000,0
	ხარჯები	0,0	1 599,5	2 880,0
	არაფინანსური აქტივები	0,0	168,2	120,0
03030301	რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	0,0	897,1	900,0
	ხარჯები	0,0	728,9	780,0
	არაფინანსური აქტივები	0,0	168,2	120,0
03030302	მარკეტინგული ღონისძიებების ჩატარება საერთაშორისო ბაზარზე	0,0	870,7	2 100,0
	ხარჯები	0,0	870,7	2 100,0
0304	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველო	1 740,3	1 614,0	1 707,5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	85	86	86
	ხარჯები	1 509,3	1 579,0	1 659,5
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	1 282,0	1 382,8	1 401,7
	არაფინანსური აქტივები	230,9	35,0	48,0
	ვალდებულებები	0,1	0,0	0,0
030401	საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება	1 740,3	1 614,0	1 707,5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	85	86	86
	ხარჯები	1 509,3	1 579,0	1 659,5
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	1 282,0	1 382,8	1 401,7
	არაფინანსური აქტივები	230,9	35,0	48,0
	ვალდებულებები	0,1	0,0	0,0
03040101	საარქივო სამმართველოს მართვა და მომსახურების მიწოდება	1 740,3	1 614,0	1 624,1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	85	86	86
	ხარჯები	1 509,3	1 579,0	1 594,1
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	1 282,0	1 382,8	1 401,7
	არაფინანსური აქტივები	230,9	35,0	30,0
	ვალდებულებები	0,1	0,0	0,0
03040102	საარქივო ფონდის დაცვლობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	0,0	0,0	83,4
	ხარჯები	0,0	0,0	65,4
	არაფინანსური აქტივები	0,0	0,0	18,0
0305	სატელევიზიო მაუწყებლობის ხელშეწყობა	5 774,7	4 702,2	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	45	40	0
	ხარჯები	5 295,6	4 618,4	0,0
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	774,4	668,8	0,0
	არაფინანსური აქტივები	473,4	83,4	0,0
	ვალდებულებები	5,8	0,3	0,0
030501	ტელევიზიისა და რადიო-მაუწყებლობის დეპარტამენტის ადმინისტრაცია	1 233,4	1 112,3	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	45	40	0
	ხარჯები	1 170,6	1 102,5	0,0
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	774,4	668,8	0,0
	არაფინანსური აქტივები	62,8	9,5	0,0
	ვალდებულებები	0,0	0,3	0,0
030502	ტელევიზიის საინფორმაციო-სამაუწყებლო ღონისძიებები	4 541,3	3 589,8	0,0
	ხარჯები	4 125,0	3 515,9	0,0
	არაფინანსური აქტივები	410,6	73,9	0,0



	ვალდებულებები	5,8	0,0	0,0
0306	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი	19 758,1	15 424,5	20 556,8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	52	52	52
	ხარჯები	6 050,3	4 228,6	5 181,9
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	797,5	847,5	844,5
	არაფინანსური აქტივები	13 707,8	11 195,9	15 374,9
030601	საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვა	903,0	931,3	959,2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	52	52	52
	ხარჯები	893,0	925,2	949,2
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	797,5	847,5	844,5
	არაფინანსური აქტივები	9,9	6,1	10,0
030602	საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	18 855,1	14 493,1	19 597,6
	ხარჯები	5 157,3	3 303,4	4 232,7
	არაფინანსური აქტივები	13 697,9	11 189,8	15 364,9
03060201	გზების რეაბილიტაცია	0,0	7 422,3	10 141,9
	არაფინანსური აქტივები	0,0	7 422,3	10 141,9
03060202	ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია	0,0	1 780,8	4 827,2
	არაფინანსური აქტივები	0,0	1 780,8	4 827,2
03060203	სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია	0,0	234,4	325,8
	არაფინანსური აქტივები	0,0	234,4	325,8
03060204	საგზაო ტექნიკის შექმნა	0,0	1 751,0	50,0
	არაფინანსური აქტივები	0,0	1 751,0	50,0
03060205	საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა	0,0	3 304,7	4 252,7
	ხარჯები	0,0	3 303,4	4 232,7
	არაფინანსური აქტივები	0,0	1,3	20,0
0307	ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა	150,2	250,9	248,9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	0	21
	ხარჯები	117,2	239,1	248,9
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	0,0	0,0	213,9
	არაფინანსური აქტივები	33,0	11,8	0,0
04	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	22 679,7	12 825,8	18 653,9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	118	116	320
	ხარჯები	12 504,8	8 517,0	11 337,4
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	2 360,1	2 276,5	4 719,2
	არაფინანსური აქტივები	10 135,9	4 266,4	7 316,5
	ვალდებულებები	39,0	42,4	0,0
0401	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	10 683,1	5 380,1	9 089,1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	109	107	100
	ხარჯები	4 299,4	2 777,1	4 592,0
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	2 196,5	2 108,3	2 168,9
	არაფინანსური აქტივები	6 368,4	2 588,8	4 497,1
	ვალდებულებები	15,3	14,2	0,0
040101	ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა	5 743,5	2 816,4	2 930,9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	109	107	100
	ხარჯები	4 299,4	2 777,1	2 865,9
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	2 196,5	2 108,3	2 168,9
	არაფინანსური აქტივები	1 428,8	25,1	65,0



	ვალდებულებები	15,3	14,2	0,0
040102	რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა	0,0	0,0	694,0
	ხარჯები	0,0	0,0	644,0
	არაფინანსური აქტივები	0,0	0,0	50,0
04010201	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვა	0,0	0,0	284,0
	ხარჯები	0,0	0,0	234,0
	არაფინანსური აქტივები	0,0	0,0	50,0
04010202	რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი	0,0	0,0	260,0
	ხარჯები	0,0	0,0	260,0
04010203	კვლევები რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისათვის	0,0	0,0	150,0
	ხარჯები	0,0	0,0	150,0
040103	ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა	0,0	0,0	362,1
	ხარჯები	0,0	0,0	362,1
04010301	საკურორტო-სარეკრეაციო ადგილების განვითარებისათვის დეტალური დაგეგმარება	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	0,0	0,0	0,0
04010302	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების სივრცითი მოწყობის დოკუმენტის შედგენა	0,0	0,0	262,1
	ხარჯები	0,0	0,0	262,1
04010303	ქალაქმშენებლობითი და დაგეგმარებითი პროექტების შედგენა	0,0	0,0	100,0
	ხარჯები	0,0	0,0	100,0
040104	სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა	4 939,6	2 563,7	4 382,1
	არაფინანსური აქტივები	4 939,6	2 563,7	4 382,1
040105	მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა	0,0	0,0	720,0
	ხარჯები	0,0	0,0	720,0
0402	სახაზინო მომსახურება	200,6	201,0	204,9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	9	9	9
	ხარჯები	192,6	195,9	204,9
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	163,6	168,2	168,2
	არაფინანსური აქტივები	7,9	5,1	0,0
	ვალდებულებები	0,1	0,0	0,0
0403	ბათუმის ბულვარი	6 298,5	4 327,2	5 795,5

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0603

პროგრამის დასახელება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	14,489,420	3,949,420	4,240,000	3,800,000	2,500,000
სულ ბიუჯეტი:	14,489,420	3,949,420	4,240,000	3,800,000	2,500,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2014-2017 წლები

პროგრამის მიზანი:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს სამუშაო და სასწავლო პირობების გაუმჯობესებას, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას განათლების მიღებისათვის და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას.

პროგრამის აღწერა:

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა, რაც დღემდე ეტაპობრივად ხორციელდება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	9,064,460	2,464,460	2,600,000	2,000,000	2,000,000
საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა	3,450,000	1,060,000	1,090,000	1,300,000	0
საჯარო სკოლების ინვენტარით აღჭურვა	844,960	244,960	200,000	200,000	200,000
სპორტის განვითარების ხელშეწყობა სკოლებში	1,130,000	180,000	350,000	300,000	300,000
სულ პროგრამა	14,489,420	3,949,420	4,240,000	3,800,000	2,500,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

26 საჯარო სკოლაში მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესდა სასწავლო გარემო.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

6 საჯარო სკოლის მშენებლობა და 1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, 3 საჯარო სკოლის სამონტაჟო სამუშაოები;
1 პანსიონის მშენებლობა, 1 პანსიონის რეაბილიტაცია;
6 საჯარო სკოლის სპორტდარბაზის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
9 საჯარო სკოლის თანამედროვე სასკოლო ინვენტარით აღჭურვა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

სკოლების ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია; სკოლები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი					
სკოლების ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია; სკოლები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.	საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	10	8	6	6	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სამართლებლივი უზრუნველყოფის და სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება ჩაბარების აქტი
	საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა	2	1	1	0	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სამართლებლივი უზრუნველყოფის და სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება ჩაბარების აქტი
	საჯარო სკოლების ინვენტარით აღჭურვა	9	8	6	6	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სამართლებლივი უზრუნველყოფის და სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება ჩაბარების აქტი
	სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება	6	10	10	10	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სამართლებლივი უზრუნველყოფის და სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცენტრალური აპარატი	მიღება ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060301

ქვეპროგრამის დასახელება:

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2,464,460
სულ ბიუჯეტი:	2,464,460

ქვეპროგრამის მიზანი:

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს სამუშაო და სასწავლო პირობების გაუმჯობესებას, მოსწავლეებისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას განათლების მიღებისათვის და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას.

ქვეპროგრამის აღწერა:

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ხელშეწყობა და აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების შენობების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, მშენებლობა 2014-2015 წელი);

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ გორგამეების საჯარო სკოლა (სამონტაჟო სამუშაოები სველი წერტილის მოწყობა- 2014 წელი);

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ პაპოშვილების საჯარო სკოლა (სამონტაჟო სამუშაოები გათბობის სისტემის მოწყობა - 2014 წელი);

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოს საჯარო სკოლა (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა);

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთას საჯარო სკოლა (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა)

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა აჭყვას საჯარო სკოლა (მშენებლობა 2013-2014 წელი); სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის N2 საჯარო სკოლა (მშენებლობა 2014-2015 წელი); სსიპ ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლა (სამონტაჟო სამუშაოები წყალსაწრეტი არხის მოწყობა -2014 წელი); სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლა (მშენებლობა 2013-2014 წელი; საყრდენი კედლის მოწყობა 2014 წელი);

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა (მიმენება 2013-2014 წელი);

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიქუნეთის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2014 წელი);

სსიპ ქ. ბათუმის N28 საჯარო სკოლაზე ადმინისტრაციულად მიერთებული ზედა დელის დაწყებითი სკოლა (მშენებლობა 2013-2014 წელი);

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მშენებლობა-რეაბილიტაცია-სამონტაჟო სამუშაოები	10	234,235	2,342,353
ექსპერტიზა	8	4,642	37,137
ტექნიკური ზედამხედველობა	10	3,282	32,820
საავტორო ზედამხედველობა	2	1,125	2,250
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება (9 თვე)	1	9,900	9,900
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა	3	13,333	40,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			2,464,460

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ტენდერების გამოცხადება	X	X	X	
მშენებლობა-რეაბილიტაცია-სამონტაჟო სამუშაოები	X	X	X	X
ექსპერტიზა, ტექნიკური და საავტორო ზედამხედველობა	X	X	X	X
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება (9 თვე)		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.	6 საჯარო სკოლის მშენებლობა და 1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, 3 საჯარო სკოლის სამონტაჟო სამუშაოები;	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სამართლებრივი უზრუნველყოფის და სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	წლიური	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060302

ქვეპროგრამის დასახელება:

საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,060,000
სულ ბიუჯეტი:	1,060,000

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა.

ქვეპროგრამის აღწერა:

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ პანსიონური მომსახურების მქონე საჯარო სკოლებში საადმინისტრაციო მომსახურების, საცხოვრებელი პირობების, მკურნალობისა და კვების ხარჯების დაფინანსებას. აჭარაში ოთხი საჯარო სკოლაა, სადაც მოსწავლეებს სთავაზობენ საპანსიონო მომსახურებას, აქედან სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის, სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლისა და სსიპ დაბა შუახევის საჯარო სკოლის პანსიონის ინფრასტრუქტურა კვლავაც სავალალო მდგომარეობაშია და საჭიროებს გადაუდებელ რეაბილიტაცია/მშენებლობას და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სსიპ დაბა შუახევის საჯარო სკოლის საპანსიონო კორპუსის მშენებლობა (2014-2015 წელი) და სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა საპანსიონო კორპუსის რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა (2014 წელი)

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მშენებლობა-რეაბილიტაცია-ინვენტარით აღჭურვა, ექსპერტიზა, ტექნიკური და საავტორო ზედამხედველობა	2	530,000	1,060,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1,060,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ტენდერის გამოცხადება	X	X	X	X
მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპერტიზა, ტექნიკური ზედამხედველობა		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა	1 პანსიონის მშენებლობა, 1 პანსიონის რეაბილიტაცია;	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სამართლებრივი უზრუნველყოფის და სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	წლიური	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060303

ქვეპროგრამის დასახელება:

საჯარო სკოლების ინვენტარით აღჭურვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	244,960
სულ ბიუჯეტი:	244,960

ქვეპროგრამის მიზანი:

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ხელშეწყობა და საჯარო სკოლების ინვენტარით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის აღწერა:

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ.“ ქვეპუნქტის თანახმად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი საკლასო ოთახები, კერძოდ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების ინვენტარით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში 2010 და 2014 წელს რეაბილიტირებული/აშენებული საჯარო სკოლები აღიჭურვებიან უახლესი და თანამედროვე ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით მოსწავლეთა ასაკობრივი და ფიზიკური თავისებურებების გათვალისწინებით; სასკოლო დაფებით, საკლასო კარადებითა და მასწავლებლის კუთხით; თანამედროვე და მასწავლებლების საჭიროებებზე მორგებული სამასწავლებლო ოთახით. სკოლებში ახალი სასკოლო ინვენტარი იქნება ეკოლოგიურად სუფთა და დააკმაყოფილებს სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. მოსწავლეთა ასაკობრივი და ფიზიკური თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული ინვენტარით სკოლების აღჭურვა გააუმჯობესებს მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, შეამცირებს მათი სქოლიოზისა თუ სხვა დაავადებების რისკს.

9 საჯარო სკოლა აღიჭურვება ინვენტარით.

- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა აჭყვას საჯარო სკოლა - 2014 წელი;
- სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლა - 2010 წელი;
- სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლა - 2014 წელი;
- სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა - 2014 წელი;
- სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიქუნეთის საჯარო სკოლა - 2014 წელი;
- სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს N1 საჯარო სკოლა - 2010 წელი;
- სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურის საჯარო სკოლა - 2010 წელი;
- სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეთის საჯარო სკოლა - 2010 წელი;
- სსიპ ბათუმის N28 საჯარო სკოლა (ადმინისტრაციულად მიერთებული ზედა ღელეს დაწყებითი სკოლა) - 2014 წელი.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მოსწავლის ერთადგილიანი მერხი და სკამი (კომპლექტი)	1,216	130	158,080
საკლასო კარადა (ცალი)	98	220	21,560
სასკოლო დაფა (ცალი)	98	199.1	19,512
მასწავლებლის მაგიდა და სკამი (კომპლექტი)	98	296	29,008
სამასწავლებლოს ინვენტარი (15 ადგილიანი მაგიდა 15 სკამით) (კომპლექტი)	8	2,100	16,800
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			244,960

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ტენდერის გამოცხადება		X	X	
ინვენტარის შეძენა/დისტრიბუცია			X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

საჯარო სკოლების ინვენტარით აღჭურვა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საჯარო სკოლების ინვენტარით აღჭურვა	9 საჯარო სკოლა აღჭურვილია თანამედროვე სასკოლო ინვენტარით	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სამართლებლივი უზრუნველყოფის და სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060304

ქვეპროგრამის დასახელება:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა სკოლებში

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	180,000
სულ ბიუჯეტი:	180,000

ქვეპროგრამის მიზანი:

საჯარო სკოლების სპორტული დარბაზების კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს სამუშაო და სასწავლო პროცესების გაუმჯობესებას და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას, ჯანსაღი და სპორტული ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და სხვადასხვა სპორტული სახეობების პოპულარიზაციას მოსწავლეთა შორის.

ქვეპროგრამის აღწერა:

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ.“ ქვეპუნქტის თანახმად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად უნდა ჰქონდეს სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი. აღსანიშნავია, რომ შერჩეული სკოლების რეაბილიტაცია/შემენებლობა განხორციელდა 2005 წლის შემდგომ პერიოდში, თუმცა სპორტულ დარბაზებს აღნიშნული რეაბილიტაცია არ შეეხებია.

2014 წელს კეთილმოეწყობა 6 (ექვსი) აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი.

- სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლა;
- სსიპ დაბა ხულოს საჯარო სკოლა;
- სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დღვანის საჯარო სკოლა;
- სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ შუბნის საჯარო სკოლა;
- სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლოტაურის საჯარო სკოლა;
- სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
რეაბილიტაცია	6	27,996.70	167,980
ტექნიკური ზედამხედველობა	6	558.30	3,350
ექსპერტიზა	6	616.70	3,700
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	6	828.30	4,970
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			180,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	X			
რეაბილიტაცია, ექსპერტიზა და ტექნიკური ზედამხედველობა		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება.	გაუმჯობესებული ან საჯარო სკოლის სპორტდარბაზის ინფრასტრუქტურა	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სამართლებლივი უზრუნველყოფის და სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	წლიური	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0604

პროგრამის დასახელება:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	6,278,720	1,368,680	1,636,680	1,636,680	1,636,680
სულ ბიუჯეტი:	6,278,720	1,368,680	1,636,680	1,636,680	1,636,680

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2014-2017 წლები

პროგრამის მიზანი:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლის ხარისხის ამაღლება და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

- პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებისათვის კონკურსის წესით შეირჩევა და დასაქმდება 35 მასწავლებელი.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული 20 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა შეივსება წიგნადი ფონდით და გაიზრდება მხატვრული და სხვ. ლიტერატურის ხელმისაწვდომობა.
- სწავლის დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები მაღალმთიანი აჭარიდან, ობოლი, მრავალაშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან;
- კონკურსის წესით დაფინანსდება საშუალოდ 10 ბენეფიციარი, ჩატარდება საშუალოდ 9 ღონისძიება ;
- 18-დან 32 წლამდე ასაკის საქართველოს 15 მოქალაქე სტაჟირებას გაივლის ევროპის რომელიმე ქვეყანაში და აჭარის რეგიონში მიღებული იქნება არაუმეტეს 2 უცხოელი სტაჟიორი.

დასახელება	სულ	2014	2015	2016	2017
ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის	650,720	162,680	162,680	162,680	162,680
საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების განვითარება	380,000	80,000	100,000	100,000	100,000
სტუდენტთა დახმარება	4,550,000	950,000	1,200,000	1,200,000	1,200,000
უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	562,000	142,000	140,000	140,000	140,000
უცხოეთში სტაჟირება	136,000	34,000	34,000	34,000	34,000
სულ პროგრამის ბიუჯეტი	6,278,720	1,368,680	1,636,680	1,636,680	1,636,680

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2013 წელს დასაქმდა 30 სხვადასხვა საგნის მასწავლებელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. მასწავლებლებმა გაიარეს პროფესიული გადამზადების კურსები. სკოლებისათვის შეძენილი იქნა 4500 ლარის სახელმძღვანელო;

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში სულ დაფინანსდა 461 სტუდენტი;

ევროპის ქვეყნებში მუშაობის გამოცდილების მისაღებად გაიგზავნა 12 სტაჟიორი და აჭარის რეგიონში სტაჟირება გაიარა ორმა უცხოელმა სტაჟიორმა;

8360 მახტვრული და შემეცნებითი ლიტერატურა გადაეცა 20 საჯარო სკოლას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში კონკურსის წესით შეირჩევა არაუმეტეს 35 მასწავლებელი, რომლებიც ასწავლიან დაახლოებით 3000 მოსწავლეს; არანაკლებ 20 საჯარო სკოლა უზრუნველყოფილი იქნება მხატვრული და სხვ. ლიტერატურით; პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია არანაკლებ 480 სტუდენტი; პროგრამით ისარგებლებს საშუალოდ 10 ბენეფიციარი, ჩატარდება საშუალოდ 9 ღონისძიება; ევროპის რეგიონებში გაიგზავნება არაუმეტეს 15 სტაჟიორი და აჭარის რეგიონში მიღებული იქნება არაუმეტეს 2 უცხოელი სტაჟიორი.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში გაზრდილია განათლების ხელმისაწვდომობა; მოსწავლისათვის ხელმისაწვდომია მხატვრული და სხვ. ლიტერატურა; გაზრდილია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა სტუდენტებისათვის მაღალმთიანი აჭარიდან, ობოლი, მრვალაშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან; საგანმანათლებლო და სამეცნირო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებების ორგანიზება ხელმისაწვდომია; ევროპის რეგიონებში გაგზავნილია და აჭარის რეგიონში მიღებულია უცხოელი სტაჟიორები.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
	2014	2015	2016	2017					
განათლების ხელმისაწვდომობა გაზრდილია	მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში გაზრდილია განათლების ხელმისაწვდომობა.	არაუმეტეს 35 მასწავლებელი, დაახლოებით 3000 მოსწავლე	არაუმეტეს 35 მასწავლებელი, დაახლოებით 3000 მოსწავლე;	არაუმეტეს 35 მასწავლებელი, დაახლოებით 3000 მოსწავლე;	არაუმეტეს 35 მასწავლებელი, დაახლოებით 3000 მოსწავლე;	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები.	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება
	მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია მხატვრული და სხვ. ლიტერატურა	20 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა	20 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა	20 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა	20 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები.	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი
	გაზრდილია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა სტუდენტებისათვის მაღალმთიანი აჭარიდან, ობოლი, მრვალაშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან.	არანაკლებ 480 სტუდენტი	არანაკლებ 500 სტუდენტი	არანაკლებ 500 სტუდენტი	არანაკლებ 500 სტუდენტი	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, აკრედიტებული უნივერსიტეტები, სოციალური მომსახურების სააგენტო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება. მიღება-ჩაბარების აქტი
	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებების ორგანიზება ხელმისაწვდომია	საშუალოდ 10 ბენეფიციარი, საშუალოდ 9 ღონისძიება	საშუალოდ 10 ბენეფიციარი, საშუალოდ 9 ღონისძიება	საშუალოდ 10 ბენეფიციარი, საშუალოდ 9 ღონისძიება	საშუალოდ 10 ბენეფიციარი, საშუალოდ 9 ღონისძიება	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტი, აკრედიტებული უნივერსიტეტები,	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება. მიღება-ჩაბარების აქტი
	ევროპის რეგიონებში გაგზავნილია და აჭარის რეგიონში მიღებულია უცხოელი სტაჟიორები.	გაგზავნილია არაუმეტეს 15; მიღებულია არუმეტეს 2	გაგზავნილია არაუმეტეს 15; მიღებულია არუმეტეს 2	გაგზავნილია არაუმეტეს 15; მიღებულია არუმეტეს 2	გაგზავნილია არაუმეტეს 15; მიღებულია არუმეტეს 2	რაოდენობა	ევროპის რეგიონთა ასამბლეის პროფესიული გაცვლითი პროგრამა „ევროდისია“	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება. მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060401

ქვეპროგრამის დასახელება:

ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	162,680
სულ ბიუჯეტი:	162,680

ქვეპროგრამის მიზანი:

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო) სწავლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია ახალგაზრდა და კვალიფიციური კადრების შერჩევა და იმ სკოლებში დასაქმება, სადაც ამის განსაკუთრებული საჭიროებაა. რესურსცენტრების მიერ მოწოდებული ინფორმაციით სკოლებში არსებული ვაკანსიების შესახებ დგინდება, რომ ზოგიერთი მუნიციპალიტეტის (ქედა, შუახევი, ხულო) სკოლებში ამა თუ იმ საგნის მასწავლებელი საერთოდ არ არსებობს. განსაკუთრებით პრობლემურია ინგლისური ენის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები. შესაბამისად, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის“ ქვეპროგრამის ფარგლებში 2013-2014 სასწავლო წლის ვადით შერჩეულ მასწავლებლებთან გაფორმდება ხელშეკრულება 2014-2015 სასწავლო წლისათვის. დარჩენილ ვაკანსიებზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო კონკურსის წესით შეარჩევს მასწავლებლებს, რომლებიც იმუშავენ მუნიციპალიტეტების იმ საჯარო სკოლებში, სადაც ამის განსაკუთრებული საჭიროებაა.

ქვეპროგრამის მონაწილეები შეირჩევიან ორ ეტაპიანი კონკურსის საფუძველზე, რომელიც შედგება წერითი გამოცდისა და გასაუბრებისაგან. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო) სწავლების ხელშეწყობის ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი კრიტერიუმები:

- უმაღლესი განათლება - ბაკალავრის ხარისხი;
- უნდა იცნობდნენ ეროვნულ სასწავლო გეგმას;
- უნდა შეეძლოთ სწავლების თანამედროვე მეთოდის გამოყენება;
- ადვილად უნდა ეგუებოდნენ განსხვავებულ გარემოსა და ცვლილებებს.

ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეული მასწავლებლები დაიტვირთებიან სკოლებში არსებული ვაკანტური საათებით. აღნიშნული საქმიანობისათვის ისინი მიიღებენ ანაზღაურებას 2005 წლის 21 ოქტომბრის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის "საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" №576 ბრძანების შესაბამისად. ასევე, შერჩეული მასწავლებლები სრულ და არასრულ თვეზე დამატებით მიიღებენ შრომის ანაზღაურებას 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მასწავლებლის შრომის ანაზღაურება	35	400	140,000
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება	1	825	9900
პროფესიული განვითარება	2	2400	4800
მივლინება	10	50	500
კომუნიკაცია	1	40	480
სახელმძღვანელო	250	18	4500
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა			2500
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			162,680

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ღონისძიება 1-7	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში გაზრდილია განათლების ხელმისაწვდომობა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში გაზრდილია განათლების ხელმისაწვდომობა.	არაუმეტეს 35 მასწავლებელი, დაახლოებით 3000 მოსწავლე	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები	წლიური	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060402

ქვეპროგრამის დასახელება:
საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების განვითარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	80,000
სულ ბიუჯეტი:	80,000

ქვეპროგრამის მიზანი:

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ხელშეწყობა და საჯარო სკოლების წიგნადი ფონდით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში საჯარო სკოლების ბიბლიოთეკები შეივსება ქართველი და მსოფლიო კლასიკოსების, საბავშვო, საყმაწვილო, შემეცნებითი ხასიათის, ლექსიკონებითა და სხვა სახის ლიტერატურით. მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული წიგნებით სკოლების აღჭურვა გააუმჯობესებს მოსწავლეთა ცოდნის დონეს. ქვეპროგრამის ფარგლებში 2014 წელს აქცენტი გაკეთდება ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებზე, რადგანაც მოსწავლეთა მუნიციპალიტეტებში ნაკლებად მიუწვდებათ ხელი საბიბლიოთეკო ფონდზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში 20 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა შეივსება მხატვრულ და სხვ. ლიტერატურით:

- სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხმორისის საჯარო სკოლა;
- სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს #1 საჯარო სკოლა;
- სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგნის საჯარო სკოლა;
- სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლა;
- სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურის საჯარო სკოლა;
- სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგაზეულის საჯარო სკოლა;
- სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუთურაულის საჯარო სკოლა;
- სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მახალაკიძეები საჯარო სკოლა;
- სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხამირის საჯარო სკოლა;
- სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდაჭარის საჯარო სკოლა;
- სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვაშლოვანის საჯარო სკოლა;
- სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის დაბა ხულოს საჯარო სკოლა;
- სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელვაჩაურის #1 საჯარო სკოლა;
- სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლა;

- სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭარისწყალის საჯარო სკოლა;
- სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის #2 საჯარო სკოლა;
- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის საჯარო სკოლა;
- სსიპ გიორგი შაინიძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის საჯარო სკოლა;
- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა;
- სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მხატვრული და სხვ. ლიტერატურა	8,000	10	80,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			80,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ტენდერის გამოცხადება		X	X	
დისტრიბუცია			X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია მხატვრული და სხვ. ლიტერატურა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია მხატვრული და სხვ. ლიტერატურა	20 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა შევსებულია წიგნადი ფონდით	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060403

ქვეპროგრამის დასახელება: სტუდენტთა დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	950,000
სულ ბიუჯეტი:	950,000

ქვეპროგრამის მიზანი:

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ქვეპროგრამის აღწერა:

1. 2012 წელს შერჩეული ბენეფიციარები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 05 ივნისის N86 განკარგულებით დამტკიცებული 2012 წლის სტუდენტების დახმარების მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში შერჩეული ბენეფიციარები, რომლებიც გადალახავენ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ბარიერს – სემესტრის დაფინანსება ერთ სტუდენტზე მაქსიმალური ოდენობით 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი.

2. 2013 წელს შერჩეული ბენეფიციარები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 25 იანვრის N15 განკარგულებით დამტკიცებული 2013 წლის სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარები, რომლებიც გადალახავენ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ბარიერს – სემესტრის დაფინანსება ერთ სტუდენტზე მაქსიმალური ოდენობით 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი.

3. 2014 წელს შერჩეული ბენეფიციარები - 2011, 2012 და 2013 წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები. სემესტრის დაფინანსება ერთ სტუდენტზე განისაზღვრება მაქსიმალური ოდენობით 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი.

2014 წელს ბენეფიციარების შერჩევის წესი
 სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტის დაფინანსება გაიცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით დადგენილი სტუდენტთა დაფინანსების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.
 სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება სტუდენტზე გაიცემა სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ სემესტრის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუკი სტუდენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოიპოვებს სახელმწიფო გრანტის ნაწილობრივ ოდენობას, სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში მისი სწავლის საფასური შეივსება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, სამინისტროს მიერ დადგენილი სტუდენტთა დაფინანსების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.
 სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს იმ პირმა (შემდგომში სტუდენტი), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად 2011, 2012 და 2013 წელს ჩარიცხა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე და ვერ მოიპოვა სახელმწიფო გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვა სახელმწიფო გრანტის ნაწილობრივი ოდენობა და განეკუთვნება ამ პროგრამით დადგენილ ერთ-ერთ კატეგორიას.

აბიტურიენტი, რომელმაც მოიპოვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლება, მაგრამ კანონმდებლობით დადგენილი წესით არ ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვერ მიიღებს დაფინანსებას სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში.

2014 წელს შერჩეულ ბენეფიციარებზე თანხის გაცემის წესი

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხით დაფინანსდება 2011, 2012 ან 2013 წელს ჩარიცხულ არანაკლებ 100 სტუდენტს შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

1. სტუდენტი, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო) – 25 ადგილი.

2. სტუდენტი, რომელიც არის ობოლი (დედით ან მამით, უდედმამო) – 25 ადგილი.

3. სტუდენტი, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (ოთხი ან მეტი შვილი) – 25 ადგილი.

4. სტუდენტი, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე - 25 ადგილი.

იმ სტუდენტის მონაცემები, რომელიც ერთდროულად განეკუთვნება ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ რომელიმე კატეგორიას, დაფინანსების მოსაპოვებლად განიხილება პირველი კატეგორიის მიხედვით, ხოლო შემდგომ ამ ქვეპროგრამით განსაზღვრული კატეგორიების ფარგლებში თანმიმდევრობის მიხედვით.

თუ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ პირველ კატეგორიაში შემავალი 2011, 2012 ან 2013 წელს ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა (შემდგომში – დასაფინანსებელი სტუდენტი), რომლებიც მონაწილეობენ ამ ქვეპროგრამაში, აღემატება შესაბამისი კატეგორიისათვის გამოყოფილი ადგილების (შემდგომში ადგილი) რაოდენობას, თანხა გაიცემა სტუდენტის წინა სემესტრის (მაგალითად, 2013 წელს ჩარიცხული სტუდენტებისათვის გამოყენებულ იქნება 2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების ქულა) საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის საფუძველზე. სტუდენტები, რომელთა საშუალო აკადემიური მოსწრება ნაკლებია 71%-სა, ვერ მიიღებენ პროგრამაში მონაწილეობას.

თუ სტუდენტის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი ქულა, თანხა გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულების ჯამით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე რეიტინგის მიხედვით. თუ ერთიანი ეროვნულ გამოცდაზე ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი აბსოლუტური ქულების ჯამი, აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაფინანსება გაიცემა ქვემოთ მოცემული კრიტერიუმებით, შემდეგი თანმიმდევრობის დაცვით:

1. ერთიანი ეროვნულ გამოცდაზე ზოგადი უნარების გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;

2. ერთიანი ეროვნულ გამოცდაზე ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;

3. ერთიანი ეროვნულ გამოცდაზე უცხოური ენის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად.

თუ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული კატეგორიების მიხედვით დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა ნაკლებია კატეგორიის მიხედვით განსაზღვრულ რაოდენობაზე, დარჩენილი რაოდენობა დაემატება სხვა კატეგორიას თანმიმდევრობის დაცვით.

თუ ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხა დარჩება რომელიმე კატეგორიაში ეკონომიის სახით, დარჩენილი თანხა გადანაწილდება ადგილების კატეგორიებში თანაბრად დამატების გზით.

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტი წარმოადგენს განცხადებას, განაცხადისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა მტკიცდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტით.

თუკი სტუდენტი შეინარჩუნებს 65% და მეტ საშუალო აკადემიურ მოსწრებას 2013-2014 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის, ის ავტომატურად ხდება პრეტენდენტი შემდეგი სემესტრის დაფინანსების მიღებაზე.

2014-2015 სასწავლო წლისათვის ბარიერი გაიზრდება. შესაბამისად, თუკი სტუდენტი შეინარჩუნებს 71% და მეტ საშუალო აკადემიურ მოსწრებას 2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრისათვის, ის ავტომატურად ხდება პრეტენდენტი შემდეგი სემესტრის დაფინანსების მიღებაზე. აკადემიური მოსწრების გამოთვლა ხდება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით, დამრგვალების გარეშე.

სტუდენტი, რომელსაც 2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრის რომელიმე საგანში ექნება F და FX შეფასება გამოეთიშება პროგრამას.

სტუდენტებს, რომლებიც ვერ გადალახავენ აკადემიური მოსწრების ბარიერს, უფლება აქვთ თავიდან გაიარონ კონკურსი სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ვადებში.

დაინტერესებულმა პირებმა საბუთები უნდა წარმოადგინონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში.

მოპოვებული დაფინანსების გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ სტუდენტს უფლება აქვს ხელახლა გაიაროს კონკურსი. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაუმჯობესებულ დაფინანსებას, სხვა შემთხვევაში კი შეუნარჩუნდება ძველი დაფინანსება.

სამინისტროს მიერ გამოყოფილი დაფინანსება ჩაირიცხება სტუდენტის სახელზე უნივერსიტეტის ანგარიშზე სწავლის საფასურის დასაფარად. სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში არ მოხდება სტუდენტის სწავლის საფასურის დავალიანებების დაფარვა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ბენეფიციარის დაფინანსება	480	1977.08	949,000
რეკლამა	1	500	500
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	1	500	500
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			950,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საბუთების მიღება			X	
ბენეფიციარების გამოვლენა			X	X
დაფინანსებული სტუდენტების აკადემიური მოსწრების დოკუმენტების გადამოწმება	X	X	X	X
დაფინანსება	X	X	X	X
რეკლამა			X	
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა		X	X	

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა სტუდენტებისათვის მაღალმთიანი აჭარიდან, ობოლი, მრვალაშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>გაზრდილია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა სტუდენტებისათვის მაღალმთიანი აჭარიდან, ოზოლი, მრვალაშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან.</p>	<p>არანაკლებ 480 სტუდენტი</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>განათლების დეპარტამენტი, აკრედიტებული უნივერსიტეტები, სოციალური მომსახურების სააგენტო</p>	<p>წელიწადში ერთხელ</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო</p>	<p>ხელშეკრულება</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060404

ქვეპროგრამის დასახელება:

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	142,000
სულ ბიუჯეტი:	142,000

ქვეპროგრამის მიზანი:

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

სწავლა საზღვარგარეთ: ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ან კანადაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლების მოპოვების დამადასტურებელ დოკუმენტს. უპირატესობა მიენიჭება იმ მოქალაქეებს, რომლებიც წარმოადგენენ სამინისტროს მიერ განსაზღვრულ უნივერსიტეტებში სწავლის უფლების მოპოვების დამადასტურებელ დოკუმენტს.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც სამაგისტრო (21-დან 35 წლამდე ასაკის მოქალაქე) და სადოქტორო (25-დან 45 წლამდე ასაკის მოქალაქე) ასევე საბაკალავრო პროგრამებზე (18-დან 25 წლამდე ასაკის მოქალაქე) ჩარიცხულ სტუდენტებს. უპირატესობა მიენიჭებათ სამაგისტრო, სადოქტორო და საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს აღნიშნული თანმიმდევრობის დაცვით.

ქვეპროგრამის მონაწილე სწავლებასთან დაკავშირებული ხარჯების (მაგ. სწავლის საფასური, ცხოვრების ხარჯები, სამედიცინო დაზღვევა, სასწავლო რესურსების შეძენა და ა.შ.) დაფინანსების მიზნით სამინისტროდან მიიღებს ფინანსურ დახმარებას ერთჯერადი გასაცემლის სახით არაუმეტეს 12500 ლარის ოდენობით. აღნიშნული დახმარება გაიცემა 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ხარჯების დაფარვის მიზნით. სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს დაფინანსებას 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის, ავტომატურად ხდება პრეტენდენტი მომდევნო სემესტრის დაფინანსების მიღებაზე, თუკი ის შეინარჩუნებს მაღალ აკადემიურ მოსწრებას, რაც განისაზღვრება საკონკურსო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე. ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის ბენეფიციარები ქვეპროგრამით დაინტერესებულ მხარეებს გაუზიარებენ მიღებულ გამოცდილებას.

კვალიფიკაციის ამაღლება: ქვეპროგრამა ითვალისწინებს მეცნიერის სტაჟირებით მივლინებას უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში, ხელოვნებისა და სამეცნიერო - კვლევით ცენტრებში. დახმარება გაიცემა იმ განმცხადებლებზე, რომლებიც სტაჟირებას გაივლიან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და კანადაში.

ფინანსური დახმარების მოსაპოვებლად განაცხადის წარმოდგენა შეუძლია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 45 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: არის დამამთავრებელი კურსის დოქტორანტი ან აქვს დოქტორის აკადემიური (მასთან გათანაბრებული) ხარისხი.

კონკურსის მიზანია ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, ახალგაზრდა მეცნიერთათვის საერთაშორისო კონტაქტების დამყარება და ხელშეწყობა გამოცდილების შეძენაში.

ფინანსური დახმარების ფარგლებში ახალგაზრდა მეცნიერს შეიძლება აუნაზღაურდეს: მგზავრობის, ვიზის, ცხოვრებისა და სხვა ხარჯები. ქვეპროგრამის მონაწილე მიიღებს ფინანსურ დახმარებას არაუმეტეს 2800 ლარის ოდენობით ერთჯერადი გასაცემლის სახით.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე.

ქვეპროგრამის ბენეფიციარები ქვეპროგრამით დაინტერესებულ მხარეებს გაუზიარებენ მიღებულ გამოცდილებას.

კონფერენციები და საჯარო ლექციები

ა) სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა

ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მეცნიერთა მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გააძლიეროს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი და ხელი შეუწყოს ქართველი მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში ინტეგრაციას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მუდმივად ან ხელშეკრულებით მომუშავე მეცნიერებს - აკადემიური ხარისხის (მაგისტრი, დოქტორი) ან სამეცნიერო წოდების (მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერებათა დოქტორი) მქონე მოქალაქეებს; აგრეთვე მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, რომლებიც განაცხადის წარდგენის პერიოდში სწავლობენ ზემოთაღნიშნული იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციებში. დახმარება გაიცემა შემდეგი სახის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად: კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი, სიმპოზიუმი, სემინარი. უპირატესობა მიენიჭებათ იმ განმცხადებლებს, რომლებიც მონაწილეობენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში გამართულ საერთაშორისო ღონისძიებებში.

ქვეპროგრამის მონაწილე მიიღებს ფინანსურ დახმარებას არაუმეტეს 2500 ლარის ოდენობით ერთჯერადი გასაცემლის სახით, რომელშიც შეიძლება შევიდეს მგზავრობის, ვიზის, ცხოვრებისა და სხვა ხარჯები.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე.

ბ) საჯარო ლექციები ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ორგანიზებას გაუწევს საჯარო ლექციების მოწყობას აჭარაში. საჯარო ლექციების თემატიკის განსაზღვრის მიზნით მინისტრის ბრძანებით შეიქმნება კომისია, რომელიც ისარგებლებს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით, საჯარო ლექციებს ორგანიზებას გაუწევს სამინისტრო. ლექციები გაიმართება სხვადასხვა აუდიტორიისათვის: სტუდენტები, ლექტორები, მასწავლებლები, საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები და სხვ.

ლექციების თემატიკა განისაზღვრება ქვეპროგრამის ფარგლებში შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. უპირატესობა მიენიჭება განათლების თემატიკას - მაგ. განათლების მართვა და პოლიტიკა, განათლების ხარისხი, განათლების ხელმისაწვდომობა, თანამედროვე ტენდენციები და პრობლემები და სხვ. საჯარო ლექციის თემატიკა შეიძლება მოიცავდეს როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული და უმაღლესი განათლების ასპექტებს. ლექციების ორგანიზების ფარგლებში შეიძლება დაფინანსდეს ჰონორარი, ტრანსპორტირების, ღამისთევისა და კვების ხარჯები, თვალსაჩინოებების მომზადების ხარჯები და ა.შ.

გ) კონფერენციის მოწყობა ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს კონფერენციის მოწყობას, დაფინანსების მიღება შეუძლიათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს. ასევე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს.

სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა ერთი კონფერენციისათვის არ უნდა აღემატებოდეს 20 000 ლარს. კონფერენციის ჩატარება გათვალისწინებული უნდა იყოს 2014 წლის 20 მაისიდან 2015 წლის 20 მაისის ჩათვლით.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- კონფერენციის ორგანიზატორთა ან/და დამხმარე პერსონალის საზღაური;
- კონფერენციის მონაწილეთა სასტუმროს ხარჯი;
- კონფერენციის მონაწილეთა ტრანსპორტირების ხარჯი;
- კონფერენციის მონაწილეთა კვების ხარჯი;
- კონფერენციის მოსაწყობად საჭირო აპარატურის შესყიდვის ან/და დაქირავების ხარჯი;
- კონფერენციის ჩატარებისათვის საჭირო დარბაზის დაქირავების ხარჯები;
- კონფერენციის მასალების დაბეჭდვა;
- სხვა საქონელი და მომსახურება (საკანცელარიო და სხვ.).

ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

კონფერენცია შეიძლება მოეწყოს ნებისმიერ თემაზე, რომელიც მნიშვნელოვანია რეგიონისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სწავლა საზღვარგარეთ	4	12,500	50,000
კვალიფიკაციის ამაღლება	3	2,800	8,400
საჯარო ლექცია	6	2,500	15,000
სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა	3	2,500	7,500
კონფერენციის მოწყობა	3	20,000	60,000
ქვეპროგრამის განხორციელების ხელშეწყობა		1,100	1,100
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			142,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სწავლა საზღვარგარეთ	X	X	X	X
კვალიფიკაციის ამაღლება	X	X	X	X
საჯარო ლექცია	X	X	X	X

სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა	X	X	X	X
კონფერენციის მოწყობა	X	X	X	X
ქვეპროგრამის განხორციელების ხელშეწყობა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებების ორგანიზება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებების ორგანიზება ხელმისაწვდომია	საშუალოდ 10 ბენეფიციარი, საშუალოდ 9 ღონისძიება	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, უნივერსიტეტები	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060405

ქვეპროგრამის დასახელება: უცხოეთში სტაჟირება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	34,000
სულ ბიუჯეტი:	34,000

ქვეპროგრამის მიზანი: უცხოეთში სტაჟირების ქვეპროგრამის მიზანია კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად ახალგაზრდების მომზადება. უცხოეთში სტაჟირების ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად საქართველოს დაუბრუნდებიან კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული სპეციალისტები, რომლებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ რეგიონის ადმინისტრაციულ, კულტურულ-საგანმანათლებლო და მომსახურების სფეროს მუშაობის დონის ამაღლების საქმეში.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მცხოვრებ 18-დან 32 წლამდე ასაკის საქართველოს 15 მოქალაქეს, რომელსაც აქვს პროფესიული ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი და ფლობს იმ ქვეყნის სახელმწიფო ენას, სადაც სტაჟირებას გაივლის.

სტაჟირების პერიოდი, რომლის ხანგრძლივობა 3-დან 7 თვემდეა, მოიცავს ერთთვიან უცხო ენის ინტენსიურ კურსს, პროფესიულ პრაქტიკას პროგრამის მონაწილე ევროპის რომელიმე რეგიონის კერძო ან საჯარო სტრუქტურაში და მიმდები რეგიონის მიერ შემუშავებულ კულტურულ პროგრამას. სტაჟიორი ფინანსდება მასპინძელი რეგიონის ბიუჯეტიდან და აკომოდაციისა და კვების ხარჯების დაფარვის მიზნით, მიიღებს ყოველთვიურ სტიპენდიას 700-დან 800 ევრომდე. სტაჟიორი დაზღვეული იქნება ევროპის რეგიონთა ასამბლეის მიერ. სტაჟირების პერიოდში, სტაჟიორის მეურვეობას და სტაჟირების მიმდინარეობის მონიტორინგს ახორციელებს მიმდები რეგიონის მიერ დანიშნული ადგილობრივი კოორდინატორი. მიმდები რეგიონი არ აანაზღაურებს სტაჟიორის მგზავრობისა და ვიზის ხარჯებს.

ქვეპროგრამა ემყარება ახალგაზრდების ურთიერთგაცვლის პრინციპს, აქედან გამომდინარე, აჭარის რეგიონში 3-თვიანი ვადით მოწვეულ იქნება 2 უცხოელი სტაჟიორი, რომელთა მიღების ხარჯები დაიფარება ქვეპროგრამის ბიუჯეტიდან.

ქვეპროგრამის კოორდინატორი მონაწილეობას დებულობს პროგრამა ევროოდისეას ყოველწლიურ ფორუმში. ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სახელზე;
- სამინისტროს მიერ შემუშავებული სპეციალური სააპლიკაციო ფორმა;
- საერთაშორისო პასპორტისა და პირადობის მოწმობის ასლი;
- მოქალაქის საცხოვრებელი მისამართის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- განათლების დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. უცხოეთში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის შემთხვევაში - აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- ერთი ფერადი ფოტოსურათი (3X4).

ქვეპროგრამაში მონაწილეობის მიზნით წინა წლებში დარეგისტრირებული პირები, რომელთა კანდიდატურა მაღალი საკონკურსო პირობების გამო ვერ შეირჩა პარტნიორი რეგიონების მიერ, ხელახალი რეგისტრაციისათვის წარმოადგენენ მხოლოდ განცხადებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სახელზე. საჭიროების შემთხვევაში სამინისტრო უფლებამოსილია მოსთხოვოს აპლიკანტს დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს 2014 წლის 10 იანვრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით. აპლიკანტთა შერჩევა მოხდება შემდეგი პრინციპით:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში დარეგისტრირებული პირი, რომელიც აკმაყოფილებს ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს, ვალდებულია კოორდინატორს მიაწოდოს პროგრამა ევროოდისეას (www.eurodysee.eu) სააპლიკაციო ფორმის ელექტრონული ვერსია. ქვეპროგრამის კოორდინატორი, სააპლიკაციო ფორმის ელექტრონულ ვერსიას უზღავნის პროგრამის პარტნიორ რეგიონს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ვაკანსია. ერთ ვაკანსიაზე შესაძლებელია რამდენიმე განაცხადის გადაგზავნა. სტაჟიორის მიმღები რეგიონის კოორდინატორი, აპლიკანტებთან სატელეფონო გასაუბრების მეშვეობით, ამოწმებს მათ მოტივაციას და ენის ცოდნის დონეს, რის შედეგადაც ირჩევს ვაკანსიისთვის შესაფერის კანდიდატს.

ქვეპროგრამის ფარგლებში სამინისტრო საბოლოოდ შერჩეულ კანდიდატებზე გასცემს ფინანსურ დახმარებას ერთჯერადი გასაცემლის სახით - 950 (ცხრაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ბენეფიციარები სტაჟიორების დასრულების შემდეგ ქვეპროგრამით დაინტერესებულ მხარეებს გაუზიარებენ მიღებულ გამოცდილებას.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურება	12	825	9,900
სტაჟიორის თანადაფინანსების მიზნით ფინანსური დახმარება, ერთჯერადი გასაცემელი	15	950	14250
უცხოელი სტაჟიორის მიღების ხარჯები (3 თვით)	2	3000	6000
მივლინება - პროგრამა ევროოდისეას ყოველწლიური ფორუმი	1	3000	3000
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა (უცხოელი სტაჟიორების კულტურული პროგრამის ხარჯები)		850	850
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			34,000.0

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურება	X	X	X	X
სტაჟიორის თანადაფინანსების მიზნით ფინანსური დახმარება,	X	X	X	X
უცხოელი სტაჟიორის მიღების ხარჯები (3 თვით)	X	X	X	X
მივლინება - პროგრამა ევროოდისეას ყოველწლიური ფორუმი			X	X
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა (უცხოელი სტაჟიორების კულტურული პროგრამის ხარჯები)	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ევროპის რეგიონებში გაგზავნილია და აჭარის რეგიონში მიღებულია უცხოელი სტაჟიორები.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ევროპის რეგიონებში გაგზავნილია და აჭარის რეგიონში მიღებულია უცხოელი სტაჟიორები	გაგზავნილია არაუმეტეს 15; მიღებულია არაუმეტეს 2	რაოდენობა	ევროპის რეგიონთა ასამბლეის პროფესიული გაცვლითი პროგრამა „ევროოდისია“	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0605

პროგრამის დასახელება:

განათლების ხარისხის გაუმჯობესება

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	655,000	150,000	165,000	165,000	175,000
სულ ბიუჯეტი:	655,000	150,000	165,000	165,000	175,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2014-2017 წლები

პროგრამის მიზანი:

განათლების ხარისხის ამაღლება. მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის გაზრდა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ხელს შეუწყობს სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებას, მოსწავლეების ჩართულობას სხვადასხვა სასკოლო აქტივობებში და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას.

დასახელება	სულ	2014	2015	2016	2017
სასკოლო კლუბების ხელშეწყობა	140,000	35,000	35,000	35,000	35,000
კონკურსები და ოლიმპიადები	515,000	115,000	130,000	130,000	140,000
სულ პროგრამის ბიუჯეტი	655,000	150,000	165,000	165,000	175,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დაფინანსება მიიღო 13 სასკოლო კლუბმა; სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობა მიიღო 15000 მოსწავლეზე მეტმა.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით შერჩეული და დაფინანსებულია არანაკლებ 8 სასკოლო კლუბი; დაგეგმილ ღონისძიებებში ჩაერთვება არანაკლებ 15000 მოსწავლე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლებიდან;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაუმჯობესებულია სასწავლო გარემო; სკოლებში გაზრდილია სწავლების მოტივაცია.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2014	2015	2016	2017				
გაზრდილია სწავლა-სწავლების მოტივაცია	გაუმჯობესებულია სასწავლო გარემო	დაფინანსებულია არანაკლებ 8 სასკოლო კლუბის ინიციატივა	დაფინანსებულია არანაკლებ 8 სასკოლო კლუბის ინიციატივა	დაფინანსებულია არანაკლებ 8 სასკოლო კლუბის ინიციატივა	დაფინანსებულია არანაკლებ 8 სასკოლო კლუბის ინიციატივა	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სამართლებლივი უზრუნველყოფის და სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება ჩაბარების აქტი
	სკოლებში გაზრდილია სწავლის მოტივაცია	არანაკლებ 15000 მოსწავლე ჩართულია კონკურსებსა და ოლიმპიადებში	არანაკლებ 15000 მოსწავლე ჩართულია კონკურსებსა და ოლიმპიადებში	არანაკლებ 15000 მოსწავლე ჩართულია კონკურსებსა და ოლიმპიადებში	არანაკლებ 15000 მოსწავლე ჩართულია კონკურსებსა და ოლიმპიადებში	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სამართლებლივი უზრუნველყოფის და სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხარისხის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060501

ქვეპროგრამის დასახელება:

სასკოლო კლუბების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	35,000
სულ ბიუჯეტი:	35,000

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასკოლო კლუბების განვითარების ხელშეწყობა.
--

ქვეპროგრამის აღწერა:

სასკოლო კლუბების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასკოლო კლუბების განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს სასკოლო კლუბების ინიციატივებს. დაფინანსების მაქსიმალური თანხა შეადგენს 3 000 (სამი ათასი) ლარს.

გამარჯვებული სასკოლო კლუბის პროექტებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შექმნილი სპეციალური კომისია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასკოლო კლუბების პროექტის განაცხადი უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან:

1. თავფურცელი;
2. ინფორმაცია განმცხადებლის და შემსრულებლის შესახებ;
3. პროექტის აღწერა და შესრულების განრიგი;
4. ბიუჯეტი;

შერჩევისას უპირატესობა მიენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომლებიც:

1. წარმოადგენენ პროექტის განაცხადს სრული, ორგანიზებული და თანმიმდევრული ფორმით;
2. დამაჯერებლად დაასაბუთებენ პროექტის ეფექტურობას;
3. ჩართავენ თავიანთ აქტივობებში საზოგადოების სხვადასხვა ფენებს;
4. უზრუნველყოფენ პროექტის საჯაროობას;
5. აპლიკანტებს ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებიდან;
6. აპლიკანტებს, რომლებსაც ქვეპროგრამის ფარგლებში 2011, 2012 და 2013 წლებში არ მიუღიათ დაფინანსება.

შენიშვნა: შესაძლებელია დაფინანსდეს რამოდენიმე კლუბის ერთობლივი ინიციატივაც. კერძო სკოლების ინიციატივები დაფინანსდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ ერთობლივ პროექტს საჯარო სკოლასთან ერთად. ამ შემთხვევაში თანხა ჩაირიცხება საჯარო სკოლის ანგარიშზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჩარიცხული თანხებით სახელმწიფო შესყიდვებს განახორციელებს დაფინანსებული საჯარო სკოლა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სასკოლო კლუბი	8	3000	24,000
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება	1	825	9900
მივლინება			150
კომუნიკაცია	1	30	360
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა		590	590
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			35,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სასკოლო კლუბის დაფინანსება		X	X	
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება	X	X	X	X
მივლინება	X	X	X	X
კომუნიკაცია	X	X	X	X
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	X		X	

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გაუმჯობესებულია სასწავლო გარემო.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
გაუმჯობესებულია სასწავლო გარემო	დაფინანსებულია არანაკლებ 8 სასკოლო კლუბის ინიციატივა	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხარისხის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060502

ქვეპროგრამის დასახელება:
კონკურსები და ოლიმპიადები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	115,000
სულ ბიუჯეტი:	115,000

ქვეპროგრამის მიზანი:
მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლება.

ქვეპროგრამის აღწერა:

საგნობრივი ოლიმპიადა

2014 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გეგმავს ჩაატაროს საგნობრივი ოლიმპიადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისათვის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგნობრივი ოლიმპიადა ჩატარდება 2014-2015 სასწავლო წლის პირველ (შემოდგომის) სემესტრში 2 ტურად შემდეგ საგნებსა და კლასებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა - VII; VIII; IX; X; XI-XII კლასები;
2. ინგლისური ენა - VII; VIII; IX; X; XI-XII კლასები;
3. მათემატიკა - VII; VIII; IX; X; XI-XII კლასები;
4. ფიზიკა - IX; X; XI-XII კლასები;
5. ქიმია - X; XI-XII კლასები;
6. ბიოლოგია - IX; X; XI; XII კლასები.

რუსული სექტორის მოსწავლეებისათვის ფიზიკაში, მათემატიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში ოლიმპიადა ოლიმპიადის ორივე ტური ჩატარდება ტესტირების ფორმით. კლასების მიხედვით გამოვლენილი საპრიზო ადგილის მფლობელები, წარჩინებული სკოლები და გამორჩეული მასწავლებლები სამინისტროსაგან მიიღებენ ჯილდოს.

პოეზიის კონკურსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გეგმავს ჩაატაროს კონკურსი პოეზიაში (პოეტ დეკლამატორთა კონკურსი), რომლის მიზანია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გამოავლინოს ნიჭიერი და შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული მოსწავლეები.

პოეზიის კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ საჯარო და კერძო სკოლის სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს.

კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი კომისია. საპრიზო ადგილზე გასულ კონკურსანტებს გადაეცემათ დიპლომები და სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები. პირველ ათ ადგილზე გასული მოსწავლეებისათვის ჩატარდება თემატური ვორკშოპი.

ლიტერატურული მარათონი

ლიტერატურულ მარათონის მიზანია კითხვის პოპულარიზაცია მოსწავლეებში. კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი კომისია. საპრიზო ადგილებზე გასულ კონკურსანტებს გადაეცემათ სერთიფიკატები და სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები. ლიტერატურულ მარათონში მონაწილეობის მიღება შეუძლია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედ, როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლის მოსწავლეებს.

სახვითი ხელოვნების კონკურსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გეგმავს ჩაატაროს ხატვის კონკურსი, რომლის მიზანია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახვითი ხელოვნების ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების აღმოჩენა და წახალისება.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ კერძო და საჯარო სკოლების სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს. კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი კომისია. საპრიზო ადგილებზე გასულ კონკურსანტებს გადაეცემათ დიპლომები და სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები. ჩატარდება თემატური ვორკშოპი.

ექსკურსიები საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გეგმავს განახორციელოს შემეცნებითი ტურები საქართველოსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ წარჩინებული მოსწავლეებისათვის. წარჩინებულ მოსწავლეებს საშუალება ექნებათ დაათვალიერონ სხვადასხვა ისტორიული ადგილები, ასევე მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში. ექსკურსიებში მონაწილეობის მიღება შეუძლია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედ, როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლის მოსწავლეებს.

კონკურსი მათემატიკასა და ქართულ ენაში დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის

2014 წელს პირველად ჩატარდება კონკურსი მათემატიკასა და ქართულ ენაში დაწყებითი საფეხურის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის. კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი კომისია. საპრიზო ადგილებზე გასულ კონკურსანტებს გადაეცემათ დიპლომები და სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საგნობრივი ოლიმპიადა	1	53,000	53,000
პოეზიის კონკურსი; ლიტერატურული მარათონი	1	6,000	6,000
სახვითი ხელოვნების კონკურსი	1	6,000	6,000
კონკურსი მათემატიკასა და ქართულ ენაში	1	20,000	20,000
ექსკურსიები საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ			30,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			115,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საგნობრივი ოლიმპიადა	X	X	X	X
პოეზიის კონკურსი; ლიტერატურული მარათონი	X	X	X	X
სახვითი ხელოვნების კონკურსი	X	X	X	X
კონკურსი მათემატიკასა და ქართულ ენაში	X	X	X	
ექსკურსიები საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ		X	X	

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სკოლებში გაზრდილია სწავლის მოტივაცია

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები (ერთ წელზე)

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სკოლებში გაზრდილია სწავლის მოტივაცია	არანაკლებ 15000 მოსწავლე ჩართულია კონკურსებსა და ოლიმპიადებში	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0606

პროგრამის დასახელება:

გაძლიერებული (ინგლისური ენა, ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლება

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ-ქალაქ ბათუმის N4 საჯარო სკოლა. სსიპ-ქალაქ ბათუმის N6 საჯარო სკოლა.

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	655,240	178,810	158,810	158,810	158,810
სულ ბიუჯეტი:	655,240	178,810	158,810	158,810	158,810

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2014 წ. - 2017 წ.

პროგრამის მიზანი:

- სკოლაში უცხო ენების (განსაკუთრებით ინგლისური ენის) გაძლიერებული, ინტენსიური შესწავლა თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდებით;
- ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობის გამო სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის სირთულეების დასაძლევად და მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნა.

პროგრამის აღწერა:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინგლისური ენისა და ფიზიკა - მათემატიკის გაძლიერებული სწავლების მიზნით ქ. ბათუმის საჯარო სკოლის მოსწავლეები უცხო ენის სწავლების გაძლიერებულ კურსებს გაივილიან ქ. ბათუმის №4 საჯარო სკოლაში და ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებულ კურსს ქ. ბათუმის №6 სკოლაში. საგნის/საგნების გაძლიერებულად (სპეციალიზირებულად) სწავლება მსოფლიოში მიღებული და გავრცელებული პრაქტიკაა. სპეციალიზირებული სკოლის სტატუსი ხელს უწყობს სკოლაში სწავლა-სწავლების სტანდარტის ამაღლებას, როგორც სპეციალიზირებულ საგან/საგნებში, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სხვა სავალდებულო/არჩევით საგნებში. საგნის/საგნების სპეციალიზირებულად სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას, სპეციალიზირებული სკოლის სტატუსი ხელს უწყობს სკოლებს შორის კონკურენციასა და არჩევანის გაზრდას. სწავლისას ბევრი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებას კი წარმოადგენს მოძებნოს ყველა ბავშვის წარმატებით სწავლების გზები. ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. ქ. ბათუმის სპეციალური №6 საჯარო სკოლაში მასწავლებლები ზრუნავენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. შშმ მოსწავლეები სასწავლო პროცესის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნებიან მათთვის საჭირო მომსახურებით.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ქალაქ ბათუმის #4 საჯარო სკოლის - უცხო ენების გაძლიერებული სწავლება	140,000	35,000	35,000	35,000	35,000
ქალაქ ბათუმის #6 საჯარო სკოლის - გაძლიერებული ფიზიკა-მათემატიკისა და ინკლუზიური სწავლება	515,240	143,810	123,810	123,810	123,810
სულ პროგრამა	655,240	178,810	158,810	158,810	158,810

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

1. მინიმუმ 400 მოსწავლე სარგებლობს გაძლიერებული სწავლების პროგრამით;
2. მინიმუმ 30 მოსწავლე სარგებლობს ინკლუზიური განათლების პროგრამით.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

1. მინიმუმ 690 მოსწავლე სარგებლობს გაძლიერებული სწავლების პროგრამით;
2. მინიმუმ 30 მოსწავლე სარგებლობს ინკლუზიური განათლების პროგრამით.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

- მოსწავლეები მაღალ დონეზე ფლობენ უცხო ენას (როგორც ზეპირმეტყველებას, ასევე, წერით უნარ-ჩვევებს);
- სხვადასხვა სახის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს აქვთ ხარისხიანი და სრული განათლების მიღების შესაძლებლობა;
- ინკლუზიური მოზარდები არიან თვითრეალიზებულნი და საზოგადოებაში ინტეგრირებულნი.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2017 წელი				
გაიზრდება მოსწავლეთა დაინტერესება უცხო ენებისა და ტექნიკური სწავლებით; ინკლუზიური განათლების პროცესის განვითარება, თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა შშმ მოსწავლეებისათვის თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა.	სსიპ ქალაქ ბათუმის N4 საჯარო სკოლის უცხოენების გაძლიერებული სწავლება	390 მოსწავლე გაივლის ინგლისური ენის სწავლების სრულ კურსს	400 მოსწავლე გაივლის ინგლისური ენის სწავლების სრულ კურსს	420 მოსწავლე გაივლის ინგლისური ენის სწავლების სრულ კურსს	450 მოსწავლე გაივლის ინგლისური ენის სწავლების სრულ კურსს	რაოდენობა	მშობელთა განცხადებები	სსიპ ქალაქ ბათუმის N4 საჯარო სკოლა	ხელშეკრულებები
	სსიპ ქალაქ ბათუმის N6 საჯარო სკოლის გაძლიერებული ფიზიკა-მათემატიკისა და ინკლუზიური სწავლება	ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების კურსს გაივლის არანაკლებ 300 მოსწავლე; 40 მოსწავლე გაივლის ინკლუზიურ სწავლებას; სხვადასხვა სკოლების არანაკლებ 18 სმენადაქვეითებული მოსწავლე -მეტყველების თერაპევტის სარეაბილიტაციო კურსს.	ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების კურსს გაივლის არანაკლებ 350 მოსწავლე; 40 მოსწავლე გაივლის ინკლუზიურ სწავლებას; სხვადასხვა სკოლების არანაკლებ 20 სმენადაქვეითებული მოსწავლე -მეტყველების თერაპევტის სარეაბილიტაციო კურსს.	ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების კურსს გაივლის არანაკლებ 370 მოსწავლე; 40 მოსწავლე გაივლის ინკლუზიურ სწავლებას; სხვადასხვა სკოლების არანაკლებ 25 სმენადაქვეითებული მოსწავლე -მეტყველების თერაპევტის სარეაბილიტაციო კურსს.	ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების კურსს გაივლის არანაკლებ 400 მოსწავლე; 40 მოსწავლე გაივლის ინკლუზიურ სწავლებას; სხვადასხვა სკოლების არანაკლებ 30 სმენადაქვეითებული მოსწავლე -მეტყველების თერაპევტის სარეაბილიტაციო კურსს.	რაოდენობა	მშობელთა განცხადებები	სსიპ ქალაქ ბათუმის N6 საჯარო სკოლა	ხელშეკრულებები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

გამლიერებული (ინგლისური ენა, ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060601

ქვეპროგრამის დასახელება:

ქალაქ ბათუმის #4 საჯარო სკოლის - უცხო ენების გამლიერებული სწავლება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ ქალაქ ბათუმის N4 საჯარო სკოლა

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	35,000
სულ ბიუჯეტი:	35,000

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარაში მცხოვრები მოსწავლეებისათვის გამლიერებული ინგლისური ენის სწავლება.

ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს არა მარტო ბათუმის, არამედ აჭარის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებს. მათ ინგლისური ენის შესწავლა ეხმარება სასკოლო პროგრამების ათვისებასა და დახვეწაში. ინგლისური ენის გაღრმავებული სწავლება, მოსწავლეების ლექსიკური მარაგის გამდიდრება, წერა-კითხვის, მოსმენის კულტურის გამომუშავება, საერთაშორისო პროექტებში, პროგრამებში, ინგლისური ენის ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობის მიღება. მოსწავლეთა მოტივაცია ინგლისური ენა გამოიყენოს პრაქტიკაში.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შრომის ანაზღაურება	7		23,200
საქონელი და მომსახურეობა			11,800
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			35,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შრომის ანაზღაურება	X	X	X	X
საქონელი და მომსახურეობა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ინგლისური ენის გამლიერებული სწავლება მოზარდს ეხმარება თვითდამკვიდრებასა და პროფესიულ ორიენტაციაში.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
აჭარაში მცხოვრები მოსწავლეებისათვის გადრმავებული ინგლისური ენის სწავლება.	390 მოსწავლე გაივლის ინგლისური ენის სწავლების სრულ კურსს	რაოდენობა	მშობელთა განცხადებები	წლის განმავლობაში	სსიპ ბათუმის N4 საჯარო სკოლა	განცხადებები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ქალაქ ბათუმის #6 საჯარო სკოლის - გამლიერებული ფიზიკა-მათემატიკისა და ინკლუზიური სწავლება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060602

ქვეპროგრამის დასახელება:

ქალაქ ბათუმის #6 საჯარო სკოლის - გამლიერებული ფიზიკა-მათემატიკისა და ინკლუზიური სწავლება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ ქალაქ ბათუმის №6 საჯარო სკოლა

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	143,810
სულ ბიუჯეტი:	143,810

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსწავლეთა შორის ფიზიკა-მათემატიკური ინტერესის გაღვივება;
 მოსწავლეთა კლასგარეშე მუშაობის წახალისება და მათთვის დახმარების აღმოჩენა;
 ცენტრი ზრუნავს საკუთარი სწავლების მეთოდების და საგანმანათლებლო პროგრამების სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობაზე, ამყარებს კონტაქტებს შიდა და უცხოეთის სკოლებთან;
 ბათუმის N6 საჯარო სკოლის ძირითადი კონცეფცია ორიენტირებულია თანამედროვე სკოლის მოდელის დანერგვაზე პიროვნული პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენაზე, რაც ასევე გულისხმობს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას. ინკლუზიური განათლება არის მიდგომა, რომელიც ცდილობს ყველა სკოლის ასაკის ბავშვის ჩართვას სასწავლო პროცესში მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა დ/ ან სირთულეებისა სწავლის პროცესში.

ქვეპროგრამის აღწერა:

N6 საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის გამლიერებული სწავლების ცენტრის მომსახურებას გაუწევს 300 მოსწავლეს (ფიზიკა-7-12 კლასი 6 ჯგუფი, 60-მოსწავლე; მათემატიკა- 1-12 კლასი 24 ჯგუფი, 240 მოსწავლე და ხოლო ინკლუზიური სწავლების კურსს 40 და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 18 სმენადაქვეითებული მოსწავლეს. ბათუმის N6 საჯარო სკოლის ძირითადი კონცეფცია ორიენტირებულია თანამედროვე სკოლის მოდელის დანერგვაზე პიროვნული პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენაზე, რაც ასევე გულისხმობს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას. ინკლუზიური განათლება არის მიდგომა, რომელიც ცდილობს ყველა სკოლის ასაკის ბავშვის ჩართვას სასწავლო პროცესში მიუხედავად მისი შესაძლებლობისა და/ან სირთულეებისა სწავლის პროცესში.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შრომის ანაზღაურება	20		81,710
საქონელი და მომსახურეობა			43,320
არაფინანსური აქტივები			18,780
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			143,810

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შრომის ანაზღაურება	X	X	X	X
საქონელი და მომსახურება	X	X	X	X
არაფინანსური აქტივები	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

1.გამლიერებული ფიზიკა-მათემატიკური სწავლების ცენტრის მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა;

2.ნიჭიერ მოსწავლეთა გამოვლენის, მხარდაჭერისა და თანმხლები სისტემის სრულყოფა;

3. საგნის ათვისება არანაკლებ 70%;

4.ეროვნულ სასწავლო და ყველა დონის საგნობრივ ოლიმპიადებში მოსწავლეთა წილობრივი ზრდა;

5.ინკლუზიური საზოგადოების ფორმირება, საზოგადოებისა, სადაც ყველა ადამიანი რეალიზებულია;

6.ხელი შეეწყობა სსსმ მოსწავლეების საზოგადოებაში ინტეგრაციას;

7. სკოლის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კლას-ლაბორატორიების აღჭურვის შემდგომ მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ შეასრულონ სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები, რომელთა შედეგი სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსზე, თანამედროვე დონეზე, სათანადოდ წარდგენის საშუალებას მისცემს მოსწავლეებს.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
გამლიერებული ფიზიკა-მათემატიკური სწავლების ცენტრის მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა, საგნის ათვისება არანაკლებ 70%	საანგარიშო წლის განმავლობაში ფიზიკა - მათემატიკის გამლიერებული სწავლების კურსს გაივლის არანაკლებ 300 მოსწავლე	ერთეული	სსიპ ქალაქ ბათუმის #6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა	წლის განმავლობაში	სსიპ ქალაქ ბათუმის #6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა	გამოცდების/გასაუბრების საფუძველზე
	სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებსა და ოლიმპიადებში მონაწილე მოსწავლეთა შედეგების დინამიკის ზრდა					სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებსა და ოლიმპიადებში მონაწილე მოსწავლეთა
ინკლუზიური საზოგადოების ფორმირება, სადაც ყველა ადამიანი რეალიზებულია, ხელი შეეწყოს სსსმ მოსწავლეების საზოგადოებაში ინტეგრაციას.	არანაკლებ 40 მოსწავლე გაივლის ინკლუზიურ სწავლებას;	ერთეული	სსიპ ქალაქ ბათუმის #6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა	წლის განმავლობაში	სსიპ ქალაქ ბათუმის #6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა	მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა
	სხვადასხვა სკოლების არანაკლებ 18 სმენადაქვეითებული მოსწავლე გაივლის მეტყველების თერაპევტის სარეაბილიტაციო კურსს	ერთეული	სსიპ ქალაქ ბათუმის #6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა			მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0607

პროგრამის დასახელება:

უწყვეტი განათლება

პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „განათლების ფონდი“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	4,457,600	1,151,400	1,123,400	1,091,400	1,091,400
სხვა: მასწავლებელთა გადამზადების საფასური (კერძო სკოლის მასწავლებლები)	36,000	9,000	9,000	9,000	9,000
სულ ბიუჯეტი:	4,493,600	1,160,400	1,132,400	1,100,400	1,100,400

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2014-2017 წლები

პროგრამის მიზანი:

უცხო ენებისა და კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა. მასწავლებელთა გადამზადება.

პროგრამის აღწერა:

მოსახლეობისთვის უცხო ენების სწავლება;
მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა;
განათლების პოპულარიზაცია და საზოგადოების სოციალური მხარდაჭერა.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
უწყვეტი განათლება	4,493,600	1,160,400	1,132,400	1,100,400	1,100,400
სულ პროგრამა	4,493,600	1,160,400	1,132,400	1,100,400	1,100,400

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

უცხო ენების შემსწავლელი კურსები გაიარა 8480 მსმენელმა, კომპიუტერული უნარ-ჩვევებს დაეუფლა 1270 მსმენელი.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

უცხო ენების შემსწავლელი კურსებს გაიავლის 8560 მსმენელი, კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს დაეუფლება 1860 მსმენელი

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია უცხო ენებისა და კომპიუტერული პროგრამების შესწავლა. უცხო ენების შემსწავლელი კურსებს გაიავლის 3888 მსმენელი, კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს დაეუფლება 1575 მსმენელი. ამაღლებულია მასწავლებლების პროფესიული კვალიფიკაცია, მოთხოვნის შესაბამისად სხვადასხვა საგანში გადამზადდება 5500 მასწავლებელი.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი					
ფონდში უცხო ენების შესწავლა ხელმისაწვდომია	18 წლის ზემოთ მყოფი საქართველოს მოქალაქე	3888	3888	3888	3888	რაოდენობა	ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი	ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი	მსმენელის აპლიკაცია
ფონდში კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა ხელმისაწვდომია	18 წლის ზემოთ მყოფი საქართველოს მოქალაქე	1575	1575	1575	1575	რაოდენობა	ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი	ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი	მსმენელის აპლიკაცია
ფონდში მასწავლებელთა გადამზადება ხელმისაწვდომია	სკოლის მასწავლებლები	5500	5700	6000	6200	რაოდენობა	ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი	ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი	მსმენელის აპლიკაცია

პროგრამის განაცხადის ფორმა

პროიექტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0608

პროგრამის დასახელება:

საჯარო სკოლების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც ახორციელებენ საპანსიონო მომსახურებას

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ „სოფელ სალიბაურის # 2 საჯარო სკოლა“; სსიპ „ჩაისუბნის # 2 საჯარო სკოლა“; ფრიდონ სურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა; სსიპ „დაბა შუახევის საჯარო სკოლა“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2,939,120	734,780	734,780	734,780	734,780
სულ ბიუჯეტი:	2,939,120	734,780	734,780	734,780	734,780

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2014 -2017 წლები

პროგრამის მიზანი:

საჯარო სკოლების, რომლებიც ახორციელებენ საპანსიონო მომსახურებას, ბავშვების საცხოვრებელი მატერიალური ბაზის კეთილმოწყობის აუცილებლობა და სასწავლო გარემოს სტანდარტებთან მისადაგება; ხარისხიანი ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა; ყველა მოსწავლეს, მიუხედავად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება კომფორტულ და ესთეტიურ პირობებში, რაც მოსწავლეს მისცემს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების რეალიზაციის საშუალებას. ამ მიზნით ხორციელდება საპანსიონო სუბსიდირება, სადაც გათვალისწინებულია ბავშვების საცხოვრებლის მატერიალური ბაზის კეთილმოწყობა, ბავშვები უზრუნველყოფილი არიან კვებით და სხვა ყველა საჭირო საცხოვრებელი მომსახურებით.

პროგრამის აღწერა:

- საჯარო სკოლების, რომლებიც ახორციელებენ საპანსიონო მომსახურებას, საყოფაცხოვრებო და სასწავლო პირობების გაუმჯობესება;
- სოციალურად დაუცველი მოსწავლეების კვებით, ნორმალური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა;
- მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების სრული და ხარისხიანი სასწავლო კურსის შეთავაზება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
სსიპ „სოფელ სალიბაურის # 2 საჯარო სკოლის“ საპანსიონო სუბსიდია	1,398,000	349,500	349,500	349,500	349,500
სსიპ „ჩაისუბნის # 2 საჯარო სკოლის“ საპანსიონო სუბსიდია	571,520	142,880	142,880	142,880	142,880
ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლის პანსიონური მომსახურება	691,600	172,900	172,900	172,900	172,900
სსიპ „დაბა შუახევის საჯარო სკოლის“ საპანსიონო სუბსიდია	278,000	69,500	69,500	69,500	69,500
სულ პროგრამა	2,939,120	734,780	734,780	734,780	734,780

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

427 მოსწავლემ მიიღო ხარისხიანი განათლება, ისარგებლა სრული პანსიონური მომსახურებით (საკვები, ღამისთევა, უსაფრთხო გარემო).

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

არანაკლებ 427 მოსწავლე მიიღებს ხარისხიან განათლებას.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

• შექმნილია ბავშვების ცხოვრების, აღზრდისა და სწავლისათვის აუცილებელი შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობები (საცხოვრებელი, კვება, უსაფრთხო გარემო).

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორი				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი				
სოციალურად დაუცველი მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით და საცხოვრებელი პირობით; მიიღებენ ზოგადი განათლების სრულ კურსს.	427 მოსწავლე უზრუნველყოფილია პანსიონური მომსახურებით და მიიღებს ხარისხიან განათლებას.	440 მოსწავლე უზრუნველყოფილია პანსიონური მომსახურებით და მიიღებს ხარისხიან განათლებას.	460 მოსწავლე უზრუნველყოფილია პანსიონური მომსახურებით და მიიღებს ხარისხიან განათლებას.	480 მოსწავლე უზრუნველყოფილია პანსიონური მომსახურებით და მიიღებს ხარისხიან განათლებას.	რაოდენობა	მშობელთა განცხადებები	სსიპ „სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა“	ხელშეკრულებები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საჯარო სკოლების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც ახორციელებენ საპანსიონო მომსახურებას

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060801

ქვეპროგრამის დასახელება: სსიპ „სოფელ სალიბაურის # 2 საჯარო სკოლის“ საპანსიონო სუბსიდია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სსიპ სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	349,500
სულ ბიუჯეტი:	349,500

ქვეპროგრამის მიზანი:

– სწავლების, აღზრდისა და ყოფაცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა. შესაბამისი საგანმანათლებლო ეროვნული სასწავლო გეგმისა და პროგრამის ათვისება;
 – სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობის წარმართვა იმგვარად, რომ დაცული იქნას ბავშვების ყველაზე მთავარი უფლებები: განათლება, მშვიდობა, საკვები, ნუგეშისცემა, ჯანმრთელობა, მოვლა, კარგი პირობები.

ქვეპროგრამის აღწერა:

პანსიონური მომსახურება 6-18 წლის ასაკის ბავშვებისათვის, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილები, ობოლი, მარტოხელა დედების შვილები, დარღვეული ოჯახის შვილები, ბავშვები რომელთა მშობლებს ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლებები.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შრომის ანაზღაურება	45		111,240
საქონელი და მომსახურეობა			237,450
არაფინანსური აქტივები			810
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			349,500

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შრომის ანაზღაურება	X	X	X	X
საქონელი და მომსახურეობა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

220 მოსწავლე მიიღებს ხარისხიან განათლებას, იცხოვრებს, ისარგებლებს სრული პანსიონური მომსახურებით (საკვები, ღამისთევა, უსაფრთხო გარემო).

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სოციალურად დაუცველი მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით და საცხოვრებელი პირობით,	220 მოსწავლე უზრუნველყოფილია პანსიონური მომსახურებით	რაოდენობა	მშობელთა განცხადება	წლის განმავლობაში	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა	ხელშეკრულებები
ხარისხიანი განათლების მიღება	220 მოსწავლე მიიღებს ხარისხიან განათლებას	რაოდენობა	მშობელთა განცხადება	წლის განმავლობაში	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა	ხელშეკრულებები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სსიპ „ჩაისუბნის # 2 საჯარო სკოლის“ საპანსიონო სუბსიდია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060802

ქვეპროგრამის დასახელება:

სსიპ „ჩაისუბნის # 2 საჯარო სკოლის“ საპანსიონო სუბსიდია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	142,880
სულ ბიუჯეტი:	142,880

ქვეპროგრამის მიზანი:

სწავლების, აღზრდისა და ყოფაცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა. შესაბამისი საგანმანათლებლო ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით პროგრამის ათვისება;

ქვეპროგრამის აღწერა:

პანსიონური მომსახურება 6-18 წლის ასაკის ბავშვებისათვის, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილები, ობოლი, მარტოხელა დედების შვილები, დარღვეული ოჯახის შვილები, ბავშვები რომელთა მშობლებს ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლებები.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შრომის ანაზღაურება	24		50,580
საქონელი და მომსახურეობა			92,300
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			142,880

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შრომის ანაზღაურება	X	X	X	X
საქონელი და მომსახურეობა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

55 მოსწავლე მიიღებს ხარისხიან განათლებას, ისარგებლებს სრული პანსიონური მომსახურებით (საკვები, ღამისთევა, უსაფრთხო გარემო).

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სოციალურად დაუცველი მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, ტანსაცმლით და საცხოვრებელი პირობით;	55 მოსწავლე უზრუნველყოფილია პანსიონური მომსახურებით	რაოდენობა	განცხადებები	წლის განმავლობაში	სსიპ „ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა“	ხელშეკრულებები
ხარისხიანი განათლების მიღება	55 მოსწავლე მიიღებს ხარისხიან განათლებას	რაოდენობა				ხელშეკრულებები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საჯარო სკოლების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც ახორციელებენ საპანსიონო მომსახურებას

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060803

ქვეპროგრამის დასახელება:

ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლის პანსიონური მომსახურება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	172,900
სულ ბიუჯეტი:	172,900

ქვეპროგრამის მიზანი:

პანსიონის მოსწავლეები მიიღებენ მაღალხარისხიან განათლებას

ქვეპროგრამის აღწერა:

პანსიონის მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან მაღალი ხარისხის საპანსიონო მომსახურებით (კვება, ჰიგიენა, საცხოვრებელი უზრუნველყოფა)

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შრომის ანაზღაურება	19		43,900
საქონელი და მომსახურეობა			129,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			172,900

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შრომის ანაზღაურება	X	X	X	X
საქონელი და მომსახურეობა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

116 მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება საპანსიონო მომსახურებით

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოსწავლეები მიიღებენ მაღალხარისხიან განათლებას	116 მოსწავლე უზრუნველყოფილია საპანსიონო მომსახურებით	რაოდენობა	მშობელთა განცხადება	წლის განმავლობაში	სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა	ხელშეკრულება

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საჯარო სკოლების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც ახორციელებენ საპანსიონო მომსახურებას

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060804

ქვეპროგრამის დასახელება:

სსიპ „დაბა შუახევის საჯარო სკოლის“ საპანსიონო სუბსიდია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ დაბა შუახევის საჯარო სკოლა

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	69,500
სულ ბიუჯეტი:	69,500

ქვეპროგრამის მიზანი:

სწავლების, აღზრდისა და ყოფაცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა. შესაბამისი საგანმანათლებლო ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით პროგრამის ათვისება;

ქვეპროგრამის აღწერა:

პანსიონური მომსახურება 6-18 წლის ასაკის ბავშვებისათვის, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილები, ობოლი, მარტოხელა დედების შვილები, დარღვეული ოჯახის შვილები, ბავშვები რომელთა მშობლებს ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლებები.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შრომის ანაზღაურება	12		25,500
საქონელი და მომსახურეობა			44,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			69,500

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შრომის ანაზღაურება	X	X	X	X
საქონელი და მომსახურეობა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

36 მოსწავლე მიიღებს ხარისხიან განათლებას, ისარგებლებს სრული პანსიონური მომსახურებით (საკვები, დამისთვეა, უსაფრთხო გარემო).

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სოციალურად დაუცველი მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, ტანსაცმლით და საცხოვრებელი პირობით;	36 სოციალურად დაუცველი მოსწავლე	რაოდენობა	სსიპ დაბა შუახევის საჯარო სკოლა; მშობლის განცხადება;	წლის განმავლობაში	სსიპ „დაბა შუახევის საჯარო სკოლა“	ხელშეკრულებები
	36 მოსწავლე მიიღებს ხარისხიან განათლებას	რაოდენობა				

პროგრამის განაცხადის ფორმა

პროიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა		
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0609	

პროგრამის დასახელება:

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლა“; ა(ა)იპ „ქ. ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა“; ა(ა)იპ „ქ. ბათუმის რევაზ ლალიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“; ა(ა)იპ „ქ. ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლა“; ა(ა)იპ „აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა“; ა(ა)იპ „ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა“; ა(ა)იპ „ქ. ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	18,167,160	4,690,360	4,786,200	4,345,300	4,345,300
კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები:	911,503	252,763	213,580	220,580	224,580
1.სწავლის გადასახადი	696,190	151,450	177,580	182,580	184,580
2.ოჯარიდან შემოსავალი	159,320	45,320	36,000	38,000	40,000
3. ნაშთი წლის დასაწყისისათვის	55,993	55,993			
სულ ბიუჯეტი:	19,078,663	4,943,123	4,999,780	4,565,880	4,569,880

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2014 - 2017 წლები

პროგრამის მიზანი:

სკოლისგარეშე სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა; სახელოვნებო განათლების ხარისხის ამაღლება და კულტურისა და ხელოვნების სფეროს კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფა; სახელოვნებო სკოლების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და ინსტიტუციური განვითარების გეგმის შემუშავება; საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და ამოქმედების ხელშეწყობა; სახელოვნებო საგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეების მხარდაჭერა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის გზით.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ემსახურება სახელოვნებო განათლების, როგორც კულტურის პრიორიტეტული სფეროს ხარისხის ამაღლების ხელშეწყობას და კულტურისა და ხელოვნების სფეროს უზრუნველყოფას კვალიფიციური კადრებით, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება, ქორეოგრაფიით, კლასიკური მუსიკით და ხელოვნების სხვა დარგებით, შემეცნებითი აქტივობებით.
--

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ა(ა)იპ „მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლა“	5,197,680	1,318,380	1,293,100	1,293,100	1,293,100
ა(ა)იპ „ქ. ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა“	4,953,108	1,427,108	1,174,000	1,176,000	1,176,000
ა(ა)იპ „ქ. ბათუმის რევაზ ლალიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“	3,244,815	815,475	809,780	809,780	809,780
ა(ა)იპ „ქ. ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლა“	1,129,810	332,410	265,800	265,800	265,800

ა(ა)იპ „აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა“	1,882,584	356,584	802,600	361,700	361,700
ა(ა)იპ „ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა“	1,387,769	369,069	336,900	339,900	341,900
ა(ა)იპ „ქ. ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“	1,282,897	324,097	317,600	319,600	321,600
სულ პროგრამა	19,078,663	4,943,123	4,999,780	4,565,880	4,569,880

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

საგანმანათლებლო პროგრამების სრული კურსი გაიარა არანაკლებ 500 მოსწავლემ;
საგანმანათლებლო და სასწავლო შედეგებით პროექტებში მონაწილეობა მიიღო არანაკლებ 4500 ბავშვმა.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

სახელოვნებო განათლების ხარისხის ამაღლება და კულტურისა და ხელოვნების სფეროს კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფა;
ზაქარია ფალაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის შენობა რეაბილიტირებულია და აღჭურვილია სასწავლო ინვენტარით;;
სახელოვნებო საგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეების ღონისძიებებში მონაწილეობა და მხარდაჭერა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

სახელოვნებო სკოლების მიღწევების აღიარება საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში მიღებული წარმატებებით;
საერთაშორისო კონკურსებში და ფესტივალებში მონაწილეთა მიერ მოპოვებული წარმატებების, დიპლომებისა და პრიზების რაოდენობა;

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი					
პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა აამაღლებს აჭარაში ახალგაზრდობის დაინტერესებას ქორეოგრაფიით, კლასიკური მუსიკით და ხელოვნების სხვა დარგებით.	ა(ა)იბ - მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლის ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობა	10 კონკურსში მონაწილეობის მიღება; 1119 მოსწავლე გადის სწავლების კურსს პირველ საფეხურს; 155 მოსწავლემ გაიარა სწავლების სრული კურსი;	10 კონკურსში მონაწილეობის მიღება; 1100 მოსწავლე გადის სწავლების კურსს პირველ საფეხურს	10 კონკურსში მონაწილეობის მიღება; 1200 მოსწავლე გადის სწავლების კურსს პირველ საფეხურს	10 კონკურსში მონაწილეობის მიღება; 1 300 მოსწავლე გადის სწავლების კურსს პირველ საფეხურს	რაოდენობა	სახელოვნებო განათლების მიღების მსურველები	ა(ა)იბ - მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლა	ხელშეკრულებები
	ა(ა)იპ -ქ. ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობა	კონკურსებში მონაწილეობის მიღება საქართველოში 4 და უცხოეთში 2; არანაკლებ 700 მოსწავლე გადის სწავლების კურსს; რეაბილიტირებულია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;	კონკურსებში მონაწილეობის მიღება საქართველოში 4 და უცხოეთში 2; არანაკლებ 720 მოსწავლე გადის სწავლების კურსს	კონკურსებში მონაწილეობის მიღება საქართველოში 4 და უცხოეთში 2; არანაკლებ 750 მოსწავლე გადის სწავლების კურსს	კონკურსებში მონაწილეობის მიღება საქართველოში 4 და უცხოეთში 2; არანაკლებ 770 მოსწავლე გადის სწავლების კურსს	რაოდენობა	სახელოვნებო განათლების მიღების მსურველები	ა(ა)იპ -ქ. ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა	ხელშეკრულებები
ქვეპროგრამის მიზანია რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საწარმოო ინფრასტრუქტურის გამართვა-ხელშეწყობა, ახალი ტექნოლოგიებით, ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა და კოოპერირების სიკეთით მოსახლეობის ფართო მასების დაინტერესების სტიმულირება.

ქვეპროგრამის აღწერა:

2013 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით პროგრამის (ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა) ფარგლებში რეგიონში შეიქმნა 5 სასოფლო სამეურნეო გაერთიანება, მათგან სამრეწველო-საწარმოო ნიშნის მიხედვით 4 გაერთიანება მეციტრუსეობისა და სუბტროპიკული მეხილეობის, ხოლო ერთი მევენახეობისა და კონტინენტალური მეხილეობის მიმართულებითაა. ამავე პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სწავლება-კონსულტირებები, განსაზღვრული იქნა საწარმოო პროგრამების სამეწარმეო მიმართულებები, შედგენილი იქნა საწარმოო პროგრამების შესრულების უზრუნველმყოფი ტექნოლოგიების განხორციელების გეგმა-გრაფიკები, შესრულდა სავსე სამუშაოები (ბენეფიციარებთან ნიადაგის კვლევა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებათა კვლევა და დიაგნოსტიკა), ასევე შემუშავდა წამოჭრილ პრობლემათა გადაჭრის ღონისძიებები.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ კანონის ამოქმედებამ დასაბამი მისცა ახალი კოოპერატივების ჩამოყალიბებას. წინამდებარე ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კოოპერაციული მეურნეობების ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის საწარმოო და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის ხელშეწყობა კერძოდ: 1.პერსპექტიულ მრავალწლიან კულტურათა სამრეწველო-სანიმუშო ბაღების გაშენების მიზნით ქვეპროგრამაში მონაწილე კოოპერატივს მიეწოდება შესაბამისი სამრეწველო პროფილის მრავალწლიანი კულტურის ნერგები, ორგანული და მინერალური სასუქები. შპალერის მოწყობისათვის მავთული და ნაკვეთის ღობისათვის ეკალმავთული, მოცვის ბადისათვის წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობილობები, დაპლანტაჟდება გასაშენებელი ფართობები 2) მეციტრუსეობის ზონის კოოპერატივებს მიეწოდება მანდარინის ნაყოფის დამკალიბრებელი მობილური დანადგარი არანაკლებ 1,5 ტონა საათში წარმადობით (4 ერთეული), 3) მეხილეობის განვითარებით დაინტერესებულ კოოპერატივს მიეწოდება თხილის მობილური გამრჩევი (სამი ერთეული) დანადგარი წარმადობით არანაკლებ 400 კგ საათში.

ქვეპროგრამით მოსარგებლე კოოპერატივი სამრეწველო ბაღის გასაშენებლად თავისი თანამონაწილეობის ფარგლებში შეასრულებს ყველა იმ სხვა სამუშაოებს, რაც დაკავშირებული იქნება სამრეწველო ბაღის საბოლოო მოწყობასთან. კერძოდ: ნაკვეთის გაწმენდა, გასაშენებელი კულტურისათვის ნაკვეთის აგეგმარება, კვლებისა და ორმოების მომზადება-რგვა, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა, შპალერისათვის საყრდენი და ღობისათვის საჭირო ბოძების შექმნა და მოწყობა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს ქვეპროგრამის თანამონაწილე ბენეფიციართა ჩართვა ქვეპროგრამის შესრულების პროცესში ბენეფიციართა მიერ განსახორციელებელი საქმიანობების შესასრულებლად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ქვეპროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მიერ თანამონაწილეობით შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი განხორციელდება სამინისტროს კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ.

შესყიდვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კოოპერაციულ მეურნეობებზე სამრეწველო ბაღების გაშენებისათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული ნერგები, ასევე მანდარინის ნაყოფის მობილური დამკალიბრებელი დანადგარები და თხილის მობილური გამრჩევი დანადგარები ბენეფიციარებს გადაეცემა უსასყიდლოდ შემდგომში აღნიშნული ტექნოლოგიისა და მოწყობილობის ფართო მასშტაბიანი დანერგვის მიზნით, ხოლო სამრეწველო-სანიმუშო ბაღის გაშენება-მოწყობისათვის ადგილმდებარეობას, გასაშენებელი კულტურის სახეობას, ფართობის მოცულობას და ბენეფიციართა (კოოპერაციული მეურნეობა) შერჩევას, შესაბამისი განცხადებებისა და წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე, განხორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი კომისია, რომლის საქმიანობაში ჩართული იქნებიან შესაბამისი მუნიციპალიტეტების გამგეობების და ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენლები.

	ზომის ერთეული	პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამრეწველო ბაღების გაშენება:				
მოცვის ნერგი	ცალი	3300	7.00	23,100
ვენახის ნერგი	ცალი	5000	3.00	15,000
კაკალის ნერგი	ცალი	700	10.00	7,000
შპალერის მავთული	კბ	1800	2.50	4,500
ეკალ მავთული	გრზ/მ	12000	0.22	2,640
მინერალური სასუქები				
NPK	კბ	1600	1.26	2,016
N	კბ	2400	0.85	2,040
P	კბ	600	0.86	516
ორგანული სასუქი	ტონა	120	60.00	7,200
წვეთოვანი სარწყავი სისტემა	ჰა	1	3,000.00	3,000
ნიადაგის პლანტაჟი, დახვნა დაფარცხვა	ჰა	5	997.60	4,988
მანდარინის ნაყოფის მობილური დამკალიბრებელი დანადგარი	ცალი	4	8,500	34,000
თხილის მობილური გამრჩევი დანადგარი	ცალი	3	3,000	9,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				115,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
კოოპერატივების შერჩევა		X	X	
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და გამარჯვებულ ფირმას(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება		X	X	X
მოცვის ნერგის მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა				X
ვენახის ნერგის მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა				X
კაკალის ნერგის მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა				X
შპალერის მავთულის მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა			X	X
ეკალ მავთულის მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა			X	X
მინერალური სასუქების მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა			X	X
ორგანული სასუქის მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა			X	X

წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა			X	X
ნიადაგის პლანტაჟი, დახვნა – დაფარცხვა			X	X
მანდარინის ნაყოფის მობილური დამკალიბრებელი დანადგარის მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა			X	X
თხილის მობილური გამრჩევი დანადგარის მიწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა			X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში 5 ჰა-ზე გაშენებული იქნება 1 ჰა მოცვის, 2 ჰა ვენახისა და 2 ჰა კაკლის სანიმუშო-სამრეწველო ბაღები. კოოპერატივებზე გადაცემული იქნება ოთხი ერთეული მანდარინის ნაყოფის მობილური დამკალიბრებელი დანადგარი, სამი ერთეული თხილის მობილური გამრჩევი დანადგარი, შედეგად ერთი თვის განმავლობაში მინიმუმამდე შემცირდება მანდარინის ნაყოფის ჩვეულებრივ პირობებში შენახვისა და ტრანსპორტირების დროს ბუნებრივი დანაკარგები და ღირებულება, ფერმერს ეძლევა საშუალება ოჯახურ პირობებში წარმოებულ პროდუქციას მიცეს სასაქონლო სახე და თითოეულ კილოგრამზე მოგების სახით დამატებით მიიღოს 0,1 ლარი, იმავდროულად მანდარინის სასაქონლო გადამუშავების შემფუთავი ქარხნები მნიშვნელოვნად განიტვირთება პიკური მდგომარეობისაგან. თხილის სწრაფი გარჩევით უზრუნველყოფილი იქნება, ხარისხობრივი მაჩვენებლების მაქსიმალური შენარჩუნება და შემსუბუქდება ფიზიკური შრომის პროცესი.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
კოოპერატივებში გაშენებული 1 ჰა მოცვის, 2 ჰა ვენახისა და 2 ჰა კაკლის სამრეწველო ბაღები	5	ჰა	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	ერთჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მონიტორინგი
კოოპერატივებზე მიწოდებული 4 ერთეული მანდარინის ნაყოფის მობილური დამკალიბრებელი დანადგარი და 3 ერთეული თხილის მობილური გამრჩევი დანადგარი.	7	ცალი	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	ერთჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 080206

ქვეპროგრამის დასახელება:

ფერმერთა ნაკვეთებზე ნიადაგის ნაყოფიერების დონის ამაღლების მიზნით ქიმიური მელიორაციის ღონისძიებების გამოყენება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლისმეურნეობის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	632,000
სულ ბიუჯეტი:	632,000

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტენიანი სუბტროპიკული ზონისა და სხვა ქვეზონებში არსებული მაღალ მჟავიანი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტენიანი სუბტროპიკული ზონისა და ნაწილობრივ კონტინენტალური ზონის ნიადაგები ტიპური წითელმიწაა, რომლებიც თავისი ქიმიური ბუნებით მომეტებულ მჟავიანია (PH 3– 5 –ის ფარგლებში) რაც დასტურდება 2013 წელს ჩატარებული ნიადაგების კვლევების შედეგად. ხშირი და ინტენსიური ნალექების შედეგად წითელმიწა ნიადაგები განიცდიან მჟავიანობის მომატებას, რომელიც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს ციტრუსებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე, კნინდება მცენარეთა საერთო მდგომარეობა, სუსტდება მცენარეთა მავნებელ-დაავადებებისადმი გამძლეობა და ყოველივე ეს აისახება წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე და ხარისხზე, შესაბამისად მცირდება მოსავლიანობა და ფერმერთა ფინანსური შემოსავლები.

ნიადაგის მჟავე არეს რეაქციის განეიტრალებისათვის სხვადასხვა მეთოდები არსებობს, კერძოდ მოკირიანება, დოლომიტის ან დეფეკაციური ტალახის შეტანა და ბუნებრივი ცეოლიტების გამოიყენება, აღნიშნულთაგან თავისი ღირებულებებიდან გამომდინარე ყველაზე ეფექტური დეფეკაციური ტალახის შეტანაა ფერმერთათვის ხელმისაწვდომი. ერთ ჰა-ზე საჭიროა 10 ტონა დეფეკაციური ტალახი, რომლის შეტანის შედეგად 10–12 წლის განმავლობაში ნიადაგი დაცულია მომეტებული მჟავიანობისაგან.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 8000 ტონა დეფეკაციური ტალახის შესყიდვა და თანადაფინანსების პრინციპით ფერმერებზე მიწოდება, საშუალოდ ფერმერთა სარგებლობაშია 0,25 ჰა, რისთვისაც საჭირო იქნება 2,5 ტონა დეფეკაციური ტალახი, ხოლო ფერმერს თანადაფინანსების პრინციპით 79 ლარის ფარგლებში შეეძლება დეფეკაციური ტალახის შეძენა.

დეფეკაციური ტალახის შესყიდვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მისი განაწილების წესის შემუშავებასა და ბენეფიციართა შერჩევას ფერმერთა განცხადებებისა და წარმოდგენილი სიების (მუნიციპალიტეტების გამგეობები, ქ.ბათუმის მერია) საფუძველზე, განახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი კომისია, რომლის საქმიანობაშიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად ჩართული იქნება მუნიციპალიტეტების გამგეობებისა და ქ. ბათუმის მერიის წარმომადგენლები. დეფეკაციური ტალახის მოწოდება განხორციელდება სამინისტროს მიერ მითითებულ მისამართზე.

შესყიდული დეფეკაციური ტალახი ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გაიცემა თანადაფინანსების პრინციპით, ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდული საქონლის ღირებულების 40 %-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ.

დასახელება	ზომის ერთეული	პროდუქტები		
		რაოდენობა ტონა	ერთ. სამ. ფასი	სულ (ლარი)
დეფეკაციური ტალახის მოწოდება და ფერმერებზე გადაცემა	ტონა	8,000	79	632,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				632,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და გამარჯვებულ ფირმასთან ხელშეკრულების გაფორმება	X			
დეფეკაციური ტალახის მოწოდება და ფერმერებზე გადაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

<p>1. ფერმერებზე მიწოდებული დეფეკაციური ტალახი. 2. განოყიერებული სასოფლო-სამეურნეო სავარგული.</p>
--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
1.ფერმერთა მიერ შესყიდული დეფეკაციური ტალახი	8000	ტონა	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	წლის განმავლობაში ორჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის	ფერმერებთან გაფორმებული შესყიდვის აქტი, და გადახდის ქვითარი
2. განოციერებული სავარგული.	800	ჰა	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	წლის განმავლობაში ორჯერ	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მონიტორინგი, გაშენებული ნარგავობის დათვლა

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	080301
-------------------------------	--------

პროგრამის დასახელება:

აგროსერვისცენტრის მომსახურების მიწოდება და მართვა

პროგრამის განმახორციელებელი:

ა (ა) იპ „აგროსერვისცენტრი“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	5,558,100	1,815,900	1,247,400	1,247,400	1,247,400
სხვა	898,850	20,000	163,200	273,500	442,150
1. ხელოვნური განაყოფიერება	39,750	8,250	9,750	10,500	11,250
2. ნერგების რეალიზაცია(ვაზი, ზეთისხილი, ციტრუსი, ხეხილი)	778,750	2,750	136,000	240,000	400,000
3. ნიადაგების კვლევა	4,000	4,000			
4. ციტრუსისა და ხეხილის ნაყოფის რეალიზება	34,350		7,450	11,000	15,900
5. მანქანა-დანადგარების იჯარა და მომსახურების გაწევა	42,000	5,000	10,000	12,000	15,000
გრანტები	113,910	113,910			
წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთი	3,739	3,739			
სულ ბიუჯეტი:	6,574,599	1,953,549	1,410,600	1,520,900	1,689,550

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

პროგრამის მიზანი:

შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსების მართვა, კადრების კვალიფიკაციის დონის ამაღლება. სუბტროპიკული და კონტინენტალური სერტიფიცირებული სარგავი მასალის წარმოების განვითარების ხელშეწყობა. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა, თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეებისა და ინოვაციების პრაქტიკული დემონსტრირებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა კვალიფიკაციისა და ცნობიერების ამაღლება, სწავლება-კონსულტირება, ტრენინგები სასოფლო-სამეურნეო დარგების მიხედვით. არსებული სუბტროპიკული და კონტინენტალური ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების ჯიშთგანახლებისათვის, ასევე პერსპექტიული და ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის წარმოებისათვის საჭირო საკოლექციო, სადედე და სანერგე მეურნეობებისა და სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა პერსპექტიული სარგავი და სათესლე მასალის წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის დანერგვისა და მაღალპროდუქტიული წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სანაშენე ბაზისა და გენოფონდის შექმნა და განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისად არსებული კადრების კვალიფიკაციის დონის ამაღლება და დატრენინგება.

პროგრამის აღწერა:

- სუბტროპიკული და კონტინენტალური ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების ჯიშთგანახლება;
- მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის დანერგვა;
- მაღალპროდუქტიული წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სანაშენე ბაზისა და გენოფონდის შექმნა;
- ფერმერთა და აგრომეწარმეთა ცოდნის და კვალიფიკაციის ამაღლება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
მომსახურეობის მიწოდება და მართვა	6,574,599	1,953,549	1,410,600	1,520,900	1,689,550
სულ პროგრამა	6,574,599	1,953,549	1,410,600	1,520,900	1,689,550

ჩაქვში ციტრუსების სანერგეში აშენდა საოფისე შენობა. მოეწყო ორი ერთეული სათბური, სულ 1920 კვ.მ. კეთილმოეწყო შიდა გზები და დამონტაჟდა გარე განათება, ასევე აშენდა ორი დამხმარე ნაგებობა. გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობა შემოიღობა ლითონზადით, დაპლანტაჟდა, დაიხვნა და დაიფარცხა 10 ჰა მიწის ფართობი, აქედან 3.6 ჰა ფართობზე გაშენებული იქნა ხეხილისა და ვაზის, როგორც სამამულო ისე უცხოური წარმომავლობის ნერგები. სულ გადაადგილებულია 1300 ძირი ხეხილის, 2600 ძირი ვაზის ნამყენი ნერგი, 2000 ძირი ხეხილის საძირე და 450 ძირი ვაზის საძირე ნერგი. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საოფისე შენობას. აშენდა დამხმარე შენობები, მოეწყო 480 კვ.მ. სათბური ბოსტნეულისთვის, სანერგეს მთელ ტერიტორიაზე დამონტაჟდა წვეთობრივი სარწყავი სისტემა, მოეწყო შიდა გზები, დამონტაჟდა გარე განათება და სათვალთვალო ვიდეო კამერები მთელ პერიმეტრზე, მოეწყო საძირკველი ორი ერთეული სათბურისათვის, სულ 960 კვ.მ.

ადგილობრივი და უცხოელი ტრენინგების მიერ დატრენინგდა 14 მთესლავ-ტექნიკოსი.პრაქტიკაში დაინერგა საერთაშორისო გამოცდილებები და ამაღლდა მთესლავ-ტექნიკოსთა კვალიფიკაცია ხელოვნური განაყოფიერების თანამედროვე საერთაშორისო ტექნოლოგიებში. ხელოვნური განაყოფიერება ჩაუტარდა 280 ფურს, ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების შედეგად გაუმჯობესდა პირუტყვის ჯიშობრივი ნიშანთვისებები,რითაც ხელი შეეწყო ეკოლოგიურად სუფთა, მაღალხარისხიანი მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდას და ფერმერთა ეკონომიური შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

ქალაქ ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები აღიჭურვა ავეჯითა და საოფისე ინვენტარით, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებისათვის შეძენილი იქნა მაღალი გამავლობის ავტომობილები.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

50 000 ერთეული ციტრუსის ნერგის წარმოება და სათბურში განთავსება, ციტრუსების სანერგე მეურნეობაში ქოთნებში არსებული საკოლექციო ნერგების სათბურში გადატანა, გვარა-ხუცუბნის სანერგეში ჩაქვის სანერგედან ხეხილის ნერგებისა და სხვა ნერგების გადასარგავად ნაკვეთების აგემარება და ნერგების დარგვა, გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანების სანერგეში ნარგავების დარგვის წინ ნიადაგის გაფხვიერება(მულჩირება), 960 კვ.მ-ზე ორი ერთეული სათბურის აშენება, 600 სული მსხ. რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება, ხელოვნური განაყოფიერების სადგურების მოწყობა (დიდაჭარა, ხიხამირი). მარანის მშენებლობის დასრულება, ციტრუსისა და ხილის დამხარისხებელი დანადგარებისა და სამაცივრე საკანისათვის ანგარის მოწყობა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ფერმერთა საერთაშორისო გამოცდილებისა და მეცნიერული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვა, ფერმერთა და აგრომეწარმეთა კვალიფიკაციის და ცნობიერების ამაღლება. თანამედროვე ტექნიკური სიახლეების პრაქტიკაში დანერგვა. ფერმერთა უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნოლოგიით მიღებული პერსპექტიული, ჯიშოვანახლებული სარგავი მასალებითა და შესაბამისად ფერმერთა ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი				
ფერმერთა საერთაშორისო გამოცდილებისა და მეცნიერული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვა, ფერმერთა და აგრომეწარმეთა კვალიფიკაციის და ცნობიერების ამაღლება. თანამედროვე ტექნიკური სიახლეების პრაქტიკაში დანერგვა. ფერმერთა უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნოლოგიით მიღებული პერსპექტიული, ჯიშგანახლებული სარგავი მასალებითა და შესაბამისად ფერმერთა ეკონომიური შესაძლებლობების გაუმჯობესებით.	შეიქმნება სასათბურე მეურნეობა (ჩაქვი -1920 კვ.მეტრი სათბური ციტრუსოვანთა ნერგების წარმოებისათვის, გვარა-ხუცუბანი - 960კვ.მ. სათბური ხეხილისა და ვაზის ნერგების საწარმოებლად);							
	ჩაქვის ნაკვეთზე შექმნილია საცდელ-სადემონსტრაციო-სადედე და სანერგე მეურნეობა	იწარმოება 50 000 ცალი ციტრუსოვანთა ნერგი	იწარმოება 100 000 ცალი ციტრუსოვანთა ნერგი	იწარმოება 150 000 ცალი ციტრუსოვანთა ნერგი				
	გვარა-ხუცუბანის ნაკვეთზე შექმნილია საცდელ-სადემონსტრაციო-სადედე და სანერგე მეურნეობა	1000 ხურმის ნერგი, 1000 ვაშლის ნერგი, 30 000 ვაზის ნერგი).	იწარმოება 2000 ხურმის ნერგი, 1500 ვაშლის ნერგი, 3 000 ბალის ნერგი, 1500 მსხლის ნერგი, 2000 მოცვის ნერგი, 350 ფეიხოს ნერგი , 1000 ტყემლის ნერგი, 300 კარალიოკის ნერგი, 1000 კივის ნერგი, 300 ნუშის ნერგი, 300 ბროწეულის ნერგი, 300 წყავის ნერგი, 500 ლელვის ნერგი და 500 კაკლის ნერგი. 50 000 ვაზის ნერგი).	იწარმოება 3000 ხურმის ნერგი, 2800 ვაშლის ნერგი, 3 000 ბალის ნერგი, 1800 მსხლის ნერგი, 4000 მოცვის ნერგი, 500 ფეიხოს ნერგი ,2000 ტყემლის ნერგი, 500 კარალიოკის ნერგი, 1500 კივის ნერგი, 800 ნუშის ნერგი, 500 ბროწეულის ნერგი, 500 წყავის ნერგი, 1000 ლელვის ნერგი და 1000 კაკლის ნერგი. 100 000 ვაზის ნერგი).	რაოდენობა	ფერმერი	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი	მონაცემთა შეგროვება ხდება „აგროსერვის ცენტრის“ საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურების მეშვეობით, სატელეფონო და წერილობითი მიმართვებით
2. ხელოვნურად განაყოფიერდება 600 ფური.	2. ხელოვნურად განაყოფიერდება 700ფური.	2. ხელოვნურად განაყოფიერდება 800 ფური.	2. ხელოვნურად განაყოფიერდება 900 ფური.					

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0804

პროგრამის დასახელება:

ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,257,160	403,060	284,700	284,700	284,700
წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთი	48,803	48,803			
შემოსავლები ლაბორატორიული კვლევებიდან	1,110,000	330,000	260,000	260,000	260,000
სულ ბიუჯეტი:	2,415,963	781,863	544,700	544,700	544,700

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2014-2017 წლები

პროგრამის მიზანი:

ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება, ლაბორატორიის აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების მიზნით სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის სფეროში სერვისების ეფექტიანობის გაზრდა.

პროგრამის აღწერა:

სასმელი, ზედაპირული, ჩამდინარე, ზღვის, აუზებისა და წყალსატევების წყლის, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების ნიმუშების ორგანოლექტიკური, ქიმიური, მიკრობიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური, ვირუსოლოგიური, სეროლოგიური) პარაზიტოლოგიური და რადიოლოგიური (რადიაქტიური ნივთიერებები) კვლევები; მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმების გამოკვლევა; ნიადაგის ნაყოფიერების მაჩვენებლების დადგენა, აგროქიმიკატებისა და პესტიციდების შემცველი ელემენტების გამოკვლევა; ადამიანებისა და ცხოველებისათვის საერთო საშიში (ზოო-ანთროპოზოოზური) დაავადებების, ინფექციის წყაროს გამოძიება მიზეზების კვლევა.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება	2,415,963	781,863	544,700	544,700	544,700
სულ პროგრამა	2,415,963	781,863	544,700	544,700	544,700

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დაგეგმილი საბიუჯეტო და საკუთარი შემოსავლების ფარგლებში ლაბორატორია აღიჭურვა თანამედროვე დანადგარებით, ცენტრმა 2,8 –ჯერ გაზარდა ლაბორატორიული კვლევების რაოდენობა და საკუთარი შემოსავლები. გაიარა აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტის (ISO 17025) მოთხოვნების შესაბამისად. გააფართოვა კვლევების სფეროები.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

მიმდინარე წელს ლაბორატორიულმა კვლევითი ცენტრი გეგმავს ლაბორატორიული კვლევების სფეროს გაფართოებას, თანამედროვე აპარატურის (ატომურ აბსორბციული სპექტრომეტრი) შექმნას და საკუთარი შემოსავლების ზრდას.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა და სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	ნიმუშის/სინჯის რაოდენობა	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი				
მოსახლეობის ხარისხიანი საკვები პროდუქტებითა და სასმელი წყლით მომარაგებისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს რისკ-ფაქტორების შემცირება;	ჩატარებული სასმელი, ზედაპირული, ჩამდინარე, ზღვის, აუზებისა და წყალსატევების წყლის, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების ნიმუშების ლაბორატორიული კვლევები; პრევენციული ღონიძებები	3500	2500	2700	3000	რაოდენობა	სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი; სტატისტიკის სამმართველო	სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“;	მონიტორინგი
წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა	გამოკვლეული მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმები	200	220	250	250	რაოდენობა	სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“; სტატისტიკის სამმართველო	სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“;	მონიტორინგი
ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება	აგროქიმიურად გამოკვლეული ნიადაგის ნიმუშები	50	50	50	50	რაოდენობა	სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“;	სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“;	მონიტორინგი

მხარჯავი დაწესებულების პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები

პრიორიტეტის დასახელება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	საკუთარი სახსრები	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
0701	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა	1,654,600	1,654,600	-	1,641,000	1,641,000	1,641,000
0702	სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა	4,941,100	4,941,100	-	5,114,700	5,189,700	5,279,700
0703	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	828,447	809,307	19,140	1,009,600	1,009,600	1,009,600
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		7,424,147	7,405,007	19,140	7,765,300	7,840,300	7,930,300

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0702

პროგრამის დასახელება:

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	20,525,200	4,941,100	5,114,700	5,189,700	5,279,700
სულ ბიუჯეტი:	20,525,200	4,941,100	5,114,700	5,189,700	5,279,700

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2014–2017 წლები

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების, მათ შორის სოციალურად დაუცველი კატეგორიებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სამედიცინო პროგრამების გარეთ დარჩენილი რისკების მართვა და დაფინანსება.

პროგრამის აღწერა:

მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება;
 გულის ქირურგია;
 სახსრების ენდოპროთეზირება;
 ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა;
 სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება;
 თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადება;
 ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია;
 სქოლიოზითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაცია;
 სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	5,135,000	1,290,000	1,315,000	1,290,000	1,240,000
გულის ქირურგია	5,718,000	1,218,000	1,400,000	1,500,000	1,600,000
სახსრების ენდოპროთეზირება	1,000,000	250,000	250,000	250,000	250,000
ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა	2,150,000	350,000	600,000	600,000	600,000
სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება	2,969,600	742,400	742,400	742,400	742,400
თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადება	70,000	30,000	-	-	40,000

ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია	1,400,000	350,000	350,000	350,000	350,000
სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია	1,829,200	457,300	457,300	457,300	457,300
სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა	253,400	253,400	-	-	-
სულ პროგრამა	20,525,200	4,941,100	5,114,700	5,189,700	5,279,700

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დაცული იქნა ბენეფიციარები მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან. შეუნარჩუნდათ ჯანმრთელობა, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით 2013 წელს დაფინანსდა 4 500--ზე მეტი ბენეფიციარი.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ბენეფიციარების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის შენარჩუნება, გაუმჯობესება.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
		2014 წელი	2015 წელი	2016 წელი					2017 წელი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის შენარჩუნება, გაუმჯობესება	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	3200	6987	10590	13990	ბენეფიციართა რაოდენობა	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი
	მოსახლეობის მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა (ლარი)	1500	1500	1500	1500	თანხა (ლარი)	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 070201

ქვეპროგრამის დასახელება:

მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,290,000
სულ ბიუჯეტი:	1,290,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ოჯახის მცირე შემოსავლების გამო არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები დაფაროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ იფარება სახელმწიფოს მიერ და მას ამის აუცილებლობა დაუდგა. ხშირ შემთხვევაში სამედიცინო დახმარების მიღება მათთვის ფინანსურად ხელმიუწვდომელი რჩება, რის შედეგად იზრდება გართულებულ შემთხვევათა რაოდენობა, შრომისუუნარობისა და სიკვდილიანობის რისკი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ვაუჩერით დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:
 ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ:
 პაციენტები სტიქიური უბედურებებით, კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები; ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები; უსახლკაროთა თავშესაფარის კონტინგენტი; უსახლკაროები; მარტოხელა დედები და პაციენტები, რომლებიც ამ დროისთვის არ არიან რეგისტრირებულნი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, არა აქვთ მინიჭებული სარეიტინგო ქულა, მაგრამ მათი მატერიალური მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას დაფინანსოს აუცილებელი მკურნალობა, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან წარმოდგენილი შუამდგომლობით.

გადაწყვეტილებას ბენეფიციართა მკურნალობის დაფინანსების შესახებ ღებულობს შესაბამისი კომისია (შემდეგ-კომისია), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;

- ქვეპროგრამის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი;

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100ა;

- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მკურნალობა დაფინანსდება ფაქტიური ხარჯით შემდეგი პროპორციებით: მკურნალობის ღირებულება _ 1000 ლარამდე და 1000 ლარის ჩათვლით _ 100%-ით;

მკურნალობის ღირებულება _ 1001 ლარიდან _ 2000 ლარის ჩათვლით _ 90%-ით; მკურნალობის ღირებულება _ 2001 ლარიდან _ 3000 ლარის ჩათვლით _ 80%-ით;

მკურნალობის ღირებულება _ 3001 ლარი და მეტი _ 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 7000 ლარისა.

აჭარის რეგიონში არსებული უმწეოთა თავშესაფარის კონტიგენტის და უსახლკაროების მკურნალობა დაფინანსდება სრული მოცულობით თანაგადახდის გარეშე ზღვრული ტარიფით არაუმეტეს 3000 ლარის.

იმ შემთხვევებში, როცა გარკვეული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის დაფინანსება გათვალისწინებულია „ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამით“, მაგრამ პაციენტი არ წარმოადგენს მის ბენეფიციარს, მაშინ პაციენტის გამოკვლევები „მოსახლეობისათვის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდება წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის 70 % - ით, მაგრამ არაუმეტეს „ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული ტარიფების 80 %-ისა. ასევე, თუ პაციენტი არ წარმოადგენს „სახსრების ენდოპროტეზირების ქვეპროგრამის“, ბენეფიციარს, მაშინ პაციენტის მკურნალობა „მოსახლეობისათვის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდება ფაქტიური ხარჯის 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს „სახსრების ენდოპროტეზირების ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული ზღვრული თანხისა (4000 ლარი).

ქვეპროგრამით პირველი რიგის პრიორიტეტი ენიჭება სტიქიური უბედურებების, კატასტროფების დროს დაზიანებულებს, 18 წლამდე ასაკის ბავშვებს, მოქალაქეებს, რომელთა ოჯახებს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ მინიჭებული აქვთ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა.

ქვეპროგრამის მაღალი რესურსტევადობის გამო გემიური მკურნალობის დაფინანსებისას გამოყენებული იქნება რეგიონისა და მოცდის პრინციპი.

მკურნალობის დაფინანსების შესახებ პაციენტის წარმომადგენელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა მიმართოს პაციენტის მკურნალობის დაწყებამდე ან მკურნალობის პროცესში (სტაციონარიდან გაწერამდე). კომისია გადაწყვეტილებას პაციენტის დაფინანსების შესახებ ღებულობს მომართვიდან პირველ სხდომაზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტი, მისი ან მისი წარმომადგენლის მოთხოვნით გადაჰყავთ ქვეპროგრამაში მონაწილე სხვა სამკურნალო დაწესებულებაში, მაშინ სამედიცინო ვაუჩერით დაიფარება მკურნალობის ხარჯები მათ მიერ არჩეულ ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში, მეორე სტაციონარში მკურნალობის ხარჯებს სრული მოცულობით ფარავს ბენეფიციარი.

დაუშვებელია ქვეპროგრამის მოსარგებლის მკურნალობის ერთსა და იმავე ეპიზოდზე ერთი და იგივე ნოზოლოგიური კოდის სხვადასხვა კლინიკაში დაფინანსება ან მკურნალობის გახანგრძლივების შემთხვევაში განმეორებით დაფინანსება.

სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფი (სამედიცინო მომსახურება, რომელიც საჭიროებს პაციენტის სტაციონარში 24 (ოცდაოთხი)

საათზე მეტი დროით მოთავსებას და რომელიც არ წარმოადგენს დღის სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებას) პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში დაფინანსების საკითხის განხილვის მიზნით პაციენტის წარმომადგენელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა მომართონ გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების, ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევის მოსარგებლები ქვეპროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მომსახურებით ისარგებლებენ წლიური ლიმიტის ამოწურვის შემდეგ. ქვეპროგრამის ფარგლებში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარების მკურნალობის წლიური ლიმიტი შეადგენს 5000 ლარს.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება

ა) სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა, თვითმკურნალობა; ამბულატორიული მკურნალობისათვის მედიკამენტების ხარჯები.

ბ) საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები; გ) სანატორიულ-კურორტული მკურნალობა;

დ) ესთეტიკური ქირურგია, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობა;

ე) სექსუალური დარღვევების, უმვილობის მკურნალობის ხარჯები;

ვ) აივ-ინფექციის/შიდსის, ქრონიკული ჰეპატიტის სპეციფიკურ ანტიბიოტიკულ მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები;

ზ) თუ სამედიცინო მომსახურების საჭიროება დადგა თვითდაზავების, კრიმინალურ აქტებში მონაწილეობის ან ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებული ნარკოტიკული და ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად, ასევე ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქვევითი აშლილობების მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები.

თ) ორგანოთა ტრანსპლანტაციის ხარჯები;

ი) უკვე ჩატარებული მკურნალობა (პაციენტის სტაციონარიდან გაწერის შემდეგ).

კ) სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	860	1500	1,290,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1,290,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	X	X	X	X
დაფინანსება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციარების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციარების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	1,500	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	860	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 070202

ქვეპროგრამის დასახელება:

გულის ქირურგია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,218,000
სულ ბიუჯეტი:	1,218,000

ქვეპროგრამის მიზანი:

18-წლის ასაკიდან მოსახლეობის (რომლებიც არ სარგებლობენ სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სხვადასხვა სამედიცინო პროგრამებით) კარდიოქირურგიული მკურნალობა, გულის დაავადებების მძიმე ფორმებით გამოწვეული ლეტალობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის შემცირება.

ქვეპროგრამის აღწერა:

გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკებით, გულის იშემიური დაავადებით, გულის სიმსივნით დაავადებულ პაციენტთათვის დროულად მიწოდებული კარდიოქირურგიული დახმარება მნიშვნელოვნად ამცირებს სიკვდილობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის რისკს, რაც დღის წესრიგში აყენებს მოზრდილი მოსახლეობისათვის კარდიოქირურგიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის აუცილებლობას.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- მოქალაქის განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა NIV-100/ა;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- ამონაწერი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზიდან“- სარეიტინგო ქულის შესახებ (არსებობის შემთხვევაში);

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეები 18 წლის ასაკიდან, რომლებიც 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე და არ სარგებლობენ სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული გულის ქირურგიის სამედიცინო მომსახურებით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება დაფინანსდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ტარიფისა. ქვეპროგრამის მაღალი რესურსტევადობის გამო კარდიოქირურგიული მკურნალობა ქვეპროგრამის მოსარგებლებს დაუფინანსდებათ შემდეგი პროპორციებით:

- 1) 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაუფინანსდებათ - 90 %, ხოლო პაციენტის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს -10 %-ს;
- 2) 100 001-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაუფინანსდებათ - 80 %, ხოლო პაციენტის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს -20 %-ს;
- 3) ყველა სხვა კატეგორიის პაციენტს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაუფინანსდებათ - 70 %, ხოლო პაციენტის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს -30 %-ს;

პაციენტისთვის ორი კოდის მინიჭების შემთხვევაში ძვირადღირებული კოდი დაფინანსდება ქვეპროგრამით განსაზღვრული პროპორციების მიხედვით, ხოლო მეორე კოდი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსდება ქვეპროგრამით აღებული ვალდებულების 50%-ით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება არ ვრცელდება:

სახელწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებულ სამედიცინო პროგრამის მოსარგებლებზე.

ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევის მოსარგებლების მკურნალობა პირველ რიგში დაფინანსდება სადაზღვეო ლიმიტის ზღვრული ტარიფით, დარჩენილი თანხის დაფარვაზე გავრცელდება ქვეპროგრამა შესაბამისი პროპორციების დაცვით. ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება საზღვარგარეთ მკურნალობა, ჩატარებული მკურნალობა (პაციენტის სტაციონარიდან გაწერის შემდეგ) და მოქმედი სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
იხილეთ დანართი 1			1,218,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1,218,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო დაწესებულებებთან ხელშეკრულების გაფორმება	X	X	X	X
გულის დაავადებების კარდიოქირურგიული მკურნალობა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის ბენეფიციარების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება, შესამდობლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის ბენეფიციარების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	5,300	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	240	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

N	საქმიანობის აღწერა	ერთეულის დასახელება	სულ პაციენტთა რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)	თანაგადახდა			ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი
						1) 100 000 - ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები - 10 %	2) 100 001- დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები - 20 %	3) ყველა სხვა კატეგორიის პაციენტისათვის - 30 %	
2014 წელი									
1	გულის თანდაყოლილი მანკები		17						207,810
ა)	ოპერაცია სისხლის ხელოვნური მიმოქცევით	პაციენტი	9	17,155	154,395	8,578	6,862	10,293	128,663
ბ)	ოპერაცია სისხლის ხელოვნური მიმოქცევის გარეშე	პაციენტი	8	11,992	95,936	4,797	4,797	7,195	79,147
2	ენდოვასკულური ოპერაციები		20						88,058
ა)	ამპლაცერი/პეისმეიკერი	პაციენტი	9	8,551	76,959	3,420	3,420	7,696	62,422
ბ)	ვალვულოპლასტიკა/რაშკინდი	პაციენტი	11	3,016	33,176	905	1,206	5,429	25,636
3	გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიები:		62						472,880
ა)	იშემიური დაავადებების, გულის სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა		62	9,200	570,400	27,600	36,800	33,120	472,880
ბ)	შეძენილი მანკები		25						293,899
ბ.ა)	ერთი სარქველის / აღმავალი აორტის / აორტის რკალის პროთეზირება / პლასტიკა		8	12,000	96,000	3,600	7,200	7,200	78,000
ბ.ბ)	ბიოლოგიური სარქველი	პაციენტი	5	17,185	85,925	3,437	6,874	5,156	70,459
ბ.გ)	ბენტალი / მწვავე მანკი / ინფარქტის შემდგომი გართულებები: სარქველვანი პათოლოგია, პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი, მარცხენა პარკუჭის ანევრიზმა	პაციენტი	6	16,000	96,000	3,200	6,400	9,600	76,800
ბ.დ)	ორი სარქველის / სარქველის და აღმავალი აორტის პროთეზირება	პაციენტი	6	14,300	85,800	2,860	5,720	8,580	68,640
4	კორონარული ანგიოპლასტიკა		99						155,353
ა)	კორონარული ანგიოპლასტიკა ერთი სტენტით	პაციენტი	60	1,800	108,000	4,140	6,840	9,720	87,300
ბ)	კორონარული ანგიოპლასტიკა ორი ან მეტი სტენტით	პაციენტი	39	2,100	81,900	3,780	6,300	3,780	68,053
სულ ჯამი			223						1,218,000

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 070203

ქვეპროგრამის დასახელება:

სახსრების ენდოპროთეზირება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	250,000
სულ ბიუჯეტი:	250,000

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური კატეგორიისათვის რესურსტევადი, მაღალტექნოლოგიურ სახსრების ენდოპროთეზირების ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად მოიმატა ტრავმის შემდგომი მდგომარეობებითა და სახსრების ართროზით დაავადებულ მოქალაქეთა მომართვიანობამ. ავადმყოფები საჭიროებენ მაღალტექნოლოგიურ ოპერაციულ ჩარევას ენდოპროთეზირების სახით. მძიმე სოციალური პირობების გამო, მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები, რომ უზრუნველყოს აღნიშნული პათოლოგიის ქირურგიული სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რის გამოც იზრდება დაავადებათა გართულებების რაოდენობა, დროებითი და მყარი შრომისუუნარობის შემთხვევები. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით.

ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ვაუჩერით დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით. ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ქვეპროგრამის მოსარგებლის მკურნალობის დაფინანსების ზღვრული თანხა შეადგენს 4000 ლარს.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:
 ქვეპროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ:
 მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მონაწილეები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები;

ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისებით ვერ ისარგებლებენ სახელწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული სამედიცინო პროგრამის მოსარგებლები, ასევე ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ქირურგიულ მკურნალობას.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:
 - განცხადება;
 - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
 - ქვეპროგრამის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი;
 - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა;
 - სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის მკურნალობა დაფინანსდება: 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებისათვის ფაქტიური ხარჯის 90 %-ით, სხვა დანარჩენი ბენეფიციარებისათვის ფაქტიური ხარჯის 80%-ით, მაგრამ არაუმეტეს 4000 ლარისა. მკურნალობის ღირებულების დარჩენილი ნაწილი დაიფარება პაციენტის მიერ.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება უკვე ჩატარებული მკურნალობა (პაციენტის სტაციონარიდან გაწერის შემდეგ), საზღვარგარეთ მკურნალობა და ასევე, არ დაფინანსდება სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	70	3571.43	250,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			250,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
